



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო
სამუშაოთა
სამსახური

ISSN 0132-1307

საბჭოთა სტუდენტთა სტუდენტთა

~~1125~~

1980 5

5/1980

სსსკოთა სულოვებისა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ჟურნალთვიური შუბრანალი

65

შინაარსი

განმარტვის ზინი	2
აბრან წარტიშვილი — ღიშების მონათხინი	4
არა ირემდე — საუნეკო ბრიბაღვი დიდი საგარელო ობის ფრენ- ბაზე	11
კრა წერეთელი — ბარსულ დროთა ნაკვაღეზე	15
ნაღვედა შალუტაშვილი — რისთვის თებატრის ათი წლისთავი	19
შანა თევზი — ბიოგრაფიული და ქართული თებატრი	30
არა ზაბაძე — ელვისკული მუსიკა და ქართული მუსიკალური კულ- ტურის ბიოლოგიის კოგნოზი	38
შანა აბუტელი — კოგნო- თბილისის საკვირო თებატრის სვინაზე	44
ნოღარ ნოაძე — „შეღებება“	53
ირაკლი ჟგუღაჯი — მიტოვი ნინიძე	64
დელა ინიანური — კატრი თვალის ბაშოვინაზე	70
დელა თაბუკაშვილი — ბარსიული საგარეოს კოგნო	74
მარია ბარათაშვილი — ფრენიულ, სანიკვილიოვა! (პიესა)	75
იოსებ ოპაძე — რესპუბლიკის ბაშოვინა „შბატვარი და ბარეში“	90
ვალენტინ რაბატინი — ნიკოლეუ და ბასკოვანს (პიესა)	94
ბრონიკა	111

**თებატრი
მუსიკა
გნატურა
კინო
არტიტიტიტურა
ბროკოგრაფია**

მთავარი რედატორი
თბაგ ვილაძე
სარედატორი კოლეგია
აკაკი ბაბრაძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოღარ ზაბუნია,
ჯუბაგ თითგარია
(გახსენსგებული გღივანი),
ვანელ კიკნაძე,
ნოღარ გგალოგვილი,
ჯურაგ ნინაბაძე,
გივი ორჯონიძისა,
ნათელა ურუჯაძე,
რევაზ ჩხიშიძე,
ანტონ წულუკიძე,
ნოღარ ზაბუნიაძე,
ნოღარ ჯანაბრიაძე

125



დიდ სამაგებულ ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35 წლისთავი

გამარჯვების

ბაზანდონის თვის პირველი დღეებს დიდი სიხარული მოუტანს საქართველოს მშრომლებს 1979 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკის ზედიზედ მუშაობედ მიყვანილ სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ნოიელი დროს.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მიტევებით საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა ქვეყანაში. მშრომელთა ეს გამარჯვება განაპირობა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების დიდი ორგანიზებორღმა მუშაობამ, ქალაქებსა და სოფლებში მუშაო სიონიდან დაეძღვათა ეხადმდე შესრულებისათვის ფართოდ გამოიღობა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა კრებაზე რესპუბლიკის სახეობო ფიარებაში გადმოვი გარდამავალი ნოიელი დროს.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანმა ან. ქ. ა. შევარდნაძემ სახეობო კრებაზე წარმოთქმულ მოხსენებაში დროად გააანალიზა და შეაჯანა მოსოფელში წარმატებანი, ამასთან, აღნიშნა ის ზარეზებუც, რომელთა გახალსებადე პრინციული და უკმაკროსიო ბრძოლაა საქორ.

ოცდათხუთმეტი წელი გვიდა გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებოდან. ამ წლის მანძილზე ქვეყანამ არა მარტო ტერიტორიები მიიღუნა, არამედ გრან-

ლიბიატარისა და ხალხმანის მოღვაწეობა, კალაქების მუშაობაში მისიონი მანდო ფიაროი საშროლოს შესაძლებელი ნაწარმოებები

მეღას პრაქტიკი საშროთა ხელოვნების პარტიულურობის და ხალხურობის რეზუა

სსრ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ანდრეა 1988 წლის 3 მარტს/სტალინი



გაიისი

დოილ წარმატებებს მიადნა აღმშენებლობის ყველა ეტაპზე საბჭოთა რესპუბლიკების მშენ და მუშაობელ კოლექტივში საქართველო გრან-ფიარო მოწინავე, უსაყ მერადის წვდული შეჯახ ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი აღმავლობის საქება.

დიდი გამარჯვების დღეს გამარჯვებითი ეგებებასაბჭოთა ხალხი, რომელიც მარში უდგას მშობელი კომუნისტურ პარტიის, მის ცენტრალურ კომიტეტს სკკ XIV ყრილობის მიერ დასახული კონსტრუქციისა და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ტრანდიოული პროგრამის განხორცილებისათვის, ქვეყნად მუშაობის შესარწყუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ძალს არ ზოგავს ადამიანების ტოილდელობისა და სედიკრი ამადღების უზრუნველსაყოფად.

მუშაობის შესარწყუნება და განმტკიცება ამაგამე წვენი ხალხის და მთელი პროგრესული კაცობრობის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა. „ჩვენი კურსია მუშაობიანი აღმშენებლობა“ — ეს იყო დედაბერი სკკ გერმანული მდიონის, საბჭოთა კავშირის ენადაღეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ან. ლ. ა. ბრეტვერის სიტყვისა, რომელიც მან წარმოიქვა მისკოვის პავანის საარგეო ოლქის ამოწმელებთან მუხეფრანზე. „ჩვენ მტკიცედ ვუბარებთ მადლა ჩვენი დენბრერი საგარეო პოლიტიკის დრომას — ხალხთა მუშაობის, თავისუფლებისა და დამოკიდებლობის დრომას, სოციალისტური პროგრესის დრომას“. — ეს სიტყვები წვენი ხალხს, მშობლის მუშაობისმიყოფად ხალხებს იმდეს უნგრეებს, რომ კლავაც მუშაობიანად იცხოვრებს, ამრომებს კაცობრობის უკუთხი მერმისისკენ მიმავალი.

საგარეო ინფორმაცია
საგარეო
სამსახური





დიდების მონუმენტები

ამირან ჩხარტიშვილი

არინან მოქანდაკეები, მხატვრები, რომელთა ყოველ ახალ ნამუშევარს განსაკუთრებული ინტერესით ველოდებით, მათი ხილვა დღესასწაულია ხოლმე ჩვენთვის. ერთ-ერთი ასეთი მოქანდაკეა ელგუჯა ამაშუკელი, რომელმაც, კარგა ხნის დემილის შემდეგ, ორი ახალი საუკეთესო მონუმენტით გაგვახარა: ერთი აღიმართა ფოთის მახლობლად, მალთაყვასი, მეორე კი — გორში.

ელგუჯა ამაშუკელმა შექმნა თავისი, დამოუკიდებელი მხატვრული სტილი (არ შეგვეშინდეს ამ სიტყვის, სწორედ რომ საკუთარი სტილი შექმნა მან). ქანდაკების ფორმის სტილის დონემდე აყვანა და აქ საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბება მართლაც დიდი საქმეა და ეს მოქანდაკე ჩვენი, ქართველი მოქანდაკეა. (ამ საქმეში ე. ამაშუკელი მართო არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის ერთ-ერთი პირველია). თუ აღრე ე. ამაშუკელისათვის დამახასიათებელი იყო ფიგურის გარეგანი სტა-

ტიურობა და შეუმჩნეველი, მაგრამ დაძაბული შინაგანი ძალა და რიტმი, ახალ ნამუშევრებში გამოჩნდა მოქანდაკის დახვეწილი პლასტიკური ხედა, ფორმის ლოგიკური მთლიანობა. მხატვრისთვის ბუნებრივი სილიადე და მონუმენტურობა სრულებითაც არ ნიშნავს არქაულობასა და ეგზოტიკას (ამ ხერხით დღეს ბევრი ცდილობს ფონს ადვილად გასვლას). მოქანდაკე საოცრად თანამედროვეა, მან იცის, რომ ვალდებულია ნამუშევარს მისცეს თანამედროვე ადამიანის სულისკეთება და რაოდენ მძიმე და მიუწვდომელიც არ უნდა იყოს ეს, მოქანდაკე მუდამ ცდილობს ხაზი გაუსვას ამ განწყობილებას. მოქანდაკისათვის თანამედროვეობა გულისხმობს მიზნის სიცხადეს, მონუმენტურობის მთლიანობასა და თანამედროვე ადამიანის სულის სიღრმეში ჩახედვას. მხატვარი ბაძავეს ბუნებას, მაგრამ არა ბრმად, არამედ აქტიურად მოქმედებს მასზე, იქ, სადაც საჭიროა, თავისი კორექტივი შეაქვს მასში.




გამარჯების მონუმენტი ვორში.
„პორტსა სილია კელიმან“- მოქანდაკე
ე. ამაშუკელი, არქიტექტორი ვ. დავითაია.

მოქანდაკისათვის აუცილებელია ფორმისა და არქიტექტურული თანაფარდობის პარმონია და ამით მიღწეული სილიადე. იგი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდება კლასიკური ხელოვნების მემკვიდრეობას. მისთვის სიზუსტე, ორგანიზებულობა, მაღალი პროფესიულობა (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გვიკირს) უმაღლესი მოთხოვნელებია, მაგრამ ე. ამაშუკელისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანია საკუთარი, ეროვნული ხელოვნების ტრადიციები და მისგან გამოსული ცოცხალი, დღევანდელი ცხოვრების მაჩისცემა. მის შემოქმედებაში ჩანს ქართული რელიგიისადმი უსაზღვრო სიყვარული და მისი ცოდნა. ამაშუკელმა იცის, რომ აქ რჩება იგი დღეს ყველაზე მეტად საკუთარ თავთან, იდეასთან შერწყმული ფორმით. მარტო დახვეწილი, ელასტიკური სხეულით ვერაფერს იტყვი, თუ მასში ცოცხალი სული არ დაიბრუნე, და ეს დღევანდელი ყოფის, დღევანდელი ადამიანის ჭირვარამისა და სიხარულის ჩვენების გარეშე შეუძლებელია. ანტიური და ალორძინების ეპოქათა დახვეწილი და რაფინირებული ფორმა, დღევანდელი ადამიანის სულისკვეთების გარეშე, ცივი და მიუპარებელია მოქანდაკე-

სათვის და ამიტომაც ცდილობს შექმნას ქართული ფორმა, ქართული სულით. ამიტომაც მისი ფორმა სტილამდე ასული, ამიტომაც მისი შემოქმედება ჩვენთვის თბილი და საყვარელი. მოქანდაკის იდეა გამართლებულია, ფორმა — საინტერესო, და თუ ჭერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ამაშუკელი ამას ყველაზე უკეთ გრძნობს, რაც კარგად ჩანს მოქანდაკის უკანასკნელ ნამუშევრებში.

ამაშუკელის ფიგურათა ფორმა ზოგჯერ რბილი, მოქნილი და ელასტიკურია („ფიროსმანი“), ზოგჯერ მძლავრი და ღონიერი („რევოლუცია“), ზოგჯერაც სტატიკური, მაგრამ დიადი და ამაყი („ვახტანგ გორგასალი“). მიუხედავად ფორმათა ასეთი მრავალფეროვნებისა და ცვალებადობისა, ისინი მანერტო ერთი სტილის, ერთი ოსტატის ნიმუშებია. ამ სტილის ოსტატი წლების მანძილზე ეძებდა, ამუშავებდა, ხეყნდა და ამით მიღწეული უდიდეს შინაგან სითბოსა და ჰუმანურობას. ელგუჯა ამაშუკელის ქმნილებები საოცრად გვანან თვით აეტორს თავისი განუზომელი სითბოთი და სიყვითი, მაღალი მოქალაქობრივი პათოსით და პოეტური განწყობილებით. მოქანდაკის შემოქმედების კიდევ



გმირთა ხსოვნის მემორიალი ფოთში. მოქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტექტორი ე. დავითაია

ერთი და, შესაძლებელია, ყველაზე საინტერესო მხარეა მონუმენტურობა და სივრცის შესანიშნავი გრძობა, მოქნილი რიტმი და დეკორატიულობა. როცა ამაშუკელის ახალ მონუმენტს ვუყურებთ, ხშირად გვაეჩუდება მისი ზემოქმედების ძირითადი საშუალება და ხშირად თვით ქანდაკების მხატვრული ფორმის ხორცშესხმის ოსტატობაზე ვწერთ. ეს, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვანი როლია, მაგრამ ე. ამაშუკელის ნამუშევრებში მაინც ძირითადია ბუნების, პეიზაჟის, არქიტექტურული მასების ქანდაკებისადმი დამორჩილება, სივრცეზე ზემოქმედების იდეა. მონუმენტური ხელოვნებისათვის ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით ფიგურის ძერწვა, მისი ფორმა, და თუ ეს ორივე კომპონენტი კარგად ერწყმის ერთმანეთს, მაშინ გამარჯვებაც უზრუნველყოფილია. ე. ამაშუკელისთვის მთავარია აზრისა და ფორმის სიცხადე, ფიგურათა კონტურის ძალა და დახვეწილი პლასტიკა, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი შინაგანი რიტმიკა და დინამიკით, და ამ უკანასკნელს დეკორატიულობასთან შერწყმა. ამაშუკელი თავისი მონუმენტისათვის საგანგებოდ არჩევს ადგილს, მან წინასწარ უნდა განვეტრტოს სად როგო-

რი ფორმა, კომპოზიცია ივარგებს. ეს მონუმენტი საგულისხმოა, რადგანაც უკანასკნელ ხანებში არის შემთხვევები, როცა ქანდაკებას ადგილს უცვლიან. ეს არცერთმა მოქანდაკემ არ უნდა დაუშვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ქანდაკება რჩება სივრცედან ამოვარდნილი და მისი მხატვრული ღირებულებაც ივარგება.

კომპოზიციას მოქანდაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ისინი უბრალოებით, სიმშვიდით, მთლიანობით ახდენენ უდიდეს შთაბეჭდილებას. ამ უბრალოებაში მოქანდაკე დიდი მხატვრული ტაქტით, ალოთი და გაბედულად ღებს შინაგან ძალას, ემოციასა და არტისტიზმს. ქანდაკების ამალბებელი, შეკრული, მთლიანი მასა, დახვეწილი სილუეტე, კარგად შესრულებული ფიგურის კონტური ითხოვს თეატრულობას; უბრალოებასა და სისადავეს, სჭირდება შინაგანი სიამაყისა და მაღალი თვითშეგრძნების გამოხატვის მანერა, მოძრაობა. ე. ამაშუკელი მუდამ ცდილობს ფიგურა ღონიერი, მაგრამ უხეში არ იყოს, მოქანდაკე გაურბის მომბეზრებელ ერთფეროვან მოძრაობას. მან იცის როგორ გაღმოსკვს დაფარული შინაგანი დინამიზმი. თუ მოძრაობა გაღმოსკ-



დარწმუნებული ვართ, რომ ე. ამაშუკელი, მისი ცხადი აზრი, ფორმის შინაგანი გრძნობა დღევანდელი ადამიანის სწორების მხატვრული ხედვაა და, რაც დრო გევა, მოქანდაკის ქმნილებებს მეტად მივჩვენებთ და შევიყვარებთ.

ე. ამაშუკელის დინამიკა თავისებური, მშვიდად მომღერალი დინამიკაა, მის შემოქმედებაში არ არის არაფერი მკვეთრი, უეცარი, მოულოდნელი. იგი მდინარესავით მოედინება, თანდათანობით იზრდება, მძლავრდება და ძალას იკრებს. ბუნება მუდამ სიმეტრიული და ჰარმონიულია. ეს იცის ოსტატმა, მაგრამ მისი ფორმა, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ საიდუმლოებითაა მოცული. ეს მხოლოდ ჩვენთვის, თვით მოქანდაკისათვის იცნობება, დაუცხრომელი ძიება, და როცა ნამუშევარი სამაგვარიზე გამოდის, მას სრულებითაც არ ეტყობა მოქანდაკის მიერ გადატანილი უბიძგო დამეხობა. იგი თავისუფალი, ლაღი და ამაყია. ე. ამაშუკელი უკვე მომწოდებული და საყოფიერო და საყოფიერო ხედვის მოქანდაკეა და მან სწორედ ახლა მოაღწია შემოქმედების უმაღლეს მწვერვალს. ეს კარგად გამოჩნდა მის ბოლო წლების ნამუშევრებში.

ელგუჯა ამაშუკელმა თავისი ახალი მონუმენტი, — ლომზე ამხედრებული ჭაბუკის ფიგურა გორის ციხის ფონზე აღმართა. მდ. მეჯულის ნაპირზე მდებარე ჰატარა მოედანზე. მონუმენტი ერთი ნაწილია შინაშესულია კომპლექსისა, რომელიც აქ უნდა აშენდეს. მოქანდაკემ და არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ ზუსტად განსაზღვრეს ადგილი. იგი ჩაიდგა შედარებით „თავისუფალ“ სივრცეში და ადგენეს მას. ციხის მაღალი და მრავალბინიანი რელიეფი ასეთივე რთული და მეტყველ ფორმას ითხოვდა.

გორის ციხე, თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებით, მკვიდრად და მძიმედ ეყრდნობა ქალაქის შუაგულში ამოშართულ ბორცვს და მთელი გარემოს განსაზღვრული ობიექტია, მისი სილუეტი მკვეთრად იწერება ქალაქის პეიზაჟში. დღეს ქართულ კაცს გორი მისი ციხის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ახლა ამ თავისთავად ორგანიზებულ „სამყაროს“ და ემატა ახალი, საგამოდო მოზრდილი ფორმა, რომელიც ზუსტად უნდა ჩაეწილიყო გარნიზონულ და დიად სივრცეში. მოქანდაკემ და არქიტექტორმა მონუმენტის ფონად გამოიყენეს ქალაქისკენ დაშვებული, ხუროთმოძღვრის მიერ საუცხოოდ ორგანიზებული „ტერასები“ (კარები, ე. წ. ცხრაკარიანი), რითაც ციხე ძირითადად ქალაქს უკავშირდება, ერწყმის გარემოს და მასთან ჰარმონიულ ერთობაშიაშია. სწორედ ამ ადგილას აღიმართა მონუმენტი. ქანდაკების ჩასმა

შულია აშკარად, იგი აღარ იძლევა დინამიკის შთაბეჭდილებას, მაშინ მოძრაობა ხელოვნურია. არაბუნებრივი მოძრაობა კი თავისთავად მკვდარია. ხელოვნების ნაწარმოებში იმალება დაფარული სიცოცხლე და მისთვის ფორმის მიცემა უძნელესი და აუცილებელია მოქანდაკისათვის. სწორედ ამ დროსაა საჭირო მხატვრის უტყუარი პლასტიკური ხედვა და მასალის ოსტატური დამორჩილება, ადამიანის ფსიქიკის წვდომა და, რაც მთავარია, თანამედროვეობის გრძნობა.

ე. ამაშუკელმა უდიდესი მომხიბვლელი, ცოცხალი და მხატვრულად მეტყველი კონსტრუქციით, ფართო და ძლიერი ფორმით დაიმორჩილა ვეებერთელა თბილისური სივრცე და ცის ფონზე შეამართლი მშვიდი წონასწორობით, აზრის სიკვდილი. ცოცხალი და ზუსტი პროპორციებით შეურწყა სივრცეს პლასტიკური ფორმები („ქართვის დედა“ და „ვახტანგ გორგასალი“), ერთი შეხედვით, ამ ნამუშევრების ადგილი მომგებიანია და ეს კი თვითონ იძლევა მხატვრული განზოგადების საშუალებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადგილი თვით მხატვრის მიერაა ნაპოვნი და სწორედ ეს ადგილი ითხოვდა შესაფერის მხატვრულ ფორმას. უბრალო თვალი, ალბათ, ძნელად შეამჩნევს როგორი მწილი დასამორჩილებელია განუზომელი მასშტაბის სივრცე. მოქანდაკემ ეს უმძიმესი პრობლემა კარგად გადაჭრა. „ქართვის დედა“ ქალაქის ერთგვარ ემბლემად იქცა, და ეს მოქანდაკის უდიდესი გამაჩრვებავა. ქანდაკემა ბრინჯაოში უნდა ჩამოსხმას, ეს აუცილებელია. ამით იგი ბევრად ცოცხალი და მეტყველი გახდება.

ობიექტები ძალიან ხშირად უფრო მგრძნობიარენი არიან ახალი ფორმისადმი, ვიდრე საკეთილსინამდობის. ჩვენ ხშირად ვყოფილხართ მოწმენი იმისა, რომ ბევრი ახალი ნამუშევარი თავისი ახლებური პათოსით, სიმშვიდით, ფორმათა გამომსახველობითი მოცულობებით, დინამიკით, რიტმით ვერ აღვიქვით, ველოდით მხოლოდ შეჩვეული ფორმით განხორციელებულ თემას, იდეას. ცნობილია, რომ დღეს ახლებური მხატვრული ხედვის გარეშე მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნა არ შეიძლება.



აქ აუცილებელი და, მასთან, ინერცი იყო. იგი უნდა დაეკავშირებოდა ძველსა და ახალს, მდინარე მკვლდისკენ ვახსნილი სივრცის შემკვერელი, მორგანიზებული უნდა გამხდარიყო. სწორედ აქ უნდა ეკონათ მოძრაობა, მყარ და ახალი ფორმები, რომელიც არ ამოვარდებოდა ტრადიციული რელიეფის ხასიათიდან და შეერწყმებოდა ახალს. ჩვენთვის საყვებობი ვასაგებია როგორ მიღწეის მოქანდაკემ და არქიტექტორმა ამ ურთულეს სინთეზს. მოქანდაკემ ზუსტად და მხატვრულად გამოიყენა ქართულ კედურ ხელოვნებაში გაბატონებული და უმაღლეს დონეზე ასული ზუსტი, მრავალმანიანი რელიეფის (წმ. „ამაია“) შესაძლებლობანი, და ამასთან, მრავალი პლასტიკის ქანდაკების პრინციპებიდან გამოსწრაფა გაახალისა, გაანედლა მასალა (ბინჯობა).


ყოველივე ეს ზუსტად და მხატვრულად აღიქვა არქიტექტორმა ე. დავითიამ. ჩვენ გაგვაოცა მისმა დინამიკურმა და, ამასთან, ძალზე უბრალო და ლაიონობრმა კვარცხლებემა. არქიტექტორი თითქმის ჩრდილშია, მან ყველაფერი გააკეთა მხოლოდ ქანდაკების წარმოსაჩენად, პრწყინვალედ იგონო მოქანდაკის ჩანაფიქრი და გორის ციხის არქიტექტურული ფორმები. ე. დავითიამ ერთხელ კიდევ დაგვანახა როგორი ტაქტი, ალღო და დემოუნება საჭირო ქანდაკების, მისი იდის, შინაარსის, ფორმისათვის ფონის შესაქმნელად. კვარცხლებევი მოგრობო და ძალზე ლაიონობრია. ფორმის ოდნავ, თითქმის შეუმჩნეველი ცვალებადობა, სისადევი, მოცულობა, სიმძლვე ზუსტად ჩაჭდა სივრცეში და მონუმენტს ბრწყინვალე ფონი შეუქმნა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი კოლორიტი. ციხის ჩაენატებული ფონის საუყუნოვანი შეფერილობა მყარად და შეუცვლელად ზის ქართლის ველის ვერცლისფერ, ფერადოვანი შეუქმნე გუნდში. იგი არ არღვევს ამ კოლორიტის საერთო ელფერს და ამიტომ აა გორის ციხე ქართლის ველის განუყრელი ატრიბუტი. კვარცხლებეის ღია მოყეთალო, ნათელი კოლორიტი თანამედროვეა და ოდნავ განსხვავდება ციხის ფერისაგან. ეს თბილი, ხასხასა და სუფთა ფერი კარგად შეეხამა ციხის ეანგისფერს და ახალ ქალქთან მოიყვანა მნახველი. ეს არის სინთეზის საუყუეთესო მაგალითი. რამაც ქანდაკებისა და კვარცხლებეის ერთიანი მხატვრული ფორმა წარმოქმნა.

ბეგლი იკითხება ყველა წერტილიდან, მაგრამ მას მაინც აქვს ერთი, ყველაზე სრულყოფილი წერტილი — მდინარის მხრიდან, ოდნავ მარჯვნივ. ეს არის ციხეა და მონუმენტს შორის ნაპოვნი ხაზობრივი ჰორიზონ-

ტი. აქედან კომპოზიცია არქიტექტურული ეს აუცილებლად ასეც უნდა ყოფილიყო ახალგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვეებერთელა არქიტექტურული ფონი თავისი უღილესი ფორმებით დაწვევბოდა მონუმენტს და „გასარსდა“. ქანდაკება თავისი არქიტექტურული კონსტრუქციით, ფიგურის დინამიკური რიტმითა და ხაზობრივობით ერწყმის გარემოს, ჰარმონიაშია ციხის მიერ შექმნილ სივრცესთან, და, რაც მთავარია, ფიგურის ძლიერმა ფორმამ, მისი შინაგანი და გარეგანი სილუეტისა და დინამიკის ერთ კომპოზიციურ მთლიანობაში შეკვრამ თავისი ძალა და სიღაფე აგრძობინა სივრცეს. როცა მოქანდაკე და არქიტექტორი დარწმუნდნენ, რომ ნაპოვნია მთავარი, დანარჩენი უკვე მათ ოსტატობაზე, ხელფაზე იყო დამოკლებული. ამის შემდეგ მოქანდაკე უკვე მრავალ სხვა პრობლემას სწყევტს.

როგორც ჩანს, ე. ამაშუველი ბეერს შრომის მცირე მოცულობის პლასტიკაში. იგი დაუცხრომლად ეძებს დინამიკურ ჰარმონიას, ეძებს მოძრაობის არქიტექტონიკას, მის ბუნებას. დღეს მხატვარი გაცილებით ახლოსაა ქართულ ტრადიციულ რელიეფთან (გველისხმობით ქართული კანკელების რელიეფურ გამოსახულებებს, განსაკუთრებით ადრეული პერიოდისა), ვიდრე ოდესმე, და ამიტომაცაა მის მიერ უკანასკნელ დროს შექმნილი ფიგურები უფრო ცოცხალი, მთროლოვავი და, რასაც განსაკუთრებით გვინდა ხაზი გავუსვათ, ინტიმური.

ე. ამაშუველი ახალ მონუმენტში სწორედ ხაზგასმული ინტიმურობა განჩნდა (ინტიმურობა განწყობილობაში არ უნდა აგვერიოს). ეს ის გრძნობაა, რომლითაც მხატვარი თანამედროვეობასთან მჭიდრო კონტაქტს ამყარებს. ადამიანის სული, მისი მისწრაფებები და შეხედულებები სწორედ აქ უნდა გამომდლავნდეს. მონუმენტური მხატვრობა, ძირითადად, ამ მომენტს ამოიგებს ხელოვანს; იგი ზოგადი, დიდი, ახალგებუი ფორმებით განისაზღვრება. ინტიმურობა დაზგური



ქანდაკების განუყოფელი ნაწილია. ჩვენდა სასიამოვნოდ, თანამედროვე ქართველი მონუმენტალისტი მხატვრები და მოქანდაკეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს, და, ხშირ შემთხვევაში, ისინი ცდილობენ თავიანთ მონუმენტებში დაზღუერი ქანდაკების ეს ნიშანიც შეიტანონ. ამიტომაც შეენიშნეთ, რომ ე. ამაშუკელი, როგორც ჩანს, დიდ ყურადღებას უთმობს დაზღუერი ქანდაკებას და მონუმენტურ ხელოვნებასთან მისი დამოკიდებულების საკითხების შესწავლას.

გორში აღმართული მონუმენტის ჭაბუკის სახეს ავლია მოცულობა და სიმკვრივე. მის ჭერი კიდევ ზრდადამთავრებულ, ბოლომდე ჩამოუყალიბებულ ფორმებს შენარჩუნებულს აქვს ბავშვური სინორჩე. სამაკეოროდ, დაპერილია მოძრაობის უშუალოება, მრავალფეროვნება და სიზუსტე, ხასიათის გულბრყვილობა და უბრალოება. სწორედ ამაში გამოჩნდა მონუმენტურობის ინტიმურობასთან შერწყმის ამაშუკელისეული უტყუარი ალღო. ჩვენის აზრით, მოქანდაკის ეს პირველი ნამუშევარია, სადაც მან ყველაზე მეტად იგრძნო ფიგურის შინაგანი და გარეგანი დინამიკის მთლიანობა, მისი მრავალფეროვნება და, ამასთან, ჩაწვდა ხასიათს (და არა განწყობილებას, ამას მოქანდაკემ უკვე მიადღწია „გახტანგ გორგასალში“). ფიგურა გაცილებულია არა მარტო დახვეწილი პლასტიკური ფორმებით, არამედ მოძრაობის უშუალოებით, შინაგანი თრთოლივით, ზუსტად ნაპოვნი დინამიკისა და სილუეტის ერთიანობით. თუ ფორმის ძერწვა, მოცულობის მთლიანობა ბოლომდე დასრულებული არ არის, ეს სრულმეტაიც არ უშლის ხელს საერთო განწყობილებას. ისტატმა სწორედ აქ იგრძნო ის ხელმეუხებელი, უბრალო, ფარული შინაგანი ნერვი ხელოვნებისა, რომლის ხელშეხება შეუძლებელია. სწორედ იქ შეჩერდა, სადაც „დადამთავრებლობა“ განსჯისა და აზროვნების გაგრძელების საშუალებას აძლევს მაყურებელს, რომელსაც ეს მონუმენტი აქტიურად მოაზროვნე, შემოქმედებით პროცესში მონაწილედ ხდის. ამით კიდევ ერთ გარემოებას გაეცა ხაზი — მონუმენტს აღარ ემჩნევა დიდი შრომის კვალი. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მოქანდაკემ და არქიტექტორმა ერთი ამოსუნთქვით, ხე-

ლის ერთი მოძრაობით შექმნეს იგი. ამას განაპირობებს მონუმენტის თავისუფალი რიტმი და შეკრული შინაგანი ძალა. მხატვარი ძუნწია გამომსახველობითი ფორმების ჩვენებაში. ნაზი, თანაც მკვეთრი და რბილი კონტური გახვეულია გამოუცნობ ბურუსში, თუმცა, ცხადად ჩანს ფიგურის რთული სილუეტით და ძალზე ცოცხალი დინამიკური ფორმა, მდიდარი სტილმენტის. მონუმენტში ინტიმურობა და მონუმენტურობა ზუსტად დემთხვა ერთმანეთს. არც რიტმი და დინამიკა აბსოლუტური; განვითარებულ ჰარმონიას შინაგანი თავშეკავება ანიჭებს სიდიადეს. მოქანდაკის მაღალმა პროფესიულობამ და დახვეწილმა პლასტიკურმა ხედვამ იგრძნო ბუნებრივი და მონუმენტის არქიტექტურული ჰარმონია და იგი იმდენად ცხადი და ნათელი აღმოჩნდა, რომ ერთბაშად მოხაზა სიერცეში ფორმაც და სილუეტიც, გაწონასწორდა სიერცისა და ფორმის მიერ ნაპოვნი ჰარმონია.

ლომის გამოსახულება სტილიზებულია. მოქანდაკეს, როგორც ჩანს, არ დაუსახავს მიზნად ზუსტად ლომის გამოსახვა. იგი უჩვეულო, არამეკეყნიური, დასამორჩილებელი ძალა და მისთვის კონკრეტული სახის მიცემა არ იყო მიზანშეწონილი, თუმცა გამოსახული ცხოველი ყველაზე მეტად მაინც ლომს ემსგავსება. ჩვენის აზრით, მოქანდაკემ სწორედ ამ, ზოგადი სახის ჩვენებით მიადღწია იმ ძალას, რასაც ჩვენ ვგრძნობთ. ამგვარი ფორმით ცხოველზე აშხებრებული ფიგურის ჩვენება პირველია ხელოვნებაში და მის გადასატრულად, უდიდეს გამბედაობასთან ერთად, ქანდაკების ღრმა ცოდნა და პლასტიკური ხედვის დახვეწილი ალღო იყო საჭირო. მოქანდაკემ შესწავლა ეს ორი ფიგურა ისე შეერწყა ერთმანეთთან, რომ ცხოველის დაუოკებელი ძალა თავისთავად ჭაბუკის ნებას დაემორჩილა. ამით ერთხელ კიდევ გამოჩნდა ავტორის მხატვრული ხეცა და პლასტიკის ძალა.



საქონებრივ ბრიგადები

დიდი საქაქელო

ომის ურონტაგე

ირმა ირემაძე

1941 წლის ზაფხულში, დიდი სამამულო ომის დაწყებდან სულ მალე, პარტიის მითითებითა და თეატრალური საზოგადოებრიობის ინიციატივით ჩამოყალიბდა შესიკალური სამეფო ბრიგადები, რომელთა ამოცანა იყო არმიის პირადი შემადგენლობისათვის კონცერტების გამართვა ჰოსპიტლებში, წითელარმიელთა გასაწევვ პუნქტებსა და ფრონტისპირა რაიონებში. თეატრალურ მოლაშქურთა ამ საბატიო და დიდ საქმეს, ქეშმარიტად პატრიოტულ ინიციატივას, აქტიურად გამოეხმებოდნენ ქართველი მსახიობები, მათ მიერ შექმნილი შესიკალური ბრიგადების კონცერტები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალმატერულობითა და მაღალიდურობით, რაც დიდად ამხნევებდა წითელი არმიის მეომრებს. ომის პერიოდში სამეფო ბრიგადები გაიზარდა რიცხოვნობაში და ხარისხობრივად, რის გამოც მათ შესაძლებლობა მიეცათ მომსახურებოდნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ მრავალ ჰოსპიტალსა და მოქმედი არმიის ნაწილებს. მუსიკალური ბრიგადების წევრები დიდი მონაწილეობითა და ხალისით ეკიდებოდნენ დაკრებულ მოვალეობას, შემოქმედებითი ძალების მთელი დამაბუთ მართავენ კონცერტებსა და საღამოებს, ამიტომ იყო, რომ დაპირილი მეომრები თუ წითელი არმიის მებრძოლები უდიდესი მაღალეგრების გრძნობით: იმტკალებოდნენ მათ მიმართ. ამის დასტური გახლდათ

ის, რომ მათ სახელზე უწყვეტ ნაკადად შოდოდა უამრავი მაღლობის წერილი, გამოხმებრება, რომლებითაც მეომრები მაღლობას უთელიდნენ იმ ორგანიზაციებს, საიდანაც ეს ბრიგადები იყო მივლინებული.

აი, რას ვკითხულობთ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1942 წლის 17 ივლისის ნომერში: „საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირმა სამამულო ომის ერთი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩატარა წითელი არმიის სამხატვრო მომსახურების საქმეში. ამ ხნის განმავლობაში მოეწყო 6.358 კონცერტი, 132 საშეფო წარმოდგენა, თეატრებში უფასო ბილეთები მიეცა 13 721 მეტძოლს. ვარდა ამისა, 4 ბრავადა გაიგზავნა სამამულო ომის ფრონტზე. ამ ზაფხულის ჰეროდში ეს მუშაობა უფრო გაფართოვდა. ვარდა კონცერტებისა, რომელიც წინასწარ შედგენილი გრაფიკით ეწყობა, ხელოვნების მუშაკთა კავშირმა ჩამოაყალიბა სამი სამხატვრო ბრიგადა, რომელთაც შორეული რაიონების მომსახურება დაეკალათ. ბრიგადებს ხელმძღვანელებენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და შალვა დამაშვიძე. ბრიგადებში შედიან თბილისის თეატრებისა და ფილარმონიის მოწინავე მსახიობები.

ამ მუშაობაში მონაწილეობას მიიღვენ აგრეთვე საქართველოს სიმფონიისა და ცეკვის ანსამბლი გ. კოკელიაძის ხელმძღვანელობით, რ. გაბინაძის ხელმძღვანე-



ლობით არსებული ქართული ჯან-ორგესტრი, მარო თარხნიშვილის მომღერალთა გუნდი და ნ. ფოცხვერაშვილის სელმადეანლობით არსებული მეჩონგურეთა ანსამბლი.

ბრიგადები და ანსამბლები გამართავენ ღია კონცერტებს და მოემსახურებიან წითელი არმიის ხაწილებსა და საავადმყოფოებს.

მუსიკალური ბრიგადების მუშაობის სწორად და გეგმიანად წარმართვისათვის ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეიქმნა საშუალო კომისიები. მარჯანიშვილის თეატრში ამ კომისიის თავდამირველად ხელმძღვანელობდა ხაქარია გომელაური, ხოლო ერთი წლის შემდეგ პალატი დარახველიძე. ოპერისა და ბალეტის თეატრის საშუალო მუშაობის ორგანიზაციას ხელი მოჰკიდა შალვა ცირილაძემ, ხოლო რუსთაველის თეატრში — აკაკი ვასაძემ. სამხედრო საშუალო კომისიის სხდომებზე იხილებოდა საშუალო კონცერტებთან დაკავშირებული საკითხები და ისახებოდა შემდგომი გეგმები.

საშუალო ბრიგადების მუშაობის შესახებ საქართველოს სათავართო მუზეუმის არქივში დაცულია საინტერესო დოკუმენტები და მოგონებები, რომელთა ავტორები საშუალო კონცერტების აქტიური მონაწილენი იყვნენ. აქვე დაცულია მეომართა მიერ გამოგზავნილი უამრავი მადლობის წერილი და ბარათი.

ყველან, სადაც კი ჩადიოდნენ საკონცერტო ჯგუფები, მათ გულთბილად ზღვებოდნენ. აი, როგორ იგონებს ამ შეხვედრებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შალვა ჭაფარიძე. „ერთხელ ვიყავით წითელი არმიის ერთ ნაწილში კონცერტის გასამართავად. ყველაფერს რაღაც არაჩვეულებრივი ელფერი დაჰკრავდა, ყველა რაღაცას ფაქტობოდა. ზოგი ბარგსა ჰკრავდა, ზოგი შინელს ახვევდა და საკუთრულში ჩამქდარი იქვე ვვერდზე მიმდგარიყო და ღრმად დადიქრებული თუთუნს გემოზედ აბოლებდა. ჩვენი თეატრის ბრიგადის მისვლამ ბათი საქმიანობა უცებ შეაჩერა. ვაშის ძახილით შემოესივნენ ჩვენს მანქანას. მარჯანიშვილის თეატრი მოვიდა, გაუმარჯოსო, მოგაყარეს სიხარულით და გარს შემოგ-

ვერტყნენ“ (საქ. სახ. სათავართო მუზეუმის არქივში, ფონდ-ი 5, აღწ. 3 საქმე 7061, ფურცლი 7). შინამეცხე

კონცერტები ხშირად ღია ცის ქვეშ ეწყობოდა. სკენად შემოღლებულ ადვილს იყენებდნენ. ან ერთმანეთს მადამდნენ ორ სატვირთო მანქანას, ვვერდებს გადახსნიდნენ და საბარჯულზე ასრულებდნენ საკონცერტო ნომრებს. კონცერტების შემდეგ, თუ კონცერტი მოწონებას იმსახურებდა (როგორც წესი), ნაწილების მეთაურები საშუალო ჯგუფის ადმინისტრაციას უგზავნიდნენ მადლობის ბარათებს, მეზარბოღემა კი პარად სამკოთხა წერილებს იმით, ვისი გამოსვლაც განსაკუთრებით მოეწონებოდათ. აი, ერთი ასეთი წერილითავანი:

„თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საშუალო ბრიგადამ ამა. შ. ცირილაძის ხელმძღვანელობით პოსპიტალში კარვად ჩაატარა კონცერტი. მეთაურები, პოლიტმუშაკები, ზებრძოლები უუნდით მადლობას მთელ კოლექტივს.

ბრიგადის უფროსი ფანტულია“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ომის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუსიკალური ბრიგადების მიერ ჩატარებული მუშაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ჩამოსული მსახიობები და სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სახელით კონცერტებს მართავდნენ მცირე და სამხატვრო თეატრების კოლექტივები. ცალკეული შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ კიპარენკო-დამანსკი, ევგენი მურადოვი, თამარ წერეთლი, ანა ორლოვა, მარია ჰაგლოვა და სხვები. ფილარმონიის მუსიკალური ბრიგადების მიერ ჩატარებული კონცერტები დიდი წარმატებით სარგებლობდა მაყურებელსა და მსმენელსში. მათ მიერ გეგნოვებით შერჩეული რეპერტუარი ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებდა. ამაზე მეტყველებს მრავალი გამოხმაურება, დოკუმენტი და მადლობის წერილი, ფილარმონიის კოლექტივის სახელზე რომ მოდიოდა. მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს ტექსტს:



მებრძოლთა წინაშე გამოდის აკაკი ზორაია



კონცერტი ველზე. გამო-
დინ ვიორჯი საღარაძე და
სტეფანე ჭაფარიძე.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობთა მიერ ჩატარებული საშუალო კონცერტი. ტანკერ „პარიზის კომუნას“ მულეჯატორები და მეთაურები მსახიობებში ხელაქედნენ მებრძოლებს, რომლებიც მხატვრული სიტყვის იაზრალით, სიმღერებით დახმარებას ვიწვევენ მტრის განადგურებაში.

აღნიშნავ ახალგაზრდა მომღერლების ა. შკლიაჩინსკის და მეტანიჩის მაღალ სამემსრულებლო ოსტატობას. ურგად მიიღეს მავურებლებმა საბალეტო ნომრები. მხატვრული კითხვის ოსტატები და სკეტჩები. ტანკერ „პარიზის კომუნის“ პირადი შემადგენლობის სახელით მაღლობას გიცხადებთ მიელ კოლექტივს.

პოლიტბლო შარფმანი“.

საკონცერტო ბრიგადები ხშირად გვემის გარემოც მართავენ კონცერტებს, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ბრიგადის თითოეული წევრი მასზე მინდობილ საქმეს. აღნიშნულის დასად. სტურებლად მოვიტანთ საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუხეუმის არქივში დაცულ დოკუმენტს:

„ხელოვნების მუშაეთა სახლთან არსებულ სამხედრო საშუაო კომისიის

დანიშნულებით ვაცნობებთ, რომ მაისის თვეში მარჯანიშვილის თეატრის და ოთხი მუსიკალური სასწავლებლის მხატვრულ ბრიგადებს გევით უნდა ჩატარებინათ 5 კონცერტი, დაქტიურად კი ჩატარებს — 25. მათ შორის 18 კონცერტი ჩატარად პალატებში, მძიმედ დაჭრილობის.

დირექტორი — დამბაშიძე

სამხატვრო ბრიგადების ხელმძღვანელი — დარაზევილი“.

იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წითელი არმიის ნაწილებსა და პოსპიტალებში საშუალო ბრიგადების მიერ განართულ კონცერტებს, ნათლად მეტყველებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სახელზე მოსული ერთი წერილი, რომელიც გამოგზავნილია ერთ-ერთ პოსპიტალში მყოფი დაჭრილების მიერ. წერილში დიდი მაღლობითაა მოხსენებული ყველა მსახიობი, რომლებმაც „ერთი შესანიშნავი კონცერტი — საღამო ნაატარეს პოსპიტალში და ამით რამდენიმე ხნით შეუმსუბუქეს დაჭრილებს ტკივილები...“

მუსიკალური ბრიგადის მსახიობები დიდ დახმარებას უწყვენდნენ საბჭოთა არმიის ნაწილებში არსებულ მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს. მაგალითად, ეხმარებოდნენ საბჭოთა კავშირის ახალი სახელმწიფო პირის შესწავლაში. „ნაწილებში ყოფნის დროს სასახიობები ეხმარებოდნენ ადგილობრივ თვითმოქმედ კოლექტივებს საბჭოთა კავშირის ახალი პირის შესწავლაში“, — ვითხულობთ საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა კონცერტების შესახებ დაწერილ ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში.

საშუალო ბრიგადების მუშაობაში ჩაბმული იყვნენ ვამოჩენილი მსახიობები, რომელთაც იტვირთეს მთელი სიმძიმე იმდროინდელი ქართული თეატრალური ცხოვრებისა. მაგალითისათვის დავსახელებთ აკ. ხორავას, ე. ანჯაფარიძეს, აკ. ვასაძეს, შ. დამბაშიძეს, თ. ქავკავაძეს, ე. გომიშვილს. ამ მსახიობების მონაწილეობა ყოველთვის მეტ ეშხსა და ლაზარის მატება კონცერტებს. სწორად, როდესაც ერთი ჯგუფი საკონცერტო დარბაზში

გამოდიოდა, მეორე კვლევი პალატაში მიმედ დაჭრილი მეობრებისათვის ასრულებდა ნომერს. შემდეგ კი ადგილზე ცვლდნენ.

მსახიობებს ზოგჯერ უმძიმეს პირობებში უხდებოდათ კონცერტის ჩატარება, ვერამ, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ისინი ყოველთვის ვაკეცუნდნენ იტანდნენ გასაპირის და პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. აი, რას წერს წითელი არმიის ერთ-ერთი წარწერის მებრძოლი საინისკი თავის წერილში: „უნდა აღვნიშნოთ, რომ მსახიობებმა გამოიჩინეს ნამდვილი ვაკეცობა, რადგანაც აგერ უკვე უკვე მესამე დღეა გადვალდებულნი თვის და ამინდი საშინლად შეიკვალა და მათ ამ დროს მოუწიათ ღია ცის ქვეშ გამოსვლა. წარმოიდგინეთ ესტრადის მოედანი, დახარბილი, ირგვლივ ქვება ყრა და იქ მოცეკვავე მსახიობები და. დღემდე ეს უკრა, სიხარულით, რომლებზეც მთელურ ცეკვას ასრულებდნენ, ანდა ა. ზარეკო და თ. სკიბი, რომლებიც აკრობატიკულ ნომერს ასრულებდნენ“.

1944 წლის თებერვალში წითელი არმიის შექმნის 22-ე წლისთავზე საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა დაჭრილი მეობრის კულტურული დასვენებისა და მომსახურების დღეები“.

ამ დღეებში არა მარტო კონცერტები იმართებოდა, არამედ საშფო ბრიგადის მსახიობები დილაადრიაანდ მიდიოდნენ და ესმარებოდნენ თანაშრომლებს პოსტიტლის დალაგებასა და კეთილმოწყობაში. „თეატრის კოლექტივი დღეადრიაანდ მთლიანი შემადგენლობით გამოცხადდა პოსტიტალში და მთელი დღის განმავლობაში ვალაგებდნენ პალატებს, ვაკეთებდნენ და გვერავდნენ თეთრეულს და წილებს, ვნიღბავდით ფანჯრებს, ვასწორებდით ელექტროგაყვანილობას და წყაგაყვანილობას, შეეკეთეთ ელექტროაპარატურა, რადიო და პატეფონი, გამოეშუთი კედლის გახეთის სპეციალური ნომერი“.

მუსიკალური ბრიგადის წევრებსა და მებრძოლებს შორის მუდამ გულთბილი ურთიერთობა მყარდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მსახიობებმა თავიანთი ისტატობით მსმენელი მოხიბლეს და მისი სიყვარული დაიმსახურეს. ნათქვამის საილუსტრაციოდ საინტერესოა თბილისის თეატრისა და ბალეტის თეატრის ცნობები მომღერლის, მ. ფეარალაშვილის ერთი მოკვანა:

„მოსკოვიდან და კიევიდან ევაკუირებული მსახიობები სისტემატურად მონაწილეობდნენ საშფო ღონისძიებებში, რომლებიც სამხედრო პოსტიტალში იმართებოდა.

აი, ერთ დღეს თბილისის პოსტიტლის ერთ-ერთი მოზრდილი პალატაში მიდის კონცერტი. დაჭრილი მებრძოლთა თხოვნით ერთსა და იმავე წაწარმოებს რამდენიმეჯერ ვივიორებდით. ჩვენს კონცერტს თითქმის დასასრული არ ჰქონდა. მსმენელთა აღფრთოვანებას კი — საზღვარი.

კონცერტის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ექიმი და გვითხრა: „ერთ პალატაში წვეს მძიმედ დაჭრილი რუსი მებრძოლი, რომელიც ვერ დაეცწრო თქვენს კონცერტს, იგი ვთხოვთ ინახულოთ. ჩვენ თანხმობა ვანვაჯხადეთ და პალატისაკენ გაემარაკეთ. მალე ჩვენ შევედით პალატაში და დავინახეთ ჯარისკაცი, რომელსაც ორივე ფეხი და

მარჯვენა ხელი მთლიანად და მარცხენა იდაყვამდე შეკვეთილი ჰქონდა. ჩვენ შესვლისას ჯარისკაცმა აფეხქმუნა ნაე წაპირსა. დაჭრილმა ხელით დაადარა თვალმუხამს ცხელი ხალოვი და თარხანოვი ექიმთან ერთად ახლოს მივიდნენ დაჭრილთან. ისინი ჩამოსდნენ 23-25 წლის ცისდღერთაღება ჯარისკაცის საწოლზე და მამამვილურა აღერისი გულთბილი საუბარი დაუწყეს. დაჭრილი დამუხა. აი გსურთ მოისმინოთ? — ვკითხეთ ჩვენ დაჭრილს. მას თვალები ცრემლებით ჰქონდა სასვე. ბინტებში შეკვეთული თავი გვერდზე გადაეხარა. ის ტირიდა. ჩვენ ცრემლებს ძლივ ვიკავებდით. ბოლოს ისე კახალოვმა ვეცინა:

— ყმაწვილო კაცო, აი თქვენთან არიან მსახიობები. ეს მიზელი თარხანოვიც, ეს ოლა კნიგერ-ჩხბოვიც, მე ვასილ კახალოვი, აი ეს კაცი კი — კახალოვა ჩემზე მთელითა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი მიზელი ყვარელაშვილი.

„მე თქვენ წავიკითხავთ მაქსიმ გორკის სიმღერას „ქაირმზალზე“. თანხმა ხართ? — მებრძოლმა ვაილიმა. კახალოვი ადგა, კმაყოფილების გამოხატეული ღიმილით შეხედა ჯარისკაცს, ერთ ნაბიჯით უკან დაიხია და თავი ის ბავერდოვანი, ღამაში ხმით დაიწყო კითხვა. ჩვენ ვაკვირდებოდით, როგორი ყურადღებით უსმენდა დაჭრილი მებრძოლი დიდი ისტატის არაჩვეულებრივ ხმას, ვაკვირდებოდით მისი სახის გამოხატეულებას. იმ წუთში იგი არ იყო უბრალო მსმენელი. მისი გონება ბრუნდის მთელ შორეთში ეკარგებოდა და კვლავ ბრუნდებოდა, მისი სახე ხან იხადებოდა, ხან კი იმუხნებოდა“ („შეხვედრა მებრძოლებთან“, „თეატრალური მოამბე“, 1975 წ.).

საქართველოს თეატრალური ხელოვნების მუშაკების დაწყების დღიდან მის დამთავრებამდე პირიანთლად ასრულებდნენ თავიანთ საპატიო მოვალეობას.

ომის მთელ პერიოდში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა ძალებით ჩატარებულ იქნა 27.164 საშფო კონცერტი, მათ შორის 1895 კონცერტი ფრონტის ხაზზე. თავდაცვის ფონდისათვის ხელოვნების მუშაკებმა 3 მილიონ მანეთამდე შეაგროვეს და ამით ღირსეული წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების დიდ საქმეში.

საქართველოს ხელოვნების მუშაკები მნიშვნელოვანდ უწყობდნენ ხელს დაჭრილ მეომართა სწრაფ გამოჯანმრთელებას, თეატრალური ხელოვნების ქალღმერთი ჩალის ზემოქმედებით აღაფრთოვანებდნენ წითელი არმიის მეომრებს, უღვივებდნენ მათ მტრისადმი უზალღვრო სიძულვეს და გამარჯვებისადმი დღითიღებულ უტოლას. ხელს უწყობდნენ ომის წარმატებით დამთავრებას, მტერზე საბოლოო გამარჯვების დაჩქარებას.

გარდასულ დროთა

ნაკვალევზე

კორა წერეთელი

გადაჭარბებდა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რევაზ თაბუკაშვილის ფილმებმა „კვალი ნათელი“ და „ალბური ვარსკვლავი“ შეძრა საქართველოს საზოგადოებრიობა. დედაქალაქის ეკრანზე გამოსვლამდე, მაყურებელთა თხოვნით, მოეწყო ამ ფილმების 37 საზოგადოებრივი გასინჯვა და თითოეული მათგანი სტიქიურად გადაიზარდა განხილვად. მაყურებლები გამოხატავდნენ გულახდილ აღფრთოვანებასა და პატივისცემას იმ ადამიანთა მიმართ, რომლებმაც მომავლისათვის აღადგინეს ჩვენს სახელოვან თანამემამულეთა საქმენი და სახელები. მაყურებელთა თხოვნით საქართველოს ტელევიზიით ორჯერ გადმოიცა ინტერვიუ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. მათ ჯეროვნად შეაფასეს დიდი პატრიოტული მნიშვნელობა ფილმებისა, რომლებიც შეიქმნა ურთულეს პირობებში, იმ ქვეყნებში ტუ-

რისტული მოგზაურობისას, სადაც კინოგადაღება მონოპოლიზირებულია. სულიერ და ფიზიკურ ძალთა რა დაძაბვა, რა დიდი პატრიოტული შთაგონებაა საჭირო, რათა დაძლიო ის უამრავი წინააღმდეგობა, ყოველ ნაბიჯზე რომ აღმოცენდება უცხო ქვეყანაში ყოფნისას და, რაც მთავარია, კონტაქტისა და ურთიერთობის რა ნიჭით უნდა იყო დაჯილდოებული, რათა განაწყო შენი თავისა და შენი საქმის მიმართ სრულიად უცხო ადამიანები, აუხსნა, დაინტერესო, შენი თანამოაზრე და თანაშემწე გახადო თითოეული მათგანი...

უცხო ქვეყნებში ძვირფასი ფაქტების ძიებისას რთული დიპლომატიური და საორგანიზაციო მხარეების მოგვარება იყო მხატვარ-დოკუმენტალისტისა და მკვლევარ-ისტორიკოსის მრავალწლიანი ფიქრის დამასრულებელი ეტაპი.

რევაზ თაბუკაშვილის ფილმები „კვალი ნათელი“ და „ალბური ვარსკვლავი“ ახალი სიტყვაა ქართულ დოკუმენტალისტიკაში თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ასეთი მრავალწლიანი მუშაობისა და ფიქრის ნაყოფს წარმოადგენენ. დღეს ფილმის წარმატებას, რომელსაც საფუძვლად უდევს დოკუმენტი, ფაქტი, მრავალწლი განაპირობებს დაკვირვების მრავალფეროვნება, ასოციაციითა ფართო წრე, მხატვრის აზროვნების დონე, მისი თავისებურება. ერთი სიტყვით, შემოქმედის პიროვნება, მისი სიღრმე და შესაძლებლობები განსაზღვრავენ ფილმის დონეს, რა უნიკალურ ფაქტებსაც არ უნდა ემყარებოდეს იგი. სწორედ მხატვრული აზროვნების მაღალი დონე გამოარჩევს, უპირველეს ყოვლისა, რევაზ თაბუკაშვილის ფილმებს.

წარმატებაში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი როლი შესრულა იმ გარემოებამ, რომ პირველად ქართული კინოს ისტორიაში ფილმი გადაიღო ცნობილმა დრამატურგმა, პოეტმა, მთარგმნელმა, საზოგადო მოღვაწემ, რომელიც თავისი უკანასკნელი ნამუშევრებით მკვლევარ-ისტორიკოსადაც მოგვევლინა. საინტერესო ფაქტების შთაგონებულ მაძიებელ-დილუტანტს, ან თუნდაც ნიჭიერ კინემატოგრაფისტს გაუჭირდებოდა ასეთი თანმიმდევრული, შინაგანი აზრით დატვირთული გამოკვლევა, დოკუმენტური მასალის ასეთი მეცნიერული გააზრება.

რევაზ თაბუკაშვილის პუტური ნიჭის ნყალობით მიხვილ თამარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნახევრადაცირცილი ფაქტები დიდი ჰუმანისტის, მეცნი-

ერისა და მოქალაქის შთაგონებული პორტრეტის დონემდე ამაღლდა, ხოლო მისი ცხოვრების უჩვეულო ამბავი ჩვენი მეცნიერების ისტორიის ამაღლევებულ ფურცლად იქცა. ავტორი თავისებურად, შემოქმედებითად იყენებს ფაქტის აღდგენის მეთოდს, გვერდს უღლის დოკუმენტური კინოს შტამპებს. პატარ-პატარა ფაქტებითა და დაკვირვებებით იგი აგებს თავისი ნაწარმოებების დრამატურგაის, თავის ფიქრსა და ძიებაში თანდათან აიყოლიებს მკითხველს, თანამონაწილედ ხდის მას. მკითხველი თანაუგრძნობს ავტორს, როდესაც ის კარგავს კვალს მიხეილ თამარაშვილის საფლავის ძიებისას, გულახდილად უხარია, როდესაც იტალიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის ტაძრის საწყობში ფიქრებისა და კარადების უკან, სრულიად მოულოდნელად ჩნდება დიდი ქართული მეცნიერისა და მოქალაქის ძეგლი. თანამედროვეებს ამ ძეგლზე ამოუკვეთიათ ეპიტაფია — მადლობა ღირსეული ცხოვრებისა და ღირსეული სიკვდილისათვის. ავტორი კადრს მიღმა მშვიდად ესაუბრება მკითხველს, უკეთებს კომენტარს ყოველივეს. ილუსტრაცია აქ მეორე პლანზე გადადის. მთავარია აზრი და არაი იმისა, რაც ეკრანზე ხდება. ამიტომაც გამოსახულება აქ თხრობის ილუსტრირება კი არაა, არამედ ხედვითი რიგი ფაქტობად რეაგირებს მიხრობელის სულიერი მდგომარეობის გრადიენტზე. ფილმის ავტორი იკვლევს არა მარტო აზრსა და არსს იმ შრომისა, რომელსაც სამშობლოდან გადახვეწილი მეცნიერი ეწეოდა თავისი ერის ისტორიის შესახებ, არამედ მისი ცხოვრება-გმირობის არსს. ორი თობა გამოიკვალა მას შემდეგ, რაც უბრალო იტალიელი ხელოსნის გადარჩენისას დაიღუპა დიდი ქართველი მეცნიერი. ავტორი კვალდაკვალ მისდევს ამ მოვლენას და აღდგენს, რომ ამ უცხო ქვეყანაში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც არა მარტო დააფასეს მიხეილ თამარაშვილი, არამედ იზრუნეს კიდევ შთამომავლობისათვის მისი სახელის გადასარჩენად. მკითხველი იკებს უცნობი იტალიელის სახელს, რომელმაც მიხეილ თამარაშვილის საფლავისათვის საჭირო თანხა 70 წლის ვადით გადაიხადა. ჩვენ ვერ დავადგინეთ, ვინ იყო ის ჩვენი მეგობარი, ქართველი ხალხის მადლობა რომ დამსახურა, სად ცხოვრობდა, როდის გავრდაიცვალა, სკვდიანი ხმით ვაუწყებს ავტორი, მაგრამ ამ უცნობი იტალიელის ხატება სამუდამოდ რჩება ჩვენს მეხსიერებაში. ამგვარად ერთი ერის კუ-

ლტურულ ღირებულებათა მემკვიდრეობითობის საკითხი ფილმში საერთოდ კაცობრიობის წინეობრივ ღირებულებათა მემკვიდრეობითობის საკითხად იქცევა. „ალბურ ვარსკვლავში“ ეს თემა კვლავ მეორდება სხვა დონეზე და სხვა მხატვრული გადაწყვეით. მაგრამ ამგვარი ფაქტების მიზანდასახულ ძიებასა და გაზრებაში იგრძნობა ავტორისეული კონცეფცია — კონკრეტული პიროვნების ბედში ისტორიული, ეროვნული თუ ზოგადკაცობრიული ბედის ნიშნები ამოიკნის. რეალურად არსებულ ადამიანთა ცხოვრების კონკრეტული მასალა, ავტორის მიერ ზედმიწევნით შესწავლილი, იძლევა იმპულსს იდეური და მხატვრული განზოგადებისათვის ისე, რომ არ კარგავს თავის დამოუკიდებელ ღირებულებას. მასალის თავისებურებებმა, საფუძვლად რომ დაედო მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიის პარტიზანულ რაზმებში ქა-

ნ. შალაზოია. პლაკატი ფილმისთვის „ალბური ვარსკვლავი“.



ბეჯაღი ნათელი



ნ. მალაზონია.
პლაკატი ფილმისთვის „კვალი ნათელი“.

რთველ მეომართა ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველ ფილმს, სხვაგვარი გააზრება მოითხოვდა ავტორისაგან. ფილმში „კვალი ნათელი“, ადამიანები, რომლებსაც ხვდებოდა ავტორი, მისთვის საინტერესო ობიექტური მასალის მხოლოდ მერთალ ანარეკლს წარმოადგენდნენ — (ვილაცას რაღაცა სმენია, ვილაცას ზაეშვობაში გაუგია) და შემდეგ წარსულის ეს „აჩრდილები“, დამამტკიცებელი საბუთების ძიებისას, დოკუმენტებით მოწმდებოდა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქცია.

„ალბურ ვარსკვლავში“ კი მოვლენათა უშუალო მონაწილენი აღადგენენ ყოველივეს.

წარსულზე მღელვარებით ლაპარაკობენ ყოფილი თანამებრძოლები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ხანშიშესული იტალიელი გლეხები, ომის წლებში პარტიზანებს რომ მალავდნენ. ისინი მოგვითხრობენ ერთმანეთზე, გარდასულ დღეთა მოვლენებზე და ვითარებებზე, უმაგალითო გმირობით სახელგანთქმულ ადამიანებზე. მშვიდად, ტაქტით, გონიერად, ყოველგვარი ეგზალტაციის გარეშე (ფაქტები ხომ თავისთავზე მეტყველებენ!) მიჰყავს ეს რეპორტაჟი-ინტერვიუ ფილმის ავტორს. თავისი კომენტართა და იმპულსებით იგი მიმართულებას აძლევს ფილმს

იმ მოვლენათა დსიქოლოგიურ სიდრემში ჩასანვლობად, ფონდოტორე დი ვერბანაში, კუნძულ იზოლა ბელასა და ტბა დაგომაჯორეს მიდამოებში რომ მოხდა, სადაც 1943 წელს, იტალიელი გარიბალდელების გვერდით, იბრძოდნენ 5000 საბჭოთა მეომრისაგან შემდგარი პარტიზანული შენაერთები. მათგან ათასი მეომარი — ქართველი იყო. ფილმი მოგვითხრობს იმაზე, თუ რა მტკიცე აღმოჩნდა სისხლით შედუღებული ძმობა. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ დღეს ეს ადგილები ქართველთა ხსოვნითაა აღბეჭდილი (ფილმის ავტორი ფაქიზად აგროვებს ასეთ ფაქტებს). აი, ბიჭი, რომელსაც მამამ, დაღუპული ქაწაველი მეგობრის ხსოვნის აღსანიშნავად ნასყიდა დაარქვა... ან კიდევ „ქართველ პარტიზანთა ქუჩა“ პატარა ქალაქ დაგომაჯორეში. ეს ხსოვნა მხოლოდ წარსულს როდი ეკუთვნის. ამას მხოლოდ თანარაზმელთა ნამტყნაველ სახეებზე როდი ვკითხულობთ. ამ ხსოვნის მემკვიდრეობითობა იკითხება ყოფილ პარტიზან ლუიჯი კრისტინასთან საუბრის ეპიზოდში. ამ კაცმა თანამებრძოლთა შეხვედრანზე თავისი ვაჟი ძველ პარტიზანულ ქურთუკში გამონწყობილი მოიყვანა „...ამ შეხვედრებში ორი თვის შემდეგ ლუიჯი კრისტინი გარდაიცვალა, — ამბობს ავტორი. მაგრამ მან თავის ვაჟს არა მარტო მომავლისაკენ ყურება, არამედ წარსულისაკენ მიხედვაც ასწავლა“.

ფილმის ცენტრალური ეპიზოდია ფორე მოსულიშვილის დაღუპვის ჭეშმარიტი სურათის აღდგენის ეპიზოდი. ფორე მოსულიშვილის სიკვდილი რომ ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია პარტიზანული ბრძოლისა, ამას ერთხმად აღიარებენ იტალიელი გარიბალდელები.

და აი ეკრანზე მისხალ-მისხალ ხდება ამ ფაქტის აღდგენა. პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, აქ ტერეზინა მონტის ეკუთვნის, რომელთანაც ფორემ თავის მეგობრებთან ერთად უკანასკნელი საღამო გაატარა. „მე მინდოდა ისინი აქ დარჩენილიყვნენ — იგონებს ტერეზინა მონტი, მაგრამ ფორემ უარი თქვა, არ უნდოდა ჩემი ოჯახის საფრთხეში ჩაგდება“.

შემდეგ თანამებრძოლთა ერთი მოგონება ცვლის მეორეს, ავსებს, აკეთარებს წინამორბედს, სიხვადე შეაქვს იმ ფაქტებში, უნინ რომ უდავო ჩანდა. გამოცდილი ოპერატორების ლომერ ახვლედიანის, ენრიკო გერმესაშვილისა და გენო რევიას-შვილის კამერა თვალსაჩინოს ხდის პარ-

ტ. მარტიოხის ს. საქ. სსრ
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ტიზანთა და სოფლის მეცხოვრებათა მონა-
ყოლს. კამერა თითქოს თვით ხდება ამ ძი-
ების აქტიური მონაწილე. ფორე მოსული-
ნილის გმირობის უკვე ცნობილი, ჩვენსა
თუ იტალიურ პრესაში მრავალჯერ აღნე-
რილი ფაქტი მოულოდნელად სრუ-
ლიად ახალ და გაცილებით მნიშვნელო-
ვად ელფერს იძენს. ცნობილია, რომ გერ-
მანელებმა ალფა შემოარტყეს ფიცრულ
ქობს, სადაც პარტიზანები იყვნენ გამაგ-
რებულნი და მეთაური მოითხოვეს. თუ
მეთაური არ გამოვა, ყველას ამოგზოცა-
ვით. მაშინ ქობის კარებში გამოჩნდა.
ფორე. „მე ვარ რაზმის მეთაური — თქვა
მან, — გაუმარჯოს თავისუფალ იტალიას!
გაუმარჯოს საქართველოს!“ და თავი
იკლა. ფილმში ახალ მონმება ჩვენებით
დადგინდა, რომ იმ დროს ფორე მოსული-
შვილი არ იყო რაზმის მეთაური და ამი-
ტომ მისი საქციელი მეომრის მაღალი მო-
ვალეობის შესრულება კი არ იყო, არამედ
ტყუპმარტივი თავგანწირვა. შემდეგ გერმა-
ნელებმა ნახეს, რომ ფორეს გულზე ვარსკ-
ვლავი ეკეთა. მიხვდნენ: იგი არც მეთაუ-
რი იყო და არც იტალიელი.

ფილმი ჩვენ კიდევ ერთი უპრეცედენ-
ტო გმირობის მონმებდა გვხვდის. დოკუ-
მენტური კადრები მოგვითხრობენ ადამი-
ანზე, რომელიც თხრის შამბნარმოკიდე-
ბულ მხოლოდ სადა ჯვრით აღნიშნულ
უპატრონო საფლავებს და სასაფლაოზე
გადააქვს დალუპულთა ნაშთები. ავტორი
მიმართავს ამ საოცარ ადამიანს, რომელ-
მაც სიცოცხლე გასწირა უცხო მიწის
შვილთა ხსოვნის გადასარჩენად და იმ
უკურნებელი სენისაგან გარდაიცვალა,
ამ მიმე სამუშაოს შესრულებისას რომ
შეყვარა:

„ნიკოლა გროზა! ზნეობით წმინდაც და
სულით მაღალ! შენი გმირობა გამორჩე-
ულია ყოველგვარი გმირობისაგან...“

შენი და შენი მეუღლის წაფლობით შე-
იქმნა ტერონში „კამპო დელა გლორიად“
— „დიდების ველად“ წოდებული უზარმა-
ზარი სასაფლაო. შემდეგ კადრში ნაჩვენე-
ბია რთოეული საფლავი ცალ-ცალკე, რა-
თა მაყურებელმა უკეთ დაინახოს საფლა-
ვის ქვაზე ამოკვეთილი წარწერები, იმ ქა-
რთველ ვაჟაკათა გვარები, თავი რომ შე-
სწირეს თავისუფალი იტალიისათვის
ბრძოლას.

„იტალიაში ყოფნისას მივაკლიეთ აქა-
მედ უწინბო არქივებს და დღეს ამ ფილმში
პირველად დავასახელებთ იტალიაში და-
ლუპული ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრთა
80 გვარს“, — განაცხადებს ავტორი და აი,

ერთი მეორის მიყოლებით ისმის გვარე-
ბი... არქივებში, იტალიელ გლეხთა თუ
ყოფილ პარტიზანთა ოჯახებში მოპოვე-
ბული ფოტოსურათები აღადგინენ ძუნწ
ცნობილ მონაწილას მონაზე დალუპულ ქარ-
თველ მეომართა შესახებ...

ამ ცნობებმა ფილმის ჩვენების დღეებ-
ში ააფორიაქა საქართველოს მაყურებე-
ლი. მიუღს რესპუბლიკას გადაფარა მო-
გონებათა ტალღამ. ტელევიზიის კინოგა-
დაცემათა რედაქციაში და საქართველოს
კინემატოგრაფიის კომიტეტში დაუსრუ-
ლებლად რეკავდნენ ადამიანები, რომლე-
ბიც პირადად იცნობდნენ ამ გმირებს. აღ-
მოჩნდნენ ისეთი ოჯახებიც, რომლებმაც 35
წლის მანძილზე პირველად გაიგეს ახლო-
ბელთა დალუპვის ადგილი. თბილისელი
სტეპან ბონდარენკოს შვილებმა, პრემი-
ერის დღეს პირველად ფირზე დაინახეს მა-
მის საფლავი.

კინემატოგრაფისტი და მკვლევარი უა-
ხლოვდება ფილმის ფინალს, სადაც პატ-
რიოტული თემის ტოლფასოვნად კვლავაც
უღერს ჰუმანიზმის ესტაფეტის თემა. კა-
დრშია კაპიტან მონტის სახელით ცნობი-
ლი გიორგი ვარაზაშვილის საფლავი იტ-
ალიური წარწერით: „გამეღელო შეჩერდი,
აქ განისვენებს პატრიოტი, რომელმაც
შენ თავისუფალი იტალია გაჩუქა“. შემ-
დეგ კამერას გიორგი ვარაზაშვილის მშო-
ბიოურ გურჯაანში გადავყავართ. აქ სა-
ზეიმოდ იხსნება მემორიალური დაფა,
რომელიც იტალიელმა მეგობრებმა გმი-
რის სამშობლოში გამოაგზავნეს. და ისევ
დაგომავთვით, სადაც ქართულ პარტიზან-
თა ნათესავეები და თანამებრძოლები,
ღრმად დაფთქებულნი დგანან თავიანთ
ახლობელთა დიდი სიყვარულით მოვლილ
საფლავებთან.

უცხო მიწაზე დალუპული ყველა ქარ-
თველის ემიტაციადა უღერს დროისაგან
უკვე გაყვითლებული გაზეთის სტრიქო-
ნები: „... დაიღუპა ქართველი პარტიზანი.
ამ სიკვდილმა კიდევ ერთხელ დაგვაფიქ-
რა იმ ხალხის სიღაღებე, რომლის შვი-
ლებსაც ასე შეუძლიათ ბრძოლაც და სიკ-
ვდილიც, მაშინაც კი, როცა სამშობლოს
ათასობით კილომეტრი აშორებთ.“

პატრიოტული იდეით შთაგონებული და
საქართველოს მამაც შვილთა სადიდებ-
ლად შექმნილი რ. თაბუკაშვილის ეს შე-
სანიშნავი ფილმები ეძღვნება მსოფლიოს
ყველა ღირსეულ ადამიანს, რომლებიც
წარსულისაგან მიხვდვასთან ერთად მო-
მავლისაკენ იყურებიან და არსოდეს კარ-
გავენ დროთა ცოცხალ კავშირს.

რუსთავის თეატრის ათი წლისთავი

ნადედა შალუტაშვილი

თეატრებს, როგორც აღამიანებს, თავისი საკუთარი ბიოგრაფია, თავისი ხასიათი აქვთ. ზოგი თეატრი ათეულ, ასეულ წლებს მოითვლის, ზოგი კი სულ ახალგაზრდაა, ზოგი ღიწი, აკადემიური ტრადიციების მატარებელია. ზოგიც ახალგაზრდულად ეშფოთივარე, დაიოუკიდებელი და მძიბებელი... ამ ბოლო ათეულ წლებში საქართველოში საყოველთაოდ აღიარებულ კოლექტივებს გვერდით ამოუდგა ახალგაზრდობა, — მეტეხის თეატრი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრი-სახელსონო, ამჟამად მოღვაწეობას იწყებს ლენინის რაიონის სრულიად ახალი, ჭერ კიდევ ფეხაუდგამელი კოლექტივი. ამ ახალგაზრდა და ახალგაზრდულ თეატრებს შორის ყველაზე დღაწეწილია რესპუბლიკის ერთ-ერთი ინდუსტრიული ქალაქის, რუსთავის თეატრი.

ამ ათიოდე წლის წინათ, როცა ჩვენში განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეროვნული თეატრის შემდგომი განვითარების პრობლემები, როდესაც პრესაში, დისკუსიებებზე, ყოველ თეატრალურ თავყრილობაზე მწვავე კამათი იმართებოდა და ჰუმბოლტად კონფლიქტური სიტუაციები იქმნებოდა, ამ კონფლიქტებს იწყვედა არა თაობათა ზრდილა, არამედ შემოქმედებითი თვალთახედვის პრინციპების მკვეთრი განსხვავება. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს, რეჟ. გ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, გამოეყო ნიჭიერი ახალგაზრდობის ჯგუფი (მათ მიემატნენ ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები და თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდები), რომელმაც საკუთარი თეატრის შექმნა განიზრახა.

ახალგაზრდობის მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრიდან წასვლა, პირველ რიგში, იმით იყო გაპრობებული, რომ მას სურდა საკუთარი, განსხვავებული სიტყვა ეთქვა ხელოვნებაში, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აეშენებინა ახალი, პოეტური, რომანტიკული თეატრი, რომელიც მთავარ ამოცანად დაისახავდა თანამედროვეობის მხარდამხარ სვლას...

მთავრობამ, რუსთავის ქალაქომა ახალგაზრდებს მხარი დაუჭირა, აღმოუჩინა ყოველგვარი დანხარება. რუსთავში დიდი კულტურის სახლი სპეციალურად გადაკეთდა, შეიძინეს ახალი აპარატურა, მოაწყვეს მაყურებელთა დარბაზი. ამ დროს კი ახალი საქმის მოთავეები ხან სად და ხან სად მართავდნენ რეპეტიციებს.

თეატრის გახსნა გადაწყდა ოქტომბრის 50 წლისთავის საღესთსწავლო დღეებში. დიდი შრომა და გარჯა, ჰუმბოლტად შემოქმედებითი თავდადება - დასჭირდათ ახალგაზრდა ენთუზიატებს, რათა შეერჩიათ პირველი სეზონის რეპერტუარი, ღირსეულად წარმდგარიყვენ მაყურებლის წინაშე.

ახალი თეატრის დაბადებამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია: ანტიომაც იყო, რომ თეატრის გახსნის დღეს რუსთავს ბევრი თბილისელი სტუმარი ეწვია, დარბაზში შეიქმნა ხალხმრავალი, ჰუმბოლტად საღესთსწავლო და ამავე დროს დაძაბული, მღელვარებით საესე ატმოსფერო...

დაიწყო წარმოდგენა, სცენაზე ამეტყველდნენ ფრანგი დრამატურგის როსტანის ცნობილი რომანტიკული დრამის „სირანო დე ბერკერაის“ გმირები.

რამ გამოიწვია ამ პიესის არჩევანი? ბირველ რიგში, რასაკვირველია, იმან, რომ ქართულ რეპერტუარში ვერ მოიხაზა მისთვის იმ დროს საჭირო ისეთი საპროგრამო ნაწარმოები, რომელშიაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემოქმედებითი პრინციპების გამოვლინება, რისთვისაც შეიქმნა ახალი თეატრი.

„სირანო დე ბერკერაის“ დადგმით თეატრი ერთგვარად შეებრძოლა ძველ ტრადიციას, დაამტკიცა, რომ მისი სწრაფვა განზოგადებული პოეტური ფორმებისაკენ, ყველ მოზობილური რომანტიკისადმი უპირისპირდებოდა კედლ პათეტკას, სენტიმენტალობას, კოთორბებს, რომლებიც ხშირად აყაღებენ, აფუასურებენ ხელოვნებას.



სენა სპექტაკლიდან „სირანო დე ბერკერაკი“. როქ-სანა — ქ. კიკნაძე, სირანო — ო. მეღვინეთუხუცესი, ლებე — ნ. მაგლობლიშვილი.

ამ დროსათვის უკვე გამოცდილმა, ნიჭიერმა რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, სპექტაკლის სხვა შემქნელებთან ერთად, ახლებურად წაიკითხა პიესა. თეი სპექტაკლის ფორმა (მხატვარი მ. მაღლობანი), მსახიობთა თამაში — ყველაფერი ჭეშმარიტ მხატვრულობითა და გემოვნებით გამოირჩეოდა. რასაკვირველია, „სირანო დე ბერკერაკი“ ამოღებული სპექტაკლი იყო, მაგრამ რომანტიკული ზემოქმედების ანსამბლში არცერთი ყალბი ნოტი არ ერია. სპექტაკლის შუაგულში „კამჩის ტყავში მოქცეული პოეტური სულის“ პატრონი გასკონელი სირანო დე ბერკერაკი იდგა. ამ როლის შემსრულებელმა, დღეს საყოველთაოდ აღიარებულმა და პოპულარულმა მსახიობმა, სსრკ სახ. არტისმა ო. მეღვინეთუხუცესმა სირანო წარმოადგინა როგორც სულიერად ულამაზესი ადამიანი, ვეჟაკობის, რაინდობის განსახიერება. ო. მეღვინეთუხუცესი კაპიტორონიტი ამოღებდა ტონს მივლ წარმოდგენას. რეჟისორის მიერ გონებამახვილურად, სინტერესოდ მოინახულ მიზნსცენები, მხატვრის მიერ ფერადონად ამტყველებული გარემო — ყველაფერი შინაგანად, ღრმად, დამაჯერებლად ასხამდნენ ხორცს ო. მეღვინეთუხუცესის, მ. გორგილაძე (ქრისტინი), ქ. კიკნაძე (როქსანა), რ. ხობუა (რავნო) და სხვა შემსრულებლები.

სპექტაკლით მოხიბლული ცნობილი რუსი რეჟისორი და თეატრალური მოახროვენ ბ. ლვოვ-ანოხინი წყნარად, რომ ამ წარმოდგენაში რომანტიკული სულისკადა იყო ზედამიწული, ადგილი არ ჰქონდა მელოდრამატოზმს, რითაც ამ პიესის დადგმისას ბევრი თეატრი სცილდვდა. ამ დადგმაში რეჟისორმა, მხატვარმა, მსახიობებმა პირწინდად უჩაყვეს თეატრალიზის, გარეგნული ბრუკვილის, ეფექტურობის ყველა ცდუნება.

ყველამ აღიარა ახალი კოლექტივის დაბადება, მისი უცილობელი შემოქმედებითი გამარჯვება...

...პირველმა სეზონებმა ნათლად დაადასტურეს რუსეთის თეატრის სწრაფვა სერიოზული, ღიბნიშენლოვანი პრობლემების გადაჭრისაკენ. ახლგაზრდებმა ახალ სცენაზე გადმოიტანეს ქ. მარკაინიშვილის სახელობის თეატრის ზოგიერთი წარმოდგენა („კახაბერის ხმალი“, „მთაწმინდის მთვარე“ და სხვა). პირველსავე სეზონებში გამოიკვეთა თეატრის ძირითადი სარეპერტუარო პრინციპები, მისი სწრაფვა თანამედროვეობისაკენ. სპეციფიკურად ამ თეატრისათვის დაწერა ო. იოსელიანმა პიესა „მოკლადობელი მწვერვალი“, რომელშიც ქველად ქართული მთავრეგლთა პროფესიის ვეჟაკური რომანტიკა...

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ თეატრი იწყება დრამატურგიიდან, ამიტომაც გასაგებია თეატრის დაქონებული ძიება საკუთარი დრამატურგის აღმოსაჩენად. პირველ სეზონებში რეპერტუარში შევიდა პ. კაკაბაძის, გ. მღვიანის, ქ. ლორთქიფანიძის, ო. იოსელიანის, გ. ხუბაშვილის, ა. ჩხაიძის, თ. ჭილაძის და სხვათა პიესები. მას აწვდინებდა თარგმნილი ნაწარმოებებიც (როზოვის „მისი მეგობრები“, ოტშენაშვილის „რომეო და ჯულიეტა და წყვილია“, ედუარდო დე ფილიპის „კომედის ხელოვნება“, შუარცის „ჩრდილი“, სკოვრონიკის „მაესტრო“, ვასერმანის და დერიონის მიუზიკლი „ლამანჩელი“).

ახლანდელია, რომ პირველსავე სეზონებში გ. ლორთქიფანიძემ მოინახა შემოქმედებითი თანაზოზრე ცნობილი რუსი მწერლის ვ. კოროსტილევის სახით. თეატრმა დიდის წარმატებით დადგა მისი დრამა დეკაბრისტების შესახებ „ასი წლის შემდეგ“ და პიესა „მე მჭერა შენი“. შემდეგ ეს თანამედრობობა რეჟისორისა და დრამატურგის შორის არა მარტო ვაგრძელდა, არამედ განმტკიცდა. აბგვარად იწვა მარტოობის დღესასწაული („ფორსემანი“). დაძაბულ, იდეურად მკვეთრ ანსამბლურ წარმოდგენაში „ასი წლის შემდეგ“ დიდი სიძლიერით გამოჩნდა არა მარტო გ. ლორთქიფანიძის რეჟისორულ ხელოვნება, მაღალი გემოვნება, არამედ ახლგაზრდა მსახიობთა შედუღებულ ანსამბლი. ეს იყო მოქალაქეობრივი ზნეობის დამამკვიდრებელი, თეატრალურად მეტყველი და, ამავე დროს, მკაცრი სპექტაკლი, რომელშიც მსახიობთა თამაშის თავშეკავებული მანერა ყველაფერი შეესაბამებოდა კოროსტილევის რთული და ბრძნული პიესის სტილს.

სპექტაკლში ჭეშმარიტად შთაბეჭდილი სახეები შექმნეს ი. უჩაინიშვილმა (გლორია), მ. გორგილაძემ (ოლზესკის), ნ. მაგლობლიშვილმა (რილევეი). პრესისა და თეატრის მოყვარულთა საერთო აღიარება პიესა ო. მეღვინეთუხუცესის მეტად ორიგინალურად, დიდი შთაბეჭ-



ბით განსახიერებულმა რუსეთის ეანდარმის ნიკოლოზ I სხემ.

თეატრში, რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის გარდა, მთელი რიგი სპექტაკლებისა დადგეს რეჟისორებმა ი. კაკულიამ, ნ. გაჩაავ, გ. ანთაძემ, მ. კუჭუხიძემ, თ. მესხმა და სხვ. ზოგი მათგანი უკვე მომწიფებული, გამოცდილი ისტატი იყო. ი. კაკულიას მიერ დადგმულ ულარესად ყურადსაღებ, აქტიორულად საინტერესო სპექტაკლში „კოწივიის ხელოვნება“, პრესა აღნიშნავდა ლ. ანთაძის, გ. სიხარულიძის, ლ. მიშვილიძის ჰუმორისტ აქტიორულ წარმატებებს.

მ. გორკის კლასიკურ პიესაზე „ფსკერი“, გ. ლორთქიფანიძისთან ერთად მონაწილეობითა და გატაცებით მუშაობდა რეჟისორი ნ. გაჩავა. ამ სპექტაკლმა არა მარტო ქართული, არამედ რუსი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

რუსთავის თეატრის ეს დადგმა ერთგვარად უპირისპირდებოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის აღიარებულ, ტრადიციულ წარმოდგენას. იგი განსხვავებული იყო თავისი სცენოგრაფიით (მხატვარი თ. სუშმათაშვილი), პიესაში მოქმედ პერსონაჟთა სხვაგვარი დაპირისპირებით, თავისებური აქცენტებით დამდგმელებმა ყოფა, ნატურალისტური დეტალები თავიდანვე უარჰყვეს. ეს იყო ეპიკური, მონუმენტური სანახაობა, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით სვამდა ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემას, დაჩაგრულთა სწრაფვას უკეთესი ცხოვრებისაკენ.

1969 წლის გასტროლების დროს მოსკოვში, სხვა წარმოდგენებთან ერთად, გორკის პიესის ახლებურმა წახეხვამ პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა. სპექტაკლს „ფსკერზე“ იწონებდნენ ცნობილი რუსი კრიტიკოსი პ. მარკოვი, რეჟისორები მ. კენელი, გ. ვოლჩიკი და სხვანი. პ. მარკოვმა გამოსთქვა აზრი, რომ „მსახიობების დამოკიდებულება მათ მიერ განსახიერებული გმი-

რებისა და საერთოდ სპექტაკლისადმი, გორკის შემსრულებელთა სათვის დამახასიათებელი ანსამბლურობის არა მარტო გაგება, არამედ ორგანული შეგრძნება, ალტაცება იწვევს“.

თეატრი სულ ორ წელს ითვლიდა, როცა მოსკოვში ჩატარებულ გასტროლებზე საერთო აღიარება, სპეციალისტთა უღვათ მადალი შეფასება დაიმსახურა.

მაგრამ შემოქმედებითი კოლექტივი თავისას ეძებდა, დღევანდლობაში სურდა ამოეცნო ცხოვრებისეული კონფლიქტები. ასე მოვიდა თეატრში ა. ხანიძე თავისი პრობლემური პიესით „ხიდი“. რუსთავის თეატრს არაერთგზის გაუკავავს გზა ახალი ნაწარმოებისათვის, გამოუწვევია მისდამი სხვა თეატრალური კოლექტივების ინტერესი. ასე მოხდა ამჯერადაც — ამ სპექტაკლის დიდმა წარმატებამ (რეჟ. ნ. გაჩავა), დასმული პრობლემების სიძაფრემ, მშვენიერმა აქტიორულმა ანსამბლმა (მარიამი — ზ. ლებანიძე; ევგენიძე — ი. უჩანეიშვილი, ანზორი — გ. ბერიკაშვილი, ირაკლი — თ. არჩვაძე და სხვა) მიიქცია მაყურებელთა და კრიტიკის ყურადღება. „ხიდი“ დაიდგა ბევრ თეატრში, ითარგმნა სხვადასხვა ენაზე.

რუსთავის თეატრის კოლექტივი დრამატურგიის სხვადასხვა ენაში ცდიდა თავის შესაძლებლობებს — ტრავედია, დრამა, სატირული კომედია, ფსიქოლოგიური დრამა, პიესა-ზღაპარი და ყველგან საყუთარ თვალთახედვას აძლავდნენ.

1970 წ. მოდურ ენარს-მიუზიკლას მოჰკიდეს ხელი (რეჟისორები — გ. ანთაძე, ნ. გაჩავა). სპექტაკლი განსაკუთრებული პლასტიკობით, რიტმულობით, მუსიკალობით გამოირჩეოდა. თ. მეღვინეთუხუცესმა ამ სპექტაკლში გვიჩვენა თავისი მრავალზრივი ნიჭის ახალი წახანავები. მისი დონ კიხოტი (სერვანტესი) არა მარტო მღეროდა, მსახიობი თავისი დახვეწილი პლასტიკის საშუალებით ხსნიდა განსახიერებელი ორი გმირის გან-

სცენა სპექტაკლიდან „მეფე ლირი“. ლირი — ა. ვასაძე, კორდელი — ზ. გიორიშვილი.



სხვაებულ და, ამავე დროს, რაღაცით მსგავს ადამიანურ ხასიათებს. შესანიშნავი იყო ლ. ანთაძის სანჩო ჰანსა — იუმორით სავსე, უაღრესად „მიწიერი“, გულბრწყვილი და, ამასთან, ბავშვითი ეშმაკი და პრაქტიკული მგზნებარე, ცეცხლოვანი და მომზიბველი იყო ზ. ლე-ბანიძის დულსინია... სპექტაკლში ბევრი რამ იყო პირობითი, მაგრამ, ამასთან, იგი დიდი შინაგანი სიმართლით და რომანტიკული აჰალგებულობით გამოირჩეოდა.

1973 წელს თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა ბათუმში, დიდი მუშაობა ჩაატარა აჭარის მშრომელთა შორის და მათი საერთო სიყვარული და აღიარება მოიპოვა.

ამავე დროს, რუსთავეის თეატრი დაუახლოვდა უზგურელ კოლექტებს. დაიწყო გასტროლებისათვის სერიოზული სამზადისი, ორ სეზონში მომზადდა ახალი დად-

იმპულსების წყაროდ იქცეოდა, დამდგეულზე დადგმა ატრმა უფრო რთული გზა აირჩიეს — მათ მსჭვალავდა რად შესუსტეს ნაწარმოების გარეგანი პათოსი და შექმნეს დიდებული, სადა, შექსპირისეული ელვადობის წარმოდგენა, რომელიც მოქმედებდა არა მარტო მაყურებლის მოციგებზე, არამედ სერიოზულ ფიქრებს ბადებდა საკუთარი ხალხის ისტორიაზე. სპექტაკლის სცენოგრაფია ლაკონიური, მკაცრი იყო, მკაცრი, როგორც თვით მოქმედების ეპოქა, თავდაპირველი იყო მსახიობთა პლასტიკა, შინაგანად დაძაბული სპექტაკლის რიტმული მონახაზი.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა. უაღრესად რელიეფური, კოლორიტული, შინაგანად მნიშვნელოვანი სახეები შექმნეს ო. მეღვინეთუხუცესმა (ბანკი), თ. არჩვაძემ (ჩაინდი ბიბერახი), ნ. მგალობლიშვილმა (ოტო), ა. ვასაძემ (პეტერი), ნ. მუ-



გებები — ბერგმანის „წარღვნა“ (რეჟ. ნ. გაჩავა), შ. დალიანის „გუშინდელი“ (რეჟ. ა. ვასაძე), ვ. მაიაკოვსკის „აბანო“ (რეჟ. ი. კაკულია) და სხვა.

ბუდაპეშტში გასტროლებისათვის მზადების პერიოდში თეატრი განსაკუთრებული მონდომებით მუშაობდა უნგრელი კლასიკოსის იოჟეფ კატონის ისტორიულ-პატრიოტულ პიესაზე — „ბანკ-ბანი“.

ამ წარმოდგენის დასადგმელად საჯანგებოდ მოწვეული იყვნენ იოჟეფ ატილას სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი, ისაის სახელობის პრემიის ლუარაბეტი გაბორ ბერანი, მხატვარი არპად ჩანი, ბუდაპეშტის ნაციონალური თეატრის მხატვარი ნელი ვაგო და კომპოზიტორი ემი ევედუში. კატონას პიესის რომანტიკული პათოსი ავდილად „მოურგო“ ქართველ მსახიობთა ტემპერამენტს. იყო სამიშრობეა, რომ პიესა ემოციური

ხელომეოლა (მელანდა), თ. სიბიტლაძემ (პეტრუდა), თ. მისიტრაძემ და გ. სიხარულიძემ (ტიობრცი) და სხვ.

ლ. სოლნცევა ეურნალ „თეატრის“ ფურცლებზე მაღალ შეფასებას აძლევდა ამ წარმოდგენას, წერდა, რომ „თეატრის კოლექტივი, როცა სიცოცხლეს ანიჭებდა XIX საუკუნის შესანიშნავი შემოქმედის ნაწარმოებს, როგორც ჭეშმარიტი თანამოაზრე, უნგრელ მეგობრებთან ერთად თანაქედროვე ადამიანის ზნეობრივი პრობლემების ზუსტი თანაფარდობით მოქმედებდა“.

1974 წელს შედგა თეატრის გასტროლები ბუდაპეშტში. დიდი მოწონება ხვდით წილად სპექტაკლებს — „ბანკ-ბანი“, „ასი წლის შემდეგ“ და „კახაბერის ხმალი“. უნგრეთში ჩასულ სტუმრებს მაყურებელი აღტაცებით ხვდებოდა. რეცენზიებს წერდნენ არა მარტო თეატრზე, მის რეჟისურაზე, მსახიობთა ნიჭზე და მა-



ლალ პროფესიულ კულტურაზე, არამედ დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი ერის წარსულისადმი, დღევანდელი სადაში და ჭეშმარიტად ძმურად ხვდებოდნენ საქართველოს ხელოვნების ღირსეულ დეკანუზებს.

რუსთავის თეატრს დღესაც მჭიდრო კავშირი აქვს უნგრელ კოლეგებთან. ვარდა ამისა, იგი ხშირად მიმართავს დემოკრატიული ქვეყნების დრამატურგიის გასცენურებას, წარმატებით დაიდგა მსოფლიოში ცნობილი დრამატურგის ელზარდო დე ფილიპოს პრობლემური ნაწარმოებები („კომედის ხელოვნება“ და „ცილინდრი“). მან პირველმა ქართველ მსახურებელს გააცნო იტალიური დრამატურგის პირანდელოს შემოქმედება („ავტორის მამიებელი პერსონაჟი“), რომენ როლანის ფილოსოფიური, ავტორი პიესა „მგლები“, ასენას „შიში“. რუსთავის თეატრი რეპერტუარის შერჩევისას განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ზნეობრივ პრობლე-

მა, დედა — თ. სხირტლაძე და სხვ.) დიდი სიმამრობით, შთაონებით განსასხიერეს ნ. დუმბაძის გმირთა, მსახურთა ლოგიურად საინტერესო, ცხოვრებისეული ხასიათები. ვაზეთი „საბჭოთა აჭარა“ ამ წარმოდგენის შესახებ წერდა: „საბარლდებო დასკვნა“ მსახურებელს შთააგონებს, რომ სანამ ქვეყნად არსებობს ბოროტმოქმედება — სასჯელი, მართლმსაჯულება აუცილებელია. ამასთან, იგი განუტყველებს მას სიყვითის, პატისონების, სიმართლისად და კეთილშობილების გამარჯვების რწმენასა“.

რუსთავის თეატრის მუშაობაში უეჭველად დადებით და ნაყოფიერ მოვლენას წარმოადგენდა 1969 წ. ახალგაზრდულ კოლექტივში აღიარებული ოსტატის სსრკ სახ. არტისტის ა. ვასაძის მოსვლა. ამ თეატრში ა. ვასაძემ შექმნა ისეთი როლები, როგორცაა მაგისტრო სკოვონსკის იმავე სახელწოდების ანტიფაშისტურ პიესაში, ლირი „მეფე ლირია“, ისიღორე „საბარლდებო

სცენა სპექტაკლიდან „ასი წლის შემდეგ“. ნიკოლოზ I — თ. მელნიენთუხუცესი, გიორგი — ი. უჩანიშვილი.



სცენა სპექტაკლიდან „რევიზორია“. ანა ასტრევევა — ლ. შოთაძე, ხელსტაკოვი — ვ. მინდიაშვილი, მარი ანტონოვნა — ე. გულაშვილი.

მებს, აღმამანის რაობისა და მოწოდების საკითხებს. ამ მხრივ ყურადღებას იძყრობს ნ. დუმბაძის რომანის „თეატრი ბაიარლების“ („საბარლდებო დასკვნა“) ინსცენირება (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, მხატვ. მ. მაღაზონია).

ამ სპექტაკლით თეატრმა, ისევე როგორც თვით ხაწარმოების ავტორმა, წინა პლანზე წამოსწია მტკივნეული საკითხები, რაც განსაკუთრებით აწუხებს ჩვენს საზოგადოებას. სპექტაკლის მოქმედება, როგორც ცნობილია, საპატრიოტო მიმდინარეობს და სწორედ აქ, ციხის საკანში ვლინდება აღმამანთა ნამდვილი ღირებულება, მათი სახე, მათ შორის ურთიერთობანი. ამ ანსამბლური წარმოდგენის შემქმნელმა მსახიობებმა (ზაზა — მ. გორგილაძე, ისიღორე — ა. ვასაძე, „ლიონა“ — თ. მელნიენთუხუცესი, გოგოლი — კ. თოლორაია, ჭეიშვილი — ლ. ანთაძე, მოშიაშვილი — ნ. მგალობლიშვი-

დასკვნაში“, გიორგი — თ. ჭილაძის პიესაში „სურსათობა ლბომიდან“...

განსაკუთრებით აღსანიშნავია „მეფე ლირია“ — მ. თუ ა. ვასაძე ადრე არაერთხელ „შებრძოლები“ მსოფლიო დრამატურგიის გიგანტს, რუსთავის თეატრი ახალგაზრდა კოლექტივისათვის ეს შექსპირთან პირველი შეხვედრა იყო. (უფრო გვიან რეჟ. ლ. იოსელიანმა დადგა „პალტი“). რასაკვირველია, ისეთ როლს ნაწარმოებთან შეხვედრა, როგორც „ლირია“, საკმაოდ სარისკო იყო, მაგრამ ა. ვასაძის ამ პიესაზე რუსთაველის თეატრში უმუშავენია, გ. ლორთქიფანიძისათვის კი საინტერესო იყო ამ სცენურად ძველად დასაძლევ ნაწარმოებთან პირველი შეხვედრა. სპექტაკლი, თეატრის სტილისტიკისათვის დამახასიათებელ ძუნწ, თავშეკავებულ ტონებში იყო გადაწყვეტილი. თვით ლირი, ა. ვასაძის



სცენა სპექტაკლზე, მსახივრეები რაბებს მიღმა უცნაურად მოქმედებენ. ნინიო — ე. ჭუთათლაძე, კოკა — რ. ჩხიკვიშვილი, ბებია — ი. ხობუა, ბადრი — ტ. სარაღიძე.



შესრულებით, პირველ რიგში, ცხოვრებაში მოყვარულს, თავნება მეფე კი არ იყო, არამედ მეომარი, გიგანური რანდი, რომელიც ტყუილება თავის ძველ რწმენაში და ეძებს ცხოვრების აზრს, ეძებს სიყვარულს, რასაც კორდელის სახით სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშია პოუვებს.

რასაკვირველია, „მეფე ლირს“ ისევე, როგორც თეატრის ზოგიერთ სხვა დადგმას, პქონდა თავისი სუსტი მხარეები, „ეკარგი აღვილება“, მაგრამ მთლიანობაში იგი უთუოდ შთამბეჭდავად და საინტერესოდ წარმოსდგა მაყურებლის წინაშე.

ამავე წლებში, შექსპირის გვერდით, თეატრი დიდი წარმატებით თამაშობდა ო. იოსელიანის მხარულ კომედიას „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, რომელშიც, პირველ რიგში, თავისი შესანიშნავი კომედიური ნიჭი გამოავლინა გივი ბერიაშვილმა.

რუსთავის თეატრის შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი ეტაპის მნიშვნელოვანი დადგმა იყო ვ. კოროსტილევის „მარტოობის დღესასწაული“ („ფიროსმანი“).

„მარტოობის დღესასწაული“ ჯერ რუსთავის, შემდეგ კი ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთი საეტაპო დადგმაა. აქ მთელის ძალით გამოჩნდა როგორც რეჟისორის (გ. ლორთქიფანიძე), ისე მთავარი როლის შემსრულებლის ო. მელვინეთუხუცესის შესაძლებლობანი. გ. ლორთქიფანიძემ ღრმად გამოავლინა მსახიობის ფსიქოლოგიაში, მისი ნიჭის დამატებული მხარე, რომანტიკული პოეტურობა. ო. მელვინეთუხუცესმა თვალხილულად წარმოვიდგინა დიდი მხატვრის ტრაგიკული ბიოგრაფია, მისი შემოქმედებითი აღზევება და უსაზღვრო მარტოობა ადამიანთა შორის, რომელთაც მისი არაფერი ესმით... ფიროსმანი—მელვინეთუხუცესის ღრმა ტრივითი და სასოებითი სავსე ცრემლები სცივდება, ცრემლები განწმენდისა, კათარზისისა, რომელიც

მაყურებელს ყოველდღიურობაზე აამაღლებდა და მშვენიერების არს აზიარებდა...

....1975 წლისათვის რუსთავის თეატრი ჩვენს კავშირში და მის გარეთაც ცნობილი თეატრალური კოლექტივი გახდა, მასზე წერდნენ, ბევრს მსჯელობდნენ ამ პატარა თეატრის სცენაზე საბოლოოდ დაღვინდა, გამოიწოთო ამჟამად ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელის, სსრკ სახალხო არტისტის გ. ლორთქიფანიძის ხელოვნება.

ამ თეატრში დაოსტატდნენ, დაეკავცდნენ ამჟამად ქართული სცენის ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორებიცაა სსრკ სახ. არტ. ო. მელვინეთუხუცესი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები თ. არჩიამე, ლ. ახიამე, გ. ბერიაშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ი. უჩანაიშვილი, თ. მისურაძე; რესპ. დამსახურებული არტისტები — ზ. ლებანიძე, მ. გორგილაძე, ქ. კეკელიძე, კ. თოლორაია, თ. სხირტლაძე, ს. გოგიჩაიშვილი, გ. გაბუნია. ბევრი მათგანის სახელი დღეს ფართოდაა ცნობილი, როგორც თეატრში ნათამაშებო, გახმაურებული როლებით, ისე კინოფილმებიდან. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ძალიან ადრე წავიდა რეჟო ხობუა — ნიჭიერი, დიდი პოტენციალის შემოქმედი, რომელმაც მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა როგორც თეატრში, ისე კინოში.

დადგა სიმწიფის ხანა. წამყვანი ოსტატების მნიშვნელობა გასცდა რუსთავის თეატრის სცენას, უმრავლესობა ისევე ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს დაუბრუნდა და თან წამოიღეს ის შემოქმედებითი წვა, ის შემოქმედებითი მრწამსი, რაც მათ მარჯანიშვილის თეატრმა შთაუწერა, რაც შემდეგ რუსთავის თეატრის სცენაზე ახარეს და რის ჭირნახულოც მათ კვლავ მარჯანიშვილულთა კოლექტივს დაუბრუნეს... რუსთავის თეატრში გადავიდა ზ. ლებანიძე. თეატრის წამყვანი ძალების წასვლამ ყოველმხრივ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, თითქმის ლიკვიდაცამდე მიიყვანა რუსთავის



სცენა სპექტაკლიდან „სურათები საოჯახო ალბომიდან“. გურამი — შ. სხირტლაძე, აბესალომი — ლ. მიშველიძე.

თეატრი. ფაქტურად ერთი სეზონი თეატრის შემოქმედებით მუშაობის გადახალისებას, ახალი დასის, რეპერტუარის შედგენას დასჭირდა. ეს კი არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. თეატრის დღევანდელი კოლექტივის სანაქმებოდ უნდა ითქვას, რომ იგი როდღე შედრკა, როდღე შეუშინდა შექმნილ სიძნელეებს. უფროს თაობასთან ადგამოდებით მუშაობდა, ადუღებდა ახალ კოლექტივს. ამ კოლექტივში აღმოჩნდნენ: ჯ. გაგინძე, ვ. ნეფხაიძე, ლ. ფილფანი, ლ. შოთაძე, ო. სეთურიძე, ჯ. მაზიაშვილი, შ. სხირტლაძე, ი. ხობუა, თ. დაუშვილი, ლ. მიშველიძე. დასი შეივსო თეატრალური ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდობით, გადაწყდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის და რეჟისურის პრობლემა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა ითავა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ქუთათელაძემ. მთელი რიგი დადგმები წარმატებით განახორციელეს ა. ქუთათელაძემ, თ. მესხმა, გ. ანთაძემ, დ. კობახიძემ, მ. ბესტაევაშვილმა, მ. ბუკიამ. სცენოგრაფიას ახორციელებენ ა. ქვიციანი და გ. მღებრიშვილი, კომპოზიტორი — დ. ტურიაშვილი. რასაკვირველია, თეატრი, ცალკეულ შემთხვევებში, „გარედან“ იწვევს რეჟისორებს, მხატვრებს და კომპოზიტორებს...

თეატრის ახლანდელი სამხატვრო ხელმძღვანელი რესპუბლიკის ხელ. დასს. მოღვაწე ა. ქუთათელაძე უკვე გამოცდილი, ნიჭიერი რეჟისორი და პედაგოგია. მისმა მუშაობამ აღიარება ჰპოვა სოხუმში, შემდეგ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე მას მოუხდა ისეთი ცნობილი სპექტაკლების დადგმა, როგორცაა — „შვეთელა გოგონა“ (გ. მაკვანაშვილთან ერთად); „სამი ბულბულიანი ქუჩა“, „ბათიანი გოგონა“, „ჯარისკაცის ქვრივი“, „უსახელი ვარსკვლავი“, „მოსამართლე“ და სხვ.

თავისი შემოქმედებითი პოტენციალი და გამოცდი-

ლება გააჩნიათ ამ თეატრის რეჟისორებს — თ. მესხს, რომელიც წლების განმავლობაში ქ. ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობდა, დ. კობახიძეს — სოხუმის თეატრის ყოფილ მთავარ რეჟისორს, გ. ანთაძეს, რომელმაც არა ერთი საინტერესო წარმოდგენა დადგა რუსთავის თეატრის სცენაზე, მ. ბესტაევაშვილს, რომელიც რუსთავის თეატრში თელავიდან მოვიდა. ახალბედა მხოლოდ მ. ბუკიამ, მაგრამ მისმა სპექტაკლებმა „ღამის ამბავი“, „დარბაზის მიღმა გაზაფხულია“, უთუოდ, საერთო მოწონება დაიმსახურეს...

რუსთავის თეატრის ახლანდელმა კოლექტივმა დიდის მონდომებით მოჰკიდა ხელი რეპერტუარის შედგენას. კვლავინდებურად, ამ თეატრის ტრადიციის მიხედვით, პირველ ადგილზე თანამედროვე ქართველი დრამატურგები აღმოჩნდნენ.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე თეატრმა დადგა რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი“, „დაბადება“, გ. ხუხუაშვილის „და შენდებოდა ქალაქი“, ვ. იაკაშვილის „პორტიონტს იქით“, ლ. სანიკიძის „უციხაილი შემოქმედარა“, ნ. დუმბაძის „ზურბიკელა“, შ. დადიანის „გვირაგვილიანების ოჯახი“, კ. გამასხურდიას „მთვარის მოტაცება“, ვ. კანდელაკის „დრო 24 საათი“, ლ. თაბუკაშვილის „დარბაზის მიღმა გაზაფხულია“ და გ. ბათიაშვილის „ეკლი“...

კლასიკიდან ამ ბოლო წლებში რეპერტუარში შევიდა გოგოლის „რევიზორი“ და რ. ერისთავის ვოდევილი „ბოძიასთან გამოხუმრება“...

აგრძელებს რა შემოქმედებითი კონტაქტებს უნგრეთთან, თეატრმა ბუღაპეშტიდან მოიწვია რეჟისორი ე. მარტონი, რომელმაც განახორციელა მაგდა საბოს პიესის „ის ლამაზი მზიანი ღელე“-ს დადგმა. ასეთია სადღესიოდ თეატრის რეპერტუარი. მაგრამ რა შემოქმედებითი გზებით მიდის თეატრი ამ ეტაპზე, რას ისახავს მიზნად, რას ამკვიდრებს თავის ხელოვნებაში?



ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თეატრს, პირველ რიგში, ალღევებს და ანტირეესებს ქართველი ხალხის თანამედროვე ცხოვრება, ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ახალი რიტმი, ის პრობლემატიკა, რომელიც ჩვენი საზოგადოების წინაშეა წააპკრილი.

ამ მხრივ, ფრიად საყურადღებოა ა. ქუთათელაძის მიერ საინტერესოდ გააზრებული რ. თაბუკაშვილის სატირული კომედია — „რას იტყვის ხალხი?!... სპექტაკლში პრემიერაზე მიიტკიცა ყურადღება თავისი პრისციპულობით, სატირული სიმკვეთრით, მეშხანობის, დრომოჭმული ტრადიციებისადმი უკომპრომისო ბრძოლის განწყობით. რეჟისორული გადაწყვეტა ჭეშმარიტად გონებმახვილურია — სარკინი ვერის ქვეშ მოქცეულია პირფერობის და მლოქვენლობის მოყვარული საზოგადოება (ნაბატარი ა. ჭელიძე). აღსანიშნავია ამ წარმოდგენის შესანიშნავი აქტიორული ანსამბლი, გმირთა სახეების უღრესად მართალი, სისხლსაცე განსახიერება. ყოველი სახე ცოცხალი პორტრეტია, შეუძლებელია აღტაცებაში არ მოგიყვანოთ მსახიობების — ვ. ნეფარიძის, ლ. შოთაძის, ნ. ხიდურელის, თ. სეთურიძის, ლ. მიშველიძის, ზ. გზირიშვილის, ნ. დაუნაშვილის, ე. გუდიაშვილის, გ. ტყემელაშვილის, კ. ბუქიაის, ე. სიხარულიძის ნაშუქვრებმა. ამიტომაც იყო, რომ ეს წარმოდგენა, რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების მიერ, გაოცხადებულ კონკურსზე იმ წელს საუკეთესოდ იყო აღიარებული. სიველებით დაჭილდოვდა ა. ქუთათელაძის რეჟისურა და ლ. შოთაძის მიერ შესრულებული თამარის როლი.

ა. ქუთათელაძემ თავისებურად შექმნა ნ. დუმბაძის რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ინსცენირება. მის სპექტაკლში „ზურიცელა“ წარსულის მოვონებები, რეტროსპექტივა აქტიურად იჭრება პიესის გმირის ცხოვრებაში. თბილისში სწავლის დროს გმირი იგონებს სოფელს,, თავის საყვარელ ბებიას, ილიკოს,

ილარიონს. ინსცენირებაში ჩართულმა რეჟისორმა გამოუყენებელმა ეპიზოდებმა მეტი ხალხის და მიზნოდგელობა, სცენური სიხალე შესძინა საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებს.

ყმაწვილების ზნეობრივი სიწმინდის პრობლემებს ეხება ახალგაზრდა დრამატურგის ლ. თაბუკაშვილის პიესა „ღარაბებს მიიბნა ვაზაფხული“. სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა მ. ბუქიამ. მასში ი. ხობუას ვარდა (რომელიც დიდი სიბოთითი და სიფაქიზით არა რულებს ბებიას როლს), დაკავებულია ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელთა შორის გამოირჩევიან რ. ჩხიკვიშვილი (კოკა) და ე. ქუთათელაძე (ნიჩიკო)..

რ. როლანის „მგლები“ რეჟისორმა თ. მესხმა რომანტიკულ სტილში გაიზარა. სპექტაკლი მოქალაქეობრივი ელერალობით ხასიათდება, მასში ხაზგასმულია ბრძოლის ენის, აზრთა შერჩინება. მსახიობებმა ამ ამოცანის გადასაჭრელად გამოამქვანეს არა მარტო ტემპერამენტი, არამედ დიდი სულიერი ენერჯია, თავისებური რიტმი, პლასტიკა. რეჟისორმა მშვენივრად შეიგრძნო ავტორის სტილისტიკა, ეპოქისა და მოქმედების ადგილის თავისებურება. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ენერჯიული, მკვანე, ძლიერი ვერა, ნიჭიერი, დიდი შინაგანი მონაცემების მქონე მსახიობის ლ. ფილფანის შესრულებით, საინტერესოა თ. სეთურიძის ტელე, თ. დაუშვილის დუარონი, თ. ქუთათელაძისა და ი. ბალაშვილის ქენელი და სხვა.

თ. მესხის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ცილინდრი“ გამოვლინდა ამ ხელოვნის სხვა თვისებებიც. რომანტიკა შესცვალა ყოფითობამ, დეტალიზაციამ, იმ ატმოსფეროს შექმნამ, რომელშიც განსაკუთრებული სიმძაფრით გამოვლინდა ადამიანთა მიერ წარმოქმნილი სოციალური ბოროტება — მსახიობები და რეჟისორი შესანიშნავად გრძობოდნენ კომედიურ სიტუაციებს, იყენებდნენ მეტყველ ნიუანსებს. განსაკუთრებით უნდა

სცენა სპექტაკლიდან „მგლები“.




სცენა სპექტაკლიდან „კახაბერის ხმალი“.
 შუაში — გოსტაშაზი — გ. ბერიკაშვილი.



სცენა სპექტაკლიდან „მე, ბებია, ილიკო
 და ილარიონი“. ზურციელა — ბ. კაკა-
 ბაძე, ბებია — ე. სიხარულიძე, ილარი-
 ონი — ჟ. გვინიძე.



სცენა სპექტაკლიდან „დრო 24 საათი“.
 ტატიშვილი — ო. სეთურიძე, ჭარუშიძე
 — ვ. ჭოქრაშვილი, სუმბათაშვილი —
 შ. სხირტლაძე.





აღენიშნათ ამ სექტაკლის შემსრულებლები (ნ. მუხუ-
ლიშვილი — რიტა, გ. ჩუბუაშვილი — რუდოლფი, ჯ.
ვაგინი — ავუსტინო, ი. ხიზია — ბეტინა), რომლებ-
მაც ყანრის თავსებურება მშვენივრად გამოავლინეს.
სექსენის დისკოლოგიურად რთული სცენები.

ვ. იაკოშვილი დრამატურგიამ ახალნადა როდია, მი-
სი პიესის კარგა ხანია იდგება სცენაზე. ამიტომ საე-
სებთი გასაგებია, რატომ აირჩია თეატრმა პიესა „პორო-
ხინტს იქით“ (რეჟ. თ. მესხი). იგი ახლის ძიებას, ახალი
ცხოვრების მშენებლობას ეძღვნება. ეს სექტაკლი თე-
ატრმა დიდი ოქტომბრის 60 წლისთვის ოსანიშნავად
აირჩია. საწარმოო თემატიკაზე საქართველოში არც თუ
სხი ბევრი ნაწარმოები მოგვეხოვება. ამიტომ სექ-
ტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია მუშა მსაყურეებში,
საწარმოთა მშრომლებში. თბილისის სახეობა ჩარხების
ქარხნის უფროსი ოსტატი თ. ტერტრაშვილი ამ წარ-
მოდგენის შესახებ გვხვთ „თბილისი“ ფურცლებზე
წერდა — „პიესის დიდი ღირსებდა ის მიმაჩნია, რომ მას
საფუძვლად უფეს რეალური სიტუაციები. აქ მთავარი
და წერილობანი, მეორეხარისხოვანი არ არსებობს. ავ-
ტორისათვის, რეჟისორისთვისაც და მსახიობებისთვისაც
ყველაფერი მთავარი და ძირითადია, მსაყურებელიც ასე
აღიქვამს წარმოდგენას...“

მსაყურებელთა და კრიტიკის მაღალი შეფასება დიმი-
სახურის თ. დაუშვილმა (თენგიზი) და ჯ. მახიაშვილმა
(ზურაბი). ამ სექტაკლში როლის საუკეთესო შესრუ-
ლებისათვის პრემიებული იყო გ. ლეკვა.

ფართოდა ცნობილი დრამატურგის, შესანიშნავი
პოეტი-მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის და კინოხე-
ლმების თვალსაჩინო წარმომადგენლის რეჟის თაბუ-
კაშვილის სახელი.

წლების განმავლობაში ევროპის სხვადასხვა სახელ-
მწიფოებში იგი იძიებდა სამშობლოსათვის დაკარგულ
ერისშვილების საფლავებს, მასალებს მათ შესახებ. პო-
ლანდიაში ყოფნისას მან ძირის ძირთბამდე შეისწავლა
ტექსელის გმირების ტრაგიკული ეპოპეა, შექმნა ფილ-
მები მათ შესახებ, დაბოლოს, დაწერა პიესა „დაბადება“,
რომელიც რუსთავის თეატრის სცენაზე (რეჟ. ა. ქუთა-
თელაძე) საოცარი ემოციური ძალით აუღერდა. ამ სექ-
ტაკლში, რომელიც გარეგნული საშუალებების გამოხა-
ტების დიდი სიღრწით გამოირჩეოდა, მთავარი ვახდა
სამშობლოსადმი თავდადების, ვაკაცური შემართების
თემა. მთელი წარმოდგენის მანძილზე, ამ გულისდაწყ-
ველ სანახაობაში მსაყურებელი მთელის არსებით იყო
ჩართული ქართული ვაკაცების განცდებში. ჩვენს
თეატრში იდგენ ნატანგე ადამიანები, რომლებიც ვერა-
ფერმა გასტერა, რომლებსაც სამშობლოს სიყვარულის
ლაპარაკ ტყვეობის გოჯონებში გასა უნათებდა. ამ სექ-
ტაკლში ძნელი გამოპყით ცალკე კომპონენტები, ცალ-
კე შემსრულებლები. იგი აღიქმებოდა მთლიანობაში,
როგორც დიდი ადამიანობის, პატრიოტიზმის ამაღლ-
ებული რეკვიემი. სექტაკლმა კულტურის სამინისტროს
მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ მიილი საპატიო დიპ-
ლომი.

რუსთავის თეატრი, როგორც აღენიშნათ, უპირვე-
ლეს ყოვლისა, თანადროლობისაკენ ისწრაფვის, მაგ-
რამ არც წარსულს აქცევს ზურგს. ფაზაზეთის ასარ

დამს. მოღვაწემ დ. კობახიძემ განახორციელდა მ. ჯაფარი-
დიანის რომანის „გვირგვინიანების ოჯახის“ შესრულებ-
რება. მხატვარი ა. ქეილიძესთან ერთად მან შექმნა ეფემერ-
ული საწყაროს სურათები, რომელშიაც ყველაფერი
არასამიძეოა, მოკლებულია საყრდენს. გვირგვინიანების
ოფსილად მძლავრი, გველენიანი ოჯახი გრძნობს განწი-
რულობას. ნექტარინა (რუს. დამს. არტ. ლ. შოთაძე)
არაფერს ერიდება, რათა დიდი მამული, საგვარეულო
მთიარეტი შექმნას, მაგრამ დაღუპვის გზაზე დამბარა
კლასის გადარჩენა შეუძლებელია. ამ ოდესიდან მდიდარი
თავადია ბუღეში სიუდილბა დაისადგურა. დ. კობახი-
ძემ და წარმოდგენაში დაკვირებულმა მსახიობებმა (გან-
საკუთრებით ვეინდა აღენიშნათ ლ. შოთაძის ნექტარი-
ნა, გ. ბეგალიშვილის ვამიკე, რუს. დამს. არტ. ლ. ფოლ-
ფანის ევკიმილი, ე. გიორგობიანის ბეგი, ე. სიხარუ-
ლიძის კესარია, ე. ქუთათელაძის თოლისქვანი). კეპში-
ნატიკო მთავრებით წარმოგვიდგინეს წარმატალი, ისტო-
რიის მიერ განწირული საზოგადოების ნგრევის რეალ-
ისტური სურათები...

ქართული და უნგრული მოღვაწეების ერთობლივმა
ნამუშევარმა მ. საბოს პიესაზე „ის ლამაზი, შოანი-
დღე“ კვლავ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. პიე-
სა დიდგა უნგრეთის ეროვნული თეატრის მთავარმა რე-
ჟისორმა, კომპეტის სახელობის პრემიის ორჯობის ლაუ-
რეტებმა ენრე შარტონმა (რეჟ. ასისტენტი ნ. მჭირაშვი-
ლი, მხატვრები არაბად ჩანი და იუდიტ შეფერი, მუსიკა
კომპეტის პრემიის ლაურეტის ეოლტან დურკოსი), ამ-
ჯერადაც არჩეული იყო ისტორიული პიესა, ეკრობა,
994 წლის ერთი დღის ასახვა უნგრული ხალხის ისტო-
რიაში. რეჟისორმა დამაყრებლობით წარმოგვიდგინა
ორი საწინააღმდეგო ბანაყის ჭიდილი, ახალსა და ძველს
შორის ბრძოლა. სექტაკლი მამფრ დილაგებზე იყო
აგებული, მთელი ყურადღება გადატანილი იყო მთავარი
გმირების — გენსა (მსახ. თ. დაუშვილი), ვაიკის (მსახ.
გ. ქუნიანი), ძულას (მსახ. ჯ. მახიაშვილი), ტატას (მსახ.
ი. სეთურიძე) და ბონგეს (მსახ. ლ. ფოლფანის) სახეების
გახსნაზე. მსახიობებმა მთელი სიმძაფრით გადმოსცეს
იმდროინდელი უნგრული ხალხის ცხოვრების დრამატუ-
ლი ვითარება, ადამიანთა შორის შექმნილი დაძაბული
კონფლიქტები, ღრმად ჩასუღუნენ თავიანთი გმირების
აზრებს, სახითაებდა და მისწრაფებებს. სექტაკლი შე-
მოქმედებით თანამშრომლობის, ურთიერთგამადიდებ-
ლის საუკეთესო მაგალითია და მეტყველებს იმაზე, რომ
რუსთავის თეატრის მსახიობები სხვა ეროვნების ად-
ამიანთა სახეებში ადვილად ვარდაისახებიან, შესწევთ
ნიჭი და ძალი, რათა აღიქვან შორეული დროის და სრუ-
ლიად უცხო ერის ტემპერამენტის სტიქია, მისი ისტო-
რიული სახათა, ეროვნული თვისებები. სექტაკლი „ის
ლამაზი, შოანი დღე“ უნგრული დრამატურგიის გასცე-
ნურების საყვარლო დათვალიერებაზე დაჯილდოვდა
სსრკ კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით.

სხეგნული უნგრული პიესის გარდა, აქ არ შეიძლე-
ბა არ დავასახელოთ ა. ქუთათელაძის მიერ დადგმული
გოგოლის „რევიზორი“. რეჟისორის სანაქებოდ უნ-
დითქვას, რომ იგი ძალზე ფრთხილად, პატრიონციმით მო-
ეპყრო ავტორისებულ ტექსტს. ყოველფერა თვითმიზნუ-
რი „ნოვაციების“ და „ტრიუქების“ გარეშე მთელის სი-



მართლით, მხატვრული დამაჯერებლობით, გმირთა სახეებში ღრმა წვდომით გადმოგვიწავლა გენიალური რუსი მწერლის მიერ შექმნილი საეპოსო. სპექტაკლის ყველა შემქმნელისა და მონაწილის ყურადღება გადატანილი იყო პიესის გმირთა ხასიათების ღრმა გახსნაზე, ნაწარმოების იდეის რაც შეიძლება ზუსტ ვაშლივანაზე. სცენაზე მხატვრული მრავალფეროვნებები წარმოდგენ ქართვამ, ბიუროკრატი მოხელეები, უსაქმური აზნაურები. რეისორმა და მხატვარმა (ა. კელიძე) ზოგიერთი სცენები პროვინციული ქალაქის მოედნებსა და ქუჩებში გადაიტანეს, რაც მშვენივრად გადმოსცემდა ამ ლევისა და ადამიანების მიერ დაიწყებულ ქალაქში შექმნილ მღორე ცხოვრების ატმოსფეროს. სპექტაკლში საინტერესოდ, ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი ხელსტაკოვისათვის ქრთაჟის მიცემის სცენები, წარმოდგენის ფინალი, კრიტიკამ კარგად შეაფასა ახალგაზრდა მსახიობების ბ. კავაბაძისა და ვ. მინდაიშვილის თამაში ხელსტაკოვის როლში, ს. სეთურიძის გოროდნისი, ლ. შოთაძის ანა ანდრეევასა და სხვების, თუმცა სპექტაკლში მიმართ გარკვეული კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა.

...ნელა ერთ წერილში განვიხილოთ თეატრის სცენაზე დადგმული ყველა სპექტაკლი, რეისორთა, მხატვართა, კომპოზიტორთა და მსახიობთა ყველა ნამუშევარი. ყურადღება ჩვენ შევანარეთ თეატრის ცხოვრებაში ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენებზე, შევეცადეთ გადმოგვეწავლა კოლექტივის შემოქმედების ფორმაციანი ხალიჩა. რუსთავის თეატრი ახალგაზრდა კოლექტივია, არა მარტო თავისი ისტორიით, არამედ მისი კოლექტივის წევრების უმრავლესობის წლოვანებითაც. ეს ახალგაზრდული ენერჯია, მონდომება, ჩვენის აზრით, სამხატვრო ხელმძღვანელობის მიერ სწორადაა წარმართული. თეატრის კოლექტივი მუდმივ ძიებაშია, ცდილობს მოიზიდოს ნიჭიერი დრამატურგები, გზა მისცეს ახალგაზრდობას. რუსთავის თეატრის ატიპიური წარმოდგენებიც ტიპურია, რადგანაც ატიპიურობაში ნათლად გამოისკვივის ტიპიურობის პროცესები — ტრადიციასად იერსულები და სიახლისადმი სწრაფვა. თეატრის საუკეთესო დადგმაში ნათლად ჩანს, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ტრადიცია ბუნებრივად, ორგანულად ეცხვლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი განაყოფიერებულია საზოგადოებრივი იდეებით, თეატრის ხელოვნება აღინიშნება სხვადასხვა სტილისტური ხაზებით — სატირიულ-კომედიური, გმირულ-რომანტიკული, ლირიკულ-პოეტური. ყველა მათ აქვთ მრავალი განსტოვება, ნიუანსი, ფერი, რომლებიც ქმნიან საშუალებას ადამიანის ფსიქოლოგიის გასახსნელად, რის გარეშეც წარმოდგენილია „განცდის ხელოვნება“.

თეატრში თუმცა ვერ გამოყოფთ მეტაფორული, პოეტური თეატრის ანგბებს, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ

რეისორთა თავის ნამუშევრებში ბირობით რეისორულ ხერხებს აერთიანებს ცოცხალი ადამიანის ცხოვრების სიმართლესთან. დაწყებული გ. ლორთქიფანიძით, თეატრის რეისორები დიდ ადგილს უთმობენ აქტიორთან მუშაობას, უკვირდებიან მსახიობებს, ეძებენ მათთან ურთიერთობის ნაყოფიერ ხეზებს. მათაა სასიქლოლოდ უნდა ითქვას, რომ დადგმულ წარმოდგენების უმრავლესობაში ნათლად სჩანს ის, რასაც სსრკ სახ. არტ. გ. ტოვსტონოვოვი უწოდებს „ცოცხალ, მოქმედ ადამიანს, რთული ფსიქიკით, შინაგანი ცხოვრების განუმეორებელი პროცესით“.

უნდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, რეისორთა და მსახიობთა პროფესიონალიზმის გარკვეული დონე, რაც, რასაკვირველია, შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ, რადგან თეატრის ძირითადი შემოქმედებითი ბირთვი იქაა აღზრდილი.

ჩვენ რუსთავის თეატრის მიღწევებზე გვაძახილეთ ყურადღება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ თეატრში ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი მიღწეულია. მას აქვს ხარვეზები პიესების არჩევაშიც, ჰქონდა სუსტი სპექტაკლებიც, „წუნდებული“ აქტიორული ნამუშევრებიც. თეატრის დიდად ხელს უშლის ის გარემოება, რომ მას დღემდე არ გააჩნია მუდმივი საიმელო თეატრალური ნაგებობა და დროებით შეიზნულთ ბილიში რკინიგზელთა სახლში უჩვენებს თავის წარმოდგენებს.

ქ. რუსთავის პარტიულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა ილიონონ, რომ მოკლე დროში ნიჭიერ, პერსპექტიულ დასს ჰქონდეს თავისი კერა, რათა დაიკავოს ღირსეული ადგილი ქ. რუსთავის კულტურულ ცხოვრებაში.

...არამოდინივე დღეა, რაც დაცხრა თეატრის პირველი იბულის აპოლონისმენტები, დაიშალა კმაყოფილი მასურებელი. თეატრი კი ატარებებს თავის მუდმივ დილოგს მასურებელთან. აფიშებზე აღნიშნულია ახალი სპექტაკლი — გ. ბათიაშვილის პიესა „ვალი“...

რუსთავის თეატრი ცხოვრობს ახალი გეგმებით. ალბათ, ამ თეატრის აფიშაზე მალე ვიხილავთ ჩეხოვის „თილიას“, პირანდელოს „პერნის IV“, ევრიპიდეს „მელეტრას“ და ბევრ სხვა საინტერესო ნაწარმოებს, ყოველივე იმას, რაც სიხარულს და სარგებლობას მოუტანს მასურებელს, განამტკიცებს ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციებს, სახელს მოუხვევს მის ხელოვნებას რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

გიორგი ლეონიძე და ქართული თეატრი

მანანა თევზაძე


მიოცე საუბუნის ქართული მწერლობა და თეატრი ერთად ქმნიდნენ ახალ ქართულ კულტურას. ეს იყო ქე-შმარიტად შემოქმედებითი, მშვენიერი და დიდებული პროცესი. ამ მწერლების, ამ პოეტების შემოქმედებაში თეატრმა სხვადასხვანაირი ასახვა-გამოვლენა ჰპოვა. ეს იყო დრამატურგიული ცდები, რეცენზიები, ცალკეული გამოკვლევები, პროზაული თუ პოეტური სტრუქტურები და, რაღა თქმა უნდა, მხარდაჭერა, სიყვარული, აღიარება. ყოველ მათგანს ცხოვრება აკავშირებდა თეატრთან, ყოველ მათგანს თავისი სათქმელი ჰქონდა თეატრში.

რატომღაც, გამოთქმული იყო აზრი, გიორგი ლეონიძეს თეატრი მაინცდამაინც არ იზიდავდაო. მას თავისი შეხედულება ჰქონდა სასცენო ხელოვნებაზე და თეატრში იშვიათად თუ ნახავდითო. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, გიორგი ლეონიძე იმდენად სწორად იყო თეატრში, ვერ კიდევ ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იმდენი სპექტაკლის რეცენზენტობა გაუწევია, რომ ამ რეცენზიების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ქართული თეატრის, ქართული დრამის იმდროინდელი მდგომარეობის ცალკეული მომენტები.

ჭერ კიდევ ყრმობის წლებში, პატარაბუნებში ჩასახლება თეატრის სიყვარულმა მეგრე და მეგრე უფრო იმძლავრა; მათ ოჯახში საერთოდაც უყვარდათ თეატრი. მამამისი, მასწავლებელი ნიკო ლეონიძე, ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობდა; მე-

გრე იყო და, გ. ლეონიძის თანასოფელის, ალექსანდრე ბურთიაშვილის თეატრით ვატყობა მის აზნანავებსაც გადაეღო. მეექვსე კლასის მოსწავლემ პატარაბუნებში თავი მოუყარა სოფლის ახალგაზრდებს, დადგა სპექტაკლები. მისი დასი იმდენად დიდი წარმატებით სარგებლობდა, რომ მაშინდელ „სახალხო გაზეთში“ ვინმე „მორალისტმა“ რეცენზიაც კი მიუძღვნა. აი, ამ „ბურთიაშვილის თეატრში“, როგორც მაშინ უწოდებდნენ, შედიოდნენ ძმები ლევან, სიმონ და გოგლა ლეონიძეები. გიორგი ლეონიძის მოგონებებიდან ვიცით, რომ მას ავტენტი ცაგარელის პიესაში, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, შეუსრულებია დაეთის ძმის, ზაქარას როლი, მაგრამ მალე დაუწუნებიათ და მოკარანახეობა დაუკისრებიათ, ამას კი, ჩინებულად ვართმევედი თავსო, იგონებდა პოეტი.

1914 წლის გაზეთ „თემში“ № 81, გოგლას ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილში ვცითხულობთ: „სოფელი პატარაბუნელი სივრცეზეა გაშენებულ-გადაქიმული; შემოზღუდული უკან ცივ-გომბორის გრეხილებით, წინ თვალუწვდენელ მინდვრებით გამშენებელი; მდიდარი ცივი ანკარა წყაროებით — აი, რას წარმოადგენს სოფელი პატარაბუნელი. მთელს გარე კახეთში ამისთანა კეკულე და ვოხტა სოფელი ვგონებ არ მიიპოვება... სოფელში სწავლა-განათლების საქმე კარგად არის დაყენებული, მასში უკვე არსებობს ორი სამონასტრო სკოლა. ინტელიგენციაც ჰყავს ამ სოფელს. ეს იქიდან ჩანს, რომ აქ



გიორგი ლეონიძე.

წარმოდგენები იმართება 80-იანი წლებიდან და მას აქვთ არ ყოფილა წელი, რომ წელიწადში არ გამართონ ორი-სამი წარმოდგენა. მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ თუმცა დიდი ხანია, რაც მართავენ წარმოდგენებს, მაგრამ აქამდე ვერ გაიყვანეს საკუთარი თეატრის შენობა, ვერ დაიარსეს საკუთარი დრამატული წრე, როგორც არის მეზობელ სოფელ საგარეჯოში“. მშობლიურ სოფელზე ზრუნვა ადრიდანვე სჩვევია გიორგი ლეონიძეს და აქ მოხსენიებულ წარმოდგენებში, ალბათ ყრმობისას გათამაშებულ სპექტაკლებსაც გული-სსმობდა.

სემინარიაში, სადაც იგი სწავლობდა, ყოველწლიურად, ძველი სტილით 30 ნოემბერს (ანდრია პირველწოდებულის საეკლესიო დღესასწაულის გამო), იმართებოდა ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამო. იგი იწყებოდა ხოლმე მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში. საღამოში მონაწილეობას ღებულადღენ მხოლოდ მოწადეები. ამ საღამოზე ვასილ ბარნოვი მოლექსე ახალგაზრდებს, ვისაც კი ატყობდა პოეტურ ნიუს, ავალენდა წაეკითხათ საკუთარი ლექსები. გოგლა თურმე დიდხანს უარობდა ლექსის წაკითხვას, ვერაფერი მხატვრული მკითხველი ვართ — ამბობდა, მაგრამ მერე უკვე თამამად გამოდიოდა სემინარიის მოწაფეთა, მასწავლებელთა და მრავალრიცხოვან სტუმართა წინაშე თავისი ლექსების კითხვით. წლების შემდეგაც, გოგლას არ უყვარდაო თავისი ლექსების კითხვა; მაგრამ ხათრს

ვერ უტყბავდა ხოლმე მიხონენებს და თავისი ბუხუხა ხმით კითხულობდა რამდენიმეს. ჩვეულებად ჰქონია მარჯვენა ხელის აქნევით მიეცა ლაზათი თავისი დეკლამაციისთვის ატყოდა, არა ვარ ჩემი თავის კმაყოფილი, კარგად ვერ წაეკითხე ლექსი; როცა გამოვდივარ ხალხის წინაშე, ყოველთვის ჩემს ხმაზე ვფიქრობ, ჩახლეჩილი რომ მაქვს ხმა და ვცდილობ მალე გავათავო როგორმე ლექსის წაკითხვა. ჩემზევე ცუდად მოქმედებს ეს ფიქრი და ყოველთვის, როცა მინდა განსაკუთრებით კარგად წაეკითხო, სწორედ მაშინ განსაკუთრებით ცუდად გამოდისო. მაგრამ ვისაც გიორგი ლეონიძის ხმა ახსოვს, დავერწმუნება, რა საოცარი, განუმეორებელი იყო იგი; ათას ხმაში რომ გამოარჩევდით...

სემინარიაში შემდგომში სახელგანთქმულ თეატრალურ მხატვართან, ირაკლი გამრეკელთან ერთად სწავლობდა. სემინარიელების ხელნაწერ ეურნალ «გვირგვინის» ერთ-ერთ ნომერში ირაკლის ნახატია — გოგლას მეგობრული შარკი; 1916 წლის ე. „სუსხში“ კი, გოგლასეული ლექსისა მოთავსებული „ბედის სიმღერა — ეუძღვნი ირ. გამრეკელს“. აი, ნაწყვეტიც ამ ლექსიდან:

გაქარიშხალი ბედის სიმღერავ
დასწყველ-დაპყრულ ტანჯვის სოფელსი
და შეიხიზე უსახურო ხოხლით,
არ ყოფნის არე — მიწა მშობელსი.

არ შეგვეთ მრისხანე ხმას,
გადაიარ დაღებთ მოვიძი,
ემო ბიან... სწორ-ბოგაობა,
და მეც შეინან ვარ... და შენ მოგვები!

ძნელად დღეს მიხვედ ამ ლექსის დაწერის მიზეზს; ერთი კია, რომ სიყმაწვილეში ჩასახული ეს მეგობრობა წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა და სრულყო.

იმ წლებში, 13-14 წლის სრულიად ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე ესწრაფა ქართული დრამის წარმოდგენებს და პერიოდულ ექრანალ-გაზეთებში სხვადასხვა ფსევდონიმით, ლექსებსა და მინიატურებთან ერთად, აქვეყნებს რეცენზიებს. შეიძლება გაგვიკვირდეთ კიდევ მათი წყობილიანობა, ავტორისეული მკვეთრი კრიტიკული დამოკიდებულება, ჩამოყალიბებული სტილი, მაგრამ თუკი ვავისხენებთ, რომ მას ამ დროისათვის უკვე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები აბიზის ნეკრესელიისა და მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის, ათობის ივერთა მონასტრის, კაწარეთის სამების, ნინოწმინდის, უსარამისა და სხვა ისტორიულ ძეგლთა შესახებ, მაშინ მისი თეატრალური შეხედულებანი, თეატრალური დამოკიდებულებანი სრულიად შესაბამის მოვლენად აღიქმება.

ეს წლები მისი შემოქმედების ჩამოყალიბების წლებია. ამ დროს ფეხს იდგამდა მისი პიეზა, მისი ნიჭი და უნარიც ახალგაზრდული გატაცებით ეძიებდა შეუცხოებელი გარემოს შენობის საშუალებებს. თეატრალური სამყარო სწორედ ამგვარი საიდუმლოებებით მოცული სამყარო იყო.

აი, მისი ერთ-ერთი პირველი რეცენზია, 1911 წლის 24 ოქტომბრის გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული: „კვირას, 16 დღისმოთხროვის პირველთა ვნახე გელგენაწივიის პიესა „მსხვირბლა“ და უნდა სიძარბულ ვიქვია, რომ მან სრულიად გაამართლა ის სასამარენო ხმეზი, რომელიც ვესმოდა ამ პიესის შესახებ. უმთავრესი ღირსება ამ პიესას ის არის, რომ იგი დამდვილო ჩვენი ცხოვრების მხატვრული სურათებია. სრული მიუყრდევლობა, რომელიც ავტორმა გამოიჩინა თავის პიესაში, ფასსა დღეს ნაწარმოებს და ბევრთა სჯარბობს თავის სიდიდით სხვა პიესებს, რომელიც იმავე თემაზე არიან დაწერილი. პიესა ლამაზია, მარტივ და ბუნებრივ ანალიზზე აშენებული, მასთან არც ერთი ზედმეტი მოქმედი პირი, არც ერთი მეტი ამ ნაკლები ხაზი ავტორს არ უხმარია. მან ხელოვნურად წინ გადავიშალა მთელი რიგი თანამედროვე სახეებისა, ხან დაგვალონა და ხანაც იმედის ალი გავგიღვივა... მე ვიქვია თეატრში და თეატრის კვლევის ვერ ვამჩნევდი. მე ეს ცხოვრობდი სცენასთან ერთად, მე ვგრძობდი, მე განვიცდიდი. ყველა ის... ჩვენი ნათესავი სურათები, შინაური ჭირ-კარამი ტრიალებდა სცენაზე. რამდენს ნაცნობს შეგვახვედრა ავტორმა ამ საღამოს. აი, ჩვენი გულ-მოდიანეებელი თავი სოლომონი თავის „თამადაბით“, ნაცნობი მარბის ექიმო — „პატრიოტი“, გულმბრაციული „ქნაყნა“, რომელიც მზად არის „პავონების“ გულისთვის ყველაფერი ჩაიღოს, ჩვენი ბრწყინვალე ახალგაზრდა ყანჭებით: ხელში, უდარდელათ „მრავალკამიერის“ მოდილინე... აქ არიან ყველანი უნილაბით, შინაურულათ... არ ვიცი რომელ ჩვენგანს არ აუშლიდა ათასგვარ ფიქრებს ეს

მრავალრიცხოვანი კრებული... პიესის ამ ზოგადი ანალიზით კარგად სჩანს კრიტიკოსის დამოკიდებულებანი პრობლემაში, რომელიც ადგენდება დრამატურული პრობლემის მხოლოდ საზოგადოებაში. ხოლო, რაც შეეხება აქტიურობა წვილის ამ პრობლემის სახიერად წარმოდგენაში, იგი აღინიშნავს: „...როგორ შესარბულდეს ეს პიესა ჩვენმა მსახიობებმა? ცუდად რომ კიდევაც ეთამაშნათ, თვით პიესა ისე ხელოვნურათ დაწერილია, რომ შესრულების ცუდ მხარეებს დაგაიწყებებს. ტრიპური სატყა იყო ბ. ტაშიძე. ხელოვნურათ შესარბულათ თავისი პატარა, მაგრამ რთული როლი „ქნაყნისა“ ქ. ლევანამ. ძალიან განდებებურული კრიტიკოსი კი ვერ აღმოაჩენდა მის თამაშში რაიმე ხიზს და ამ დასრულებულ, დაუსრულებელ მომენტს... დანარჩენ მოთამაშებთა შორის ბუნებრივად და მოხდენილად თამაშობდა ბ. შათირიშვილი... ნადავლი ენაწყოლიანი თავადი იყო ბ. გუნია, მის მოხდენილ პარტიკულად უნდა ჩაითვალის ქ. ჩიქოქიშვილისა. დანარჩენებაც ანსაპლს ხელს არ უშელოდნენ. ერთი სიტყვით ეს წარმოდგენა ერთ-ერთ საინტერესო წარმოდგენად უნდა ჩაითვალის. ხალხიც საკმაოდ დასწროს. გო—ლა“.

რეცენზია სპექტაკლში წარმოდგენილი ქართული სინამდვილის ხილვით მიღებული შთაბეჭდილების უშუალო შედეგია და ამდენად გასაგებია ავტორისეული განწყობილება: ამავე პერიოდში ქვეყნდება „თემში“ მისი რეცენზიები სპექტაკლებზე: „ახალი თათბა“, „მისი ვილს“, „კელე“, „ჯალოსანი“ და ყველგან იგი ცდილობს ჩაწვდეს ნაწარმოებს, წარმოდგენის არსს, მის იდეას: რეცენზიაში სპექტაკლზე „ჯალოსანი“ ერთგვარად წინააღმდეგობრივ აზრსაც ავითარებს, როცა წერს: „...სწორედ დავგანდა ის ფული, რომელიც დახარჯა დრამატულმა საზოგადოებამ ამ პიესის დღეებში და დროც დაკარგულა მსახიობთაგან... შესრულებული პიესა კარგად იყო, იმდენად კარგად რომ პიესას უფროს უგლებდნენ და სცენის მორთულობითა და მსახიობთა თამაშით სტუმრობდნენ მაყურებელნი...“ „ეტყობა, რომ რეცენზენტთა თეავარ მნიშვნელობას ანიჭებდა პიესის, დრამატურაიული ნაწარმოების დამსწრე საზოგადოებისაგან შესმენას და თან წარმოდგენის ვარგებულ მხარეს, მსახიობთა თამაშს, თუმცა, მისი კრიტიკული შენიშვნა, ალბათ, გარეგნული ელემენტებისადმი ვადამებებულმა უფრადლებამ თუ გამოიწვია საინტერესო ის მომენტიც, რომ რეცენზენტი ხშირ შემთხვევაში ცდილობს წამოჭრას პრობლემური საკითხი, როგორც ამას აკეთებს 1911 წლის 26 დეკემბრის „თემში“ გამოქვეყნებულ სტატიაში“ ქნ. პ. მ. კარგარეთელის ბენეფისი“. ბენეფიციანტებმა შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო ქართული არტიკული საზოგადოებისათვის. საარსებო სახასრს, ხშირად თვით თეატრის შენობასაც მოკლებულნი, როგორც ეს მოხდა 1904-1908 წლებში, ქართველი მსახიობები იძულებულნი იყვნენ სხვადასხვა ხერხი ეძებათ და ხან თეატრს, ხან საარტიკული საზოგადოების, ხან ავლბარის თეატრებში მართავენ წარმოდგენებს. როცა ფუნქცილიორის ექსპლოატაცია დაიწყო, მაშინ ჩვენმა მსახიობებმა ეს ადგილიც გამოიყენეს შემოსავლის წყაროდ; ხალხის მისახილად აფიშაზე ეწერა: „ვიც თეატრის ბილეთს იყიდის, იმას

უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანენ ფუნჯელორის ვაგონებითა“. ბენეფისის მომწყობნიც სწორად აღარ გარეგნენ ხელოვნებას და კომპრომისზე მიიღიდნენ. ამგვარი მოვლენის წინააღმდეგ თვითონ არტიკული საზოგადოება ილაშქრებდა და ამან 1924 წლის 29 იანვარს „ღონიუჯის“ მანიფესტშიც პოვა ასახვა. ვოლას ფუნჯელორის „თემში“ დაბეჭდილი სტატია სწორად ბენეფისის პრობლემას შეეხება: „დაიწყო ბენეფისი. სხვაგან თუ ბენეფისი იდრი მნიშვნელობა აქვს მსახიობებისათვის, ჩვენში იგი სულ სხვა მხარეს ემსახურება. ბენეფისი, ეს ის საღამო უნდა იყოს, როდესაც მსახიობებს თავისი მხატვრული „მრწამსი“ უნდა გვაჩვენოს და მასთან საზოგადოების თავისებოდ ყურადღება გამოისცადოს. ყველა ამას ჩვენს სცენაზედ, რასაკვირველია, აღვლი არა აქვს. მსახიობი პიესას სდგამს, მხოლოდ ისეთს, რომელიც „სწორს“ გააკეთებს და ეს კი უმთავრესი სავალალო და საფიქრებელი მოტივია ქართველ მსახიობისათვის. ამრიგად, ბენეფისის უმთავრესი სანტიტრესო მხარე ეკარგება და იქცევა უბრალო წარმოდგენად...“ ამავე წერილში გ. ლონიძემ აღნიშნავს ერთ გარემოებას, რომელზედაც შემდგომშიც არავითხელ გაუმჯობესებია ყურადღება, ეს არის კოსტუმი, რომელიც სცენაზე აცვია მსახიობს. „...ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე მხოლოდ ის ძონი, რომელიც პერსონაჟების და პრიონტების მუდღელეები გამოეწყობა. ჩემს ვეგერდით ორი რუსის მანდილოსანი ისხდნენ და მათ ვაკვირებდამს რომელიმე არა ჰქონდა. ისინი ხომ იმას არ იფიქრებდნენ, რომ ღრამატულ საზოგადოებას ტანისამოსი არა აქვს. მიუღ ბრაზის მსახიობს ქალებს დასდებდნენ, გემომობილები ყოფილანო. მეც მრცხენიდა, მაგრამ არ შექნა...“

შემდგომ წლებში გიორგი ლონიძის დამოკიდებულება სასცენო კოსტუმისა, და, საერთოდ, დეკორაციის მიმართ, კიდევ უფრო ჩამოყალიბდა. 1916 წლის 24-ე ნომერ „თეატრისა და ცხოვრებაში“ ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენის“ განხილვისას, რომელიც იმხანად დაიდა დაიდა დაიანის რეჟისორობით, იგი სექტეაქლის მიერ წავლად თვის ისტორიულად არსებულ მხატვრული სტილის აღრევას, კოსტუმებისა და დეკორაციის უფარვისობას და წერს: „საერთოდ რეჟისორის მხრით არ იყო დაცული ქართული სტილი. სპარსული მომღერლები, მეფის ხავერდადამოწილი ტაბლ, სპარსული გემოვნებაზე აშენებული სასახლე თუ სხვა. მართალია, ვიქცა ისეთი იყო, რომ ყველაფერი სპარსეთიდან შემოგვქონდა, მაგრამ ჩვენც ბევრი რამ გვქონდა საკუთარი და უმეორავსესი. მეტად ღარიბი იყო პირველ და მეორე მოქმედების დეტალები... სინამდვილის უდრელობა საშინელ დისონანსად იჭრება პიესის მსვლელობაში. ჩვენ ვერ დავუთანხმებთ ზოგიერთების აზრს, ვითომ მხოლოდ პიესისა და სხვა არაფერი. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიესის მსვლელობა სწორად მოსვლელად არის დაფუძნებული. ისტორიულად სწორი სამოსელი საქრია დრამატულ მოქმედებისთვის, სცენურ ილუზიის და დრამატულ ეფექტების მისახდენად. ჩვენის აზრით, მოქმედ პირთა ზუნებრივება სწორადვე ტანისამოსის ამსოღლებს სინამდვილესაგან წარმოსდგება. ასევეა თითქმის დეკორაციის მნიშვნელობა.

სწორად დეკორაციის სიღარიბე და სიძუნწე მრავალ ეფექტს გამოისცავს ხოლმე პიესას. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ჩიარო ს. შანშიაშვილის პიესამ. მეფე... სასი უბრალო თავადისაგან ანუ დღევანდელ ქულჯაში ჩაცმულ მომღერლებისაგან ვერ გამოარჩევდით. თავადებსაც ისეც ეს ქულჯა აცვიათ, რომელსაც ატარებდნენ ქართველები, ჩვენი რეჟისორების აზრით I ს-დან ვიდრე დღევანდლამდე. საერთოდ მათ არ ეტყობოდათ, რომ იგინი ივერიულ თავადები არიან, რომლის ჩაცმულობა ევროპელთა საერთო ყურადღება მიზიარო ფლორენციის კრებაზე (XV ს.). შეიძლება მიზიარე ჩვენი სცენის სიღარიბე მოვიყვანოთ, მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება...“

გ. ლონიძე აქაც ეროვნული პოზიციებიდან უდგება და განიხილავს საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი სექტეაქლის გარეგნულ მხარეს. მას ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი საქართველოსთან, ქართულთან იყო კავშირში და ცდილობდა იმ საწყისების მოძიებას, რომლებიც ქართული კულტურის არაერთ მხარეს განაათებდა. 1914 წლის ურნალ „ჯეჯილში“ გამოქვეყნებულ ნარკვევი, რომელიც მას ია კარავთელისთვის მიუძღვნა, ეხება საქართველოში გავრცელებულ მუსიკალურ საკრავებს. თორმეტი დასახელების სხვადასხვა საკრავის მოკლე აღწერილობა და წარმოშობის ისტორია ნათელი მაჩვენებელია პოეტის ინტერესთა მრავალმხრივობისა. ყველა ეს საკრავი შემდგომში აღწერილი აქვს ივ. ჯავახიშვილს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ და გარკვეულ აქვს მათი საღაურობა. სწორ შემთხვევაში, გ. ლონიძის, მაშინ ჯერ კიდევ სემინარილის მეცნიერული ალო სწორი და მაძიებლური აღმოჩნდა.

რადღებე ტყვილი და სინანული გამოსვლების მცხეთობისადმი მიძღვნილ მის სტატიაში, რომელიც 1916 წლის გაზთე „საქართველოში“ ქვეყნდება. არცერთი მოვლენა ქვეყნის სულეირ ცხოვრებაში არ რჩება მისი თვალთახედვის მიღმა. მას აღეღვება ძველ სქევიერი წესთა, ზემთა ფერმიხილთა და ცვლილება:

... თუ ვინდ გუშინწინ... რას წარმოადგენდა მცხეთობა? — რაღაც კარნაელს და არა ქართულ ეროვნულ დღესასწაულს... ყოველ წერილმანს და რიგ უცნუარი ელფერი იდეა... მრავალრიცხოვან მლოცვეთა შორის ვერც კი გამოარჩევდით ქართველს. მოხუცებულთა კი იშვიათად ვხედავთ; ვილაც გადამთილები, ზურნით, ეტლში ჩამსდარნი უვლიან ევლისის... კვიტინებს ზურნო, ღრიანცელი გააქეთ „ძმა ბიჭებს“. ისინი ვარმონის ჩახლენილი ხმა და არშინ მაღლანის სიმღერები. ვინ უწყიადა თუ მცხეთაც, ეს საქრისტეანოს უწმინდესი ადგილი და ქართულ გვირგვინოსანთა საფლავნიც ელირცხობდნენ არშინ მაღლანს?... სად არის შობილური ქართული სიმღერები? სად არის ფერხული, ცანვალა, „მუხე, შინ შემოდი“, სად არის ქართული ჭიდაობა, ბურთი და ჯირთი, ან ცენოსანთა მიერ მოიწიებით შემოვლა ევლისის ვარშემო დროშით ხელში — ეს სიმბოლო საქართველოს სიცოცხლისა. ნუთუ ყველაფერი განქარადა, მოსობო? — მე ვხედავდი ორ უტყველს, ქართული ჩვეულებათა დასათვალერებლად რომ იყენენ მოსულნი,

დაღონებულნი დახეტებოდნენ გალავანში, იღიბებოდნენ არღან-გარღინით და უყვირდით, ნუთუ ამ ველურ საყრავებში ტყებოდა ქართველი ხალხი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. შორეულ სპარსეთში ფერეიდინის პატარა საქართველოში სამასი წლით, მშობლიურ კალთისგან მოწყვეტილმა ერმა შეინარჩუნა ქართული სახე და ჩვენ კი... ვაი, სირცხვილო?..“

ისტორიკოსის თვალთ შესტკერის იგი სვეტიცხოვლის კედელთ, რომელთაც აღარ ამშვენებს ქართული მხატვრობა: დასტკერის ქართველ მეფეთა წმინდა საფლავებს, მათ უბრალო ქვებს... ამ პერიოდში გ. ლეონიძის მიერ გამოქვეყნებულ წერილებს, იქნება ეს ისტორიულ ძეგლთა შესახებ, ესთეტიკის საკითხებზე თუ თეატრის პრობლემებზე, მინიატურები თუ ნარკვევები, უკვე ატყვიათ ქართული სიტყვის ის მადლი, რომელიც ახასიათებდა მთელს მის პოეზიას და პროზას.

გ. ლეონიძე იმ დროისათვის ევროპული თეატრის ისტორიაშიც ყოფილა გათვითცნობიერებული, რაც შემდგომში უფრო გამოიკეთა. მასვე ეკუთვნის წერილი ფრანგი მსახიობის მუნე სიულის გარდაცვალების აღსანიშნავად, მაგრამ მისი ყურადღების მთავარი საგანი, რაღა თქმა უნდა, ქართული თეატრია. თითქმის ყოველ ახალ წარმოდგენას იგი თავისი რეცენზიით ეხმაურება და წვლილი შეაქვს ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ მშფოთარე და მამოხივლი იყო. სწორედ ამ წლებს ემთხვევა სანდრო ახმეტელის პირველი თეატრალური ნაბიჯები, მისი პირველი თეატრული მოსახზრებანიც სწორედ ამ დროს იბეჭდება ქართული პრესის ფურცლებზე. „მომავალი ქართული თეატრი“, „არის თუ არა ქართული თეატრი — ქართული?“ — ამ წერილებშივე იჩინა თავი ს. ახმეტელის მრწამსმა — ქართველი ერის სულეირი ცხოვრების თეატრალური სახიერების გმირულ, რომანტიკულ საწყისზე აღმოცენების ყინმა.

1915 წელს კულტურის მუშაკთა საზოგადოების საღამოზე ახმეტელმა წაიკითხა მოხსენება „მომავალი ქართული თეატრი“. სათაურიდანვე სჩანს მასში განხი-

ლული პრობლემის წინშეწელობა. ქართული თეატრის ბედი, მართლაც, რომ ფიჭისა და ღვინის სუფიერით იმ დროს. თეატრს არ გააჩნდა შენობა და წინ ელოდა მხატვრული ამოცანების გადაჭრის შიგლი სიმძიმე. ახმეტელის მოხსენებაში, რომელიც შემდეგ კიდევ დაიბეჭდა ლანთ „საქართველოში“, სწორედ ფიჭიურად და სულიერად, იდეურად ახალი თეატრის პრინციპებზე იყო ყურადღება განახლებული. მას მიანიჩა, რომ ეროვნული მანხატური თეატრის შენობა უპირველესად თეატრის მხატვრულ თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს. „...რა გვარი სული უნდა ჩავსახოთ, და ან რა პანგები უნდა ავაუღებოთ თეატრში?..“ წერდა ის და მოითხოვდა თეატრის შენობისა და სცენის მთელ რიგ არქიტექტურულ ცვლილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მსახიობებისა და რეჟისორის შემოქმედებას. და აი, 1915 წლის ეურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 43-ე ნომერში, გოგოლა ლეონის ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი „ხმა მოწაფის“. ეს არის ს. ახმეტელის გამოსვლის უშუალო გამოძახილი, რეაქცია მასში, უპირველეს ყოვლისა, ქართული თეატრის დიდი სიყვარული და მასზე გულისტკივილი იკითხება: „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების წარსულ კრებაზე 15/X ბეგრე ილაპარაკეს ჩიენი თეატრის დღევანდელ უშუალო მდგომარეობის შესახებ... ბეგრე კარგი აზრი გამოითქვა, ბეგრეც მიუწვდომელი იდეალი დაისახა, ყველა რასაკვირველია, ქართულ თეატრის საკეთილდღეოდ.

გუიყვარა ოცნება, დღეს, რეალურ ხანაში, დენა შორეულ ლანდის...“

შენ მა ახმეტელმა რო მოხსენება წაიკითხა, ეგ უნდა ყოფილიყო წარმოთქმული მაშინ, როდესაც ყველაფერი მომზადებულნი შეეკრებოდით....“

დღეს კი...“

დღეს ჩვენ, მოზარდი თაობა ენატრობთ ქართულ თეატრს, რომელმაც სკოლასთან ერთად უნდა გვასაზრდოვოს და აღგვარდოს მშობლიურ ნიადაგზე. დღეს ჩვენ ენატრობთ ქართულ წარმოდგენას, ქართულ სიტყვის მშობლიური სცენის გამოძახილს: დღეს ჩვენ თე-



გიორგი ლეონიძე და აკაკი ზორაგა

ტრი არა გვაქვს, რომ ვიართი წარმოდგენებზე, სადაც ავგამოვლებს ხიზნაშვილისა და ლეონიძის სულის ძლიერებას, სად დავაფიქრებთ ზეინაბის დაპირილი კენესა, სადაც ეწოდებოდა „სინათლით“ აცილებულ ავთანდილის ისწავლებას...

არა გვაქვს თეატრი დღეს... და თქვენ კი მომავალ რელიგიურ ტაძრის არქიტექტურაზე ჰხაასათო...

მართალია, კარგია რეინარტელ ლაბარაკი, წარმტაცია გეორგ ფუქსის მიქნელება. ყველა ეს ჩვენ მოვიხიბლება, ჩვენ — ნიჭით ცხებულ ივერიელებს.

მაგრამ ახლა კი ეს გავიწყდებათ, რომ ჩვენ დღეს ოთხი კედელი არა გვაქვს, ოთხი სადა კედელი, სადაც გავმართავდით ქართულ წარმოდგენას და არ გავგვახვანოილთ ჩვენ რუსულ თეატრებსა და სინემატოგრაფებში.

თეატრის ამწეებას 15 წელი მოუწდაო და... ჩვენ რთ ასე შევხვდებით, მთელი ის ახალგაზრდობა, რომელმაც უნდა შექმნას ის მომავალი რელიგიური ტაძარი, გადაგვარების გზას დაადგება და შევხვდეთ იმ მშვენიერ ტაძარში ფუქსისა და რეინარტელის ყველაზე უფრო მართულ საკურობებელში ვის ალექსანდრე?..

ჩვენ მლოცველნი — გემუდარებით თქვენ, — ქურუმნი, გავვიღეთ ტაძარი და სანამ ლაბირინტებს აღაშენებდით — ქოხში გავლოცეთ, რათა არ შესწყდეს ძაფი დაღადებისა!..“

გიორგი ლეონიძის ამ სტატიის მიღებაზე, ერთგვარი მოწინააღმდეგე ტონი, მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა ადამიანის სი რელიგიური სიყვარულია თეატრი — ტაძრისა, რომლის შესახებაც წერდა ს. ახმეტელი. ამ ახალგაზრდა ადამიანს ვერ მოეფინა ვერც ერთი დღე ქართული თეატრის გაიერზე და თანახმა იყო ოთხ სადა კედელზეც, სადაც ვაიგორებდა მშობლიური სცენის გამობაზლს. ამ წერილში ნათლად ჩანს, თუ რა დიდ ეროვნულ მისიად მიანდა გ. ლეონიძის თეატრის არსებობა ქართულ სინამდვილეში, რა დიდი იყო მისი სიყვარული იმ პირველი ქართული არტისტებისადმი, მათი ერთგული და პატივისცემელი დარჩა ის სიცოცხლის ბოლომდე.

დაახლოებით ასე შედგა გ. ლეონიძის და ს. ახმეტელის ოფიციალური ნაცნობაა ქართული პრესის ფურცლებზე, ქართული თეატრის საკეთილდღეოდ. ეს ნაცნობობა შედგებოდა უკვე შეგობობად იქცა. რუსთაველის თეატრის წარმატებანი, რომლის სათავეშიც ს. ახმეტელი იდგა, ყოველთვის დიდ სიხარულს ჰგვიტარებდა პოეტს, თუმცა, პრაქტიკული მოღვაწეობით იგი აღარ იდგა თეატრთან იმდენად ახლოს, როგორც ადრე. თუმცა, არის გაგასაუფლო ერთი მოგონება: — „ერთხელ სადროო ახმეტელმა მიხივია პიესა დაამწერა... ვახუშტი გამოცხადეს გიორგი ლეონიძე პიესას სწერსო. მართლაც დაწერა პიესა „გიორგი ბრწყინვალე“. პიესის პირველ მოქმედებაში გიორგი ბრწყინვალეს წინააღმდეგ აწყობენ შეთქმულებას... მეორე მოქმედების სულ დაუხოცი შეთქმულები და დავრი მართო მეო“.

„გიორგი ბრწყინვალე“, მართლაც ერთადერთი დრამატურგიული ცდაა პოეტისა. როგორც 1947 წელს გამოცემულ კრებულში ვკითხულობთ, ავტორის მიზანი იყო ამ დრამაში დაეხატა ქართული ხალხის ბრძოლა

მეფე გიორგი V ხელმძღვანელობით მონღოლთა ბატონობისაგან თავდასაცხენად. კრებულში ქვეყნის მფარველი გმერთი — ვიგორ ნოქმელების პირველი სცენის სამი გამოსვლა, რომელშიც ქართველი დიდებულები მონაწილეობენ. ეს არის მეფე გიორგის უცხოეთიდან დაბრუნების მიმინებში, მეტეხის სასახლეში გამართული თავყრილობა. დიდებულები ვეცდებიან არ სურთ მეფის მორჩილება; მათ უპირისპირდება ოთხი ახ ზედღირნიძე და ამ წინააღმდეგობაში ნათლად ჩნდება თითოეულის ბუნება, ხასიათი. ისტორიულ ნიადაგზე გაშლილი მოქმედების მძლავრი კონფლიქტი საშუალოდ იძლევა ხასიათთა მკვეთარი წარმართვისა, რამა დაწერილია ლექსად, რომ დასრულებულიყო, ალბათ, ჩვენს ხელთ იქნებოდა გიორგი ლეონიძისეული მშვენიერი ქართულით მორჩილებული დრამატული პოემა.

ამავე წლებში, თბილისში აქტიური მოღვაწეობას ეწეოდა სახალხო თეატრი, რომელსაც საზოგადოება დიდის ყურადღებითა და ინტერესით ეკიდებოდა. სახალხო თეატრის საქმესა და ისტორიას დიდი ღვაწლი დასწო იოსებ გრინშპეინი. გ. ლეონიძეც, რაღა თქმა უნდა, ხშირი სტუმარი იყო მათი წარმოდგენებისა და დაბეჭდილი აქვს კიდევ ამ სექტალებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილი, რომელთა შორის საინტერესოა 1916 წლის № 48 „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია „სახალხო თეატრი“. აქ რეკლამისა სექტალებზე „მსხვერპლი“ წინ უძღვის მოკლე ისტორიული ცნობები სახალხო თეატრისა და მისი პოპულარობის შესახებ. ამავე დროს, ვახუშტი „ტრიბუნის“ ფურცლებიდან იგი მოითხოვს ხალხის ფართო მასშტაბის უფრო ხელმისაწვდომ ფასებში ბილეთების მიყიდვას ქართული დრამის წარმოდგენებზე.

მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა გიორგი ლეონიძის ამ თეატრალურ ნამოღვაწეებში ენიჭება იმ ექსპერსებს ქართული თეატრის ისტორიის, რომლებიც კურსდება ეურნალში „თეატრი და ცხოვრება“ 1914 წელს; ეს არის „კონსპექტი ქართული თეატრის ისტორიისა — 1790-1879 წ.წ.“ და ეურნალში „დროში“ 1925 წლის № 24, № 25 — „ქართული თეატრის ქრონიკების“ სახელწოდებით.

„თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული სტატია იყო დასაწყისი იმ მუშაობისა, რომელიც მან გასწია ქართული თეატრის ისტორიის ზოგიერთი უცნობი ფურცლის ამოსაცხადად. აქ ევცნობით პირველ მასალებს გაბრიელ მაიორის შესახებ. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1906 წელს გამოცემულ „მოკლე ისტორიაში“ ქართული თეატრისა, მოცემულია ძლიერ დარიბი ცნობები ქართული თეატრის ამ ერთ-ერთი პირველი მოღვაწის შესახებ. გ. ლეონიძემ პირველმა მიაპყრო ყურადღება გაბრიელ მაიორის პიროვნებას და თანდათანობით კვლევა-ძიებით წარმოაჩინა მისი ცხოვრება და საქმენი. ამ წერილშივე გხვდებით ცნობებს გიორგი ავალიშვილის, დავით ჩილოყაშვილის, დავით ბატონიშვილის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ. მიმოხილულია გიორგი ერისთავის დროინდელი თეატრის ზოგადი მდგომარეობა, მის თანამედროვეთა ღვაწლი თეატრის საქმეში.

ქრნალ „დროშაში“ ორ ნაწილად გამოქვეყნებული „ქართული თეატრის ქრონიკები“ შემდგომი ეტაპია შრომისა. თანამედვერულად, ცალკე მონაკვეთებად არის განხილული ქართული თეატრის საწყისები და მისი ხალხური თუ მისტერიალური შენაკადები; მე-18 საუკუნის სუვერეოვალსიკური დრამატურა და ამ პერიოდის ქართული მოღაწეები: მესაზანდრა და კომედიანტი მამაბელა, დ. ჩოლოყაშვილი, გ. ავალიშვილი, გამრიელ მაიორი, დავით რექტორი, იოსებ ამერიძე, ბატონიშვილი დავით, ბესიკი, ვარაუდად გამოთქმულია აზრი ირაკლის დროინდელი ქართული თეატრის ადგილობრივობის შესახებ და სხვა და სხვა. წერილის ქვესათაურიდან ჩანს, რომ ავტორს განზრახული ჰქონია მესამე ნაწილი დაეთმო მე-19 ს-ის ქართული თეატრისა და მისი მოღაწეობისათვის. ყერძოდ, აქ ვხვდებით ზურაბ ანტონოვის სახელს; მაგრამ ეტყობა, რომ ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა, ყოველ შემთხვევაში, ქრნალ „დროშაში“ იგი აღარ გაგრძელებულა.

გამოკვლევის პირველი ნაწილი ქართული თეატრის საწყისების მოძიებაა. „თეატრალური ხელოვნების შესაწავლად საქართველოში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ცნობილი ხელოვნება ექსტის და პანტიმიმები: „ზმა“, „მუშაობა“, „ჟამბაზობა“, „ლექსი მონასიში“, „ზაბო“, ცეკვი, სამაი, ჭებანა, — რომელიც არის „მუსიკა მწყობრი და საკრავიანი და ხმოვანება ტკბილი, გალობა თუ სიმღერა“. გ. ლეონიძის გამოყენებული აქვს ეთნოგრაფიული ცნობები, „ბერიკაობის“ და „ყეენობის“ შესახებ; ისტორიული ცნობები შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ საეკლესიო წარმოდგენებსა და ევროპელი ბერებისა თუ მოგზაურების მიერ შემოტანილ ევროპულ პეტლურაზე; შემდეგ ავტორი ერთგვარ ლიტერატურულ ხერხს მიმართავს და გვიხატავს ზოგად სურათს მე-18 ს-ის ქართულ სამეფო კარზედ გამართული „სახსიმოქმედებისა“. ამ ლირიკულ გადახვევაში თამოყრილი არიან ყველა ის ისტორიული არსებული პირები, რომელთა მოღვაწეობაზედაც მოგვიანობის იგი უკვე შემდეგ თავებში.

მეორე ნაწილი მთლიანად არსებულ დოკუმენტებზე აგებული ისტორიული მიმოხილვაა და ძალზედ საინტერესო იმ მხრივ, რომ აქ პირველად ვეცნობით ბევრ დოკუმენტს, ცნობას. მთავარი ყურადღება ეთმობა ერეკლეს თეატრს, რომლის შესახებაც, მართლაც, შემოხატულა მემეტიანის ჩანაწერები. 1795 წელს, კრწანისის ომში დაღალატებულ ირაკლის საკაო ძალები რომ აღარ ეყო, ზრძოლაში გამოსულა სამეფო თეატრის დასიც და უქანასნეულ კაცამდე მებრძოლი „კომედიანტები“ რეგისორობან ერთად, „რომელსაც სახელსა სდებდნენ მაჩაზად“ და რომელსაც „ეყარა ხელთა მისთა ბარბოთ და უტრავდა მას ზედა შილიანსა. მისსა მას, რომელ ლხინსა შინა დაუტყრნენ, ეჟასა შინა უმეტეს სიხარულიანსა ვინადგან მას ესე განამხიარულეს“, დაღუპულან, ანუ როგორც ამბობს მემეტრიანე: „გასწირეს თავნი და შესწირნეს მსხვერპლად საყვარელსა მამულსა თვისსა და სახელოვნად დასთხიენეს სისხლი თვისნი“.

აი, ეს ცნობა იყო საბაბი მრავალ ძიებისა ერეკლეს-დროინდელი თეატრის ვარჯისი. გიორგი ლეონიძემ სპეციალურად იმუშავა მოსკოვისა და ლენინგრადის არქი-

ვებში და მის მიერ მოძიებულ იქნა ათეული უტყუარი საბუთი. რაც შეეხება გამრიელ მაიორს, რომელიც ასევე მსახიობი იქნა ხელაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეში „მცირე უწყება ქართულთა მწერალთათვის“. გ. ლეონიძემ მასზე ცნობებს მიავნო ბესიკისა და მირიან ბატონიშვილის მიმოწერაში, ალ. ორბელიანის პირად არქივში. „ქრონიკებში“ განხილულია დავით რექტორის, გ. ავალიშვილის, დ. ჩოლოყაშვილის და სხვათა თეატრალური მოღვაწეობა და დრამატურგიული ცდები, საიდანაც ვიგებთ სპექტაკლების დიოკრაციული მოწყობილობის შესახებაც.

როდესაც 1925 წელს გამოვიდა მიხ. აბრამიშვილის ისტორიული მიმოხილვა „ძველი ქართული თეატრი“, სადაც ნახსენებია გამრიელ მაიორიც, ერთ-ერთ სქოლოში ავტორი აღნიშნავს, რომ ეყრდნობა „დროშაში“ გ. ლეონიძის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს ამ პიროვნების შესახებ.

გამრიელ მაიორის თემის კიდევ ერთხელ მიუბრუნება უკვე პოეტო-ავადემიკოსი გ. ლეონიძე. ეს იყო 1962 წელს საქართველოს თეატრალური საზოგადოების V ყრილობაზე, სადაც მან წაიკითხა მოხსენება „გამრიელ მაიორი და ქართული თეატრი“. ეს იყო გიორგი ლეონიძის ბოლო თეატრალური გამოკვლევა და მისი გაცნობისას ნათელი ხდება, რომ პოეტს „დროშაში“ მასხლებს გამოქვეყნების შემდეგაც გაუტრიალებია ამ თემაზე მუშაობა. მოხსენებაში იგი უკვე გამოყვითი საუბრობს გამრიელ მაიორის ვინაობის, წარმოშობის, სადაყოობის, მისი სახეცდრო, დიპლომატიური და სამოქალაქო მოღვაწეობის შესახებ. იშველიებს ვიწროლობი წყაროებს, დოკუმენტებს, მიმოწერას და ვიცხატავს არა მარტო ამ პიროვნებას, არამედ იმდროინდელი ქართული ყოფის სურათსაც.

ამ ყრილობაზე, გამრიელ მაიორთან დაკავშირებულ სხვა წინადადებებთან ერთად, გ. ლეონიძემ გამოთქვა აზრი, რომ 11 ნენკენისთვის, როდესაც მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, კრწანისის ველზე დაიღუპა პირველი ქართული თეატრი, მისი დასი, მისი ხელმძღვანელები, ჩვენი თეატრალური საზოგადოების უსამღვლოლობით და შემწეობით ამ ადგილს დადგმულიყა ნიშა ქართულ ხელოვნათა მოსაგონებლად, ხოლო ეს დღე საგანგებოდ აღინიშნულიყო. ეს აზრი, მართლაც რომ საგულისმისო და საყურადღებოა.

გარდა ასეთი თეორიული მოღვაწეობისა თეატრის სფეროში, გიორგი ლეონიძე პრაქტიკულდაც არაერთხელ ყოფილა ერთ-ერთი მონაწილე, შემქმნელი თეატრალური წარმოდგენისა. იგი ავტორია ანდრია ბაბანიყაძის მუსიკაზე შექმნილი ვაგნეტის „მოთების გულის“ ლიბრეტოსი, რომლის პირველი სახელწოდება „მზეჭაბუკი“ იყო. ეს სპექტაკლი რამდენჯერმე დაიდგა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სცენაზე. პირველად 1936 წელს, ხოლო მეორედ 1940 წელს, როდესაც მხატვრობა ირაკლი გამრიეკლს დაევალა. „მოთების გული“ წლების განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან და ყოველთვის ხიბლავდა მაყურებელს არა მხოლოდ შემსრულებელთა მაღალი ოსტატობით, არამედ სიუჟეტის ლირიკული, რომანტიული წყობით, გმირული პათოსით.



არც კინემატოგრაფიისადმი დარჩენილა გიორგი ლეონიძე გულგრილი. მას ეკუთვნის კინოსტუდენტები „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „გიორგი სააკაძე“ (ეს ორი არ განხორციელებულა) და „ჭურჭლის ფარი“. თენგიზ ბუ-ლაძის „ნაჯვრის ხეც“ ხომ მისი საოცარი მოთხრობე-ბის მიხედვით არის გადაღებული.

ქართველ პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს, ხელოვ-ნების სხვა მუშაკებს რაღაც განსაკუთრებული მეგობ-რობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. მათი გრძნობები წლებმა ვაშლისადგეს და შემდეგ მოგონებად აიციმნენ. გიორგი ლეონიძე ახლოს იცნობდა და მეგობრობდა აკა-კი ხორავეს, აკაკი ვასაძეს, დავით ჩხეიძეს, სერგო ზაქა-რიძეს, ნიკოლოზ შენგელიას, ვერიკო ახვაფარიძეს, ნატო ვაჩნაძეს, მიხეილ ქიაურელს, თამარ ჭავჭავაძეს... ვინ მოსთვლის, ამ მეგობრობის რამდენი სასიხარულო წუთი გაჰყვა მათ ცხოვრებას, მათ მასსოვრობას; ძალიან მცირეა ქალაღზე შემორჩენილი და აღნიშნული და მინც, რა ბევრს ნიშნავს ის მცირეოდენიც, რომელიც ჩვენს ხელთ არის, უპირველეს ყოვლისა, გიორგი ლეო-ნიძის მიერ ქართველი არტიტებისადმი მიძღვნილი პოე-ტური სტრიქონები. ისინი არც ისე ბევრია, მაგრამ ყვე-ლა გულის უშუალო ნახმევი და ამიტომ ძვირფასი. არის კოტე ყიფიანისადმი მიძღვნილი ლექსი „მოხუც ქუ-რუმს“. თამარ ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსი, ექს-პონატი ნატო ვაჩნაძეზე: 1950-იან წლებში ზშირად იმართებოდა ნატოსადმი მიძღვნილი საღამოები. სწო-რედ ერთ-ერთ ასეთ საღამოზე, ველისციხეში, ხელდა-ხელ გამოუთქვამს ეს სტრიქონები პოეტს:

გამოვლოია მშვენება
ჭეუპანის და ნინოს...
პირველი სიყვარული ხარ,
ნატა, ქართული კინოსი,
ბოლო ხარ, მართლა ბოლო ხარ,
დიდი ქართული მშვენების,
მაგრამ კილევაც მოვევია
მშვენიერება შენგებრი,
რადგან არასდროს დადგება
დრო, ქართველთა ვაღმეფების...
ჩემო ალანის ნობობო,
მისო, შუქთაბრწყინავო,
დილით მზე ამოკაშკაშდა,
შენ ნოუძდლოდ წინაა...

„გიორგი ლეონიძესთან შეხვედრისას, მასთან საუ-ბარს, მისი ლექსების კითხვას, მის მოსმენას, ანდა მას-თან ერთად თუნდაც ერთი ჭიქა ლეინის შესმას, რაღაც მაკოცხლებელი თავისებურება დასდევდა; უკეთესი პა-ტრიოტები ვხდებოდი. მის მხრებს იქით ჩევი კარგი, სათაყვანებელი სამშობლო ჩანდა... სწორედ გიორგი ლეონიძეს უნდა ვემადლოდე, რომ ჩემი ცხოვრების

სხვადასხვა დროს შევქმელი შენახა საქართველოს სიტუაციები დავით ჩხეიძის მოგონებებიდანაა. გოგლას განსაკუთრებული თვისება იყო საქართველოს ყოველი კუთხის საკუთარი ფეხით მოვლისა და ამ თავის სურვილში მეგობრებსაც აიყოლებდა ხოლმე.

ვასო გომიაშვილმა სწორედ გოგლას შთაგონებით დაიწყო მუშაობა დიდი ილიას შემოქმედებაზე; თავად უგროვებდა მასსლებს შოთა რუსთაველის შესახებ. გი-ორგი ლეონიძის მოუხსენარი ბუნება უამრავ მოულოდ-ნელობებს პირდებოდა მის მეგობრებს. აი, ერთი შეხ-ვედრა: „...მასსოვს, რადიოში ჩამაწერინეს მისი ბრწყინ-ვალე პროზიდან პატარ-პატარა მოთხრობები და სხვა-თა შორის მისი დიდებული „ღვინჯაა“. მოუხსენია და მეორე თუ მესამე ღღეს მირეკავს — ამორბინე ჩემთან, ერთ ადგილას უნდა წაგიყვანო. მეც რამოდენიმე წუთ-ში გამოვექმე და მანქანით მივაღდექით ანჩისხატის უბანში, იქ სადაც მე დავიბადე, ერთ-ერთ ალყაფს; გა-ვათე და შევედი თველებურ ენოში; შევყავით თავი ოთახში, არც დღე ღუზღუზებდა „ექსტრის ფეჩი“. იდგა სუფრიანი მაგიდა; მაგიდაზე წნელი, ხინჯალი, შემწვარი ინდაური, ქვევრში ღვინო და ...დაიწყო საღვებრძელო-ები. „—აი, ეს გახლავთ ღვინჯაა — მოხბრა გოგლამ, და ეს კიდევ ჩემი საკუთარი ქვევრია“. ადრე ნათქვამი ჰქონდა, რომ დავბადებულვარ, მიწვეულ სტუმრებისათ-ვის შემწვარი ინდაური შემოუტანიათ გაშლილ სუფრა-ზე, იმის მერე ჩემს დაბადების ღღეს აუცილებლად მაქვს შემწვარი ინდაური და განსაკუთრებულადც მოყვარო-ბი მოვიხსენებ და მერე როგორ...“ ეს მოგონება ვასო გო-მიაშვილს ეკუთვნის. რამდენი დარჩა მასაც და სხვებსაც გიორგი ლეონიძეზე უთქმელი, მოსაგონებელი...

ყოლივე ზემოთ თქმული, სამაგალითოდ მოყვანი-ლი, ალბათ მხოლოდ მცირე ნაწილია გიორგი ლეონი-ძის მიერ წლების მანძილზე ქართული თეატრის შესა-ხებ უტრნალ-ვახეთებში გამოქვეყნებული მასალებისა, მის საკეთილდღეოდ გაწეული მუშაობის თუ იმ სიყვა-რულისა, რომლის დატევა და გამხელა შეეძლო მის პო-ეტურ ბუნებას. იმ მრავალფეროვან შემოქმედებით მე-კვირებობაში, გიორგი ლეონიძეს რომ დარჩა, თეატრა-ლური შენაკადები უთუოდ საინტერესოა და ისინი თა-ვიანთ ადგილს იკავებენ ქართული თეატრალური კულ-ტურის ისტორიაში.

აღმოსავლური მუსიკა და ქართული მუსიკალური კულტურის ტიპოლოგიის პრობლემა

ინგა ბახტაძე

მრი განსხვავებული — პარმონიული და მონოდიური მუსიკალური აზროვნების სისტემების შეთავსებასა და ურთიერთკავშირზე თანამედროვე პოლემიკა და მასში მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია პრობლემის პოზიტიური გადაწყვეტისა, აღმოსავლური მუსიკალური კულტურის მკვეთრად გაზრდილ როლზე მეტყველებს. დღეს უკვე ყველა ობიექტური წინამძღვარი არსებობს იმის სამტყვიებლად, თუ რაოდენ ხელმოკარგულია და დრომოკმულიც „კულტურული რელატივიზმის“, „მარადიული ტიპების“ კონცეფციები, ანდა „კულტურული პლურალიზმისა“ და ლოკალური ცივილიზაციების თეორიების დამცველთა პოზიციები, რაოდენ რეაქციულია „საერთო კასრის“ („melting pot“). გაგებანი, რომელიც საბოლოოდ მაინც კულტურული პენოციდის იდეისაკენ მიემართება.

საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკალურ მიღწევებზე ორიენტაციით, სადღესოდ შესაძლებელია მუსიკალური აზროვნების განსხვავებულ სისტემათა შეთავსების, მათი ურთიერთგაგლეხის ფაქტის არამართო ფართო კონსტრუქცია, არამედ მსოფლიოს მხატვრული კულტურის ზოგადი განვითარების თვალსაზრისით ამ შეთავსების აუცილებლობის აღიარებაც.

განსხვავებულ მუსიკალურ სისტემათა აღნიშნული ურთიერთობის წინაარსისა და დინამიკის ღრმა გაგებისათვის „გასაღებს“ ვეაძლეხს იმის ყოველმხრივი გათვალისწინება და გააზრება, რომ ეს პროცესი სოციალისტური კულტურის განვითარების საერთო პროცესების კვალზე მიემართება. ტრადიციებისა და ისტორიული გამოცდილების შენარჩუნების გზით საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურა ჩამოყალიბდა როგორც კულტურის ახალი ტიპი. კულტურული რევიოლუციის მონაპოვართა საფუძველზე

ზე იგი საბჭოთა მრავალეროვანი მუსიკალური ცხოვრების ქმედითი მონაწილე გახდა. საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკამ შეიძინა ყველა ის თვისებრივად ახალი მახასიათებლები, რომელიც, არსებითად, კულტურის დემოკრატიზაციის, ახალი სოციალისტური ინტელოგენციის შექმნისა და ფართო მუსიკალური მშენებლობის კანონზომიერი შედეგი იყო.

მაგრამ ისტორიული მნიშვნელობა იმისა, რაც უკვე განხორციელდა საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისათვის, მიღწეულით როდი უნდა შემოიფარგლოს. თანამედროვე მეცნიერული აზრი მოწოდებულია იმ სირთულეთა და დაბრკალებათა დასაძლევად, რაც ჭერ კიდევ უდევოდ არსებობს და ზღუდავს წარმატებათა მასშტაბებს.

რამდენადმე სავანებო ხსიათის დაბრკოლება თუ სიმძნელე კი მაინც საკუთრივ პარმონიული და მონოდიური სისტემების ურთიერთობის რთულ მექანიზმშია. მოუღუნაში, რომელშიც ჭერ კიდევ ყველაფერი როდია ამოცნობილი. ეს შეეხება, მაგალითად, ორგანული შერწყმის მავიერ ფორმალური კონგლომერაციის ძირეული მიზეზების საკითხს, თუ ზოგიერთ შემთხვევაში ოდინდელი ეროვნული ელემენტების „ჩარეცხვის“, თვისებრივად ახალი წარმოხაქმნების აღმოცენების პირველმიზეზსა თუ სხვას.

სწორედ ურთიერთშეთავსების ამ პრობლემის განასერში შესაძლებელი უნდა გახდეს ყველა იმ საკითხთა გააზრება და გადაწყვეტაც, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საერთოდ აღმოსავლური მუსიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. პირველი, რაც აღნიშნული პრობლემის გაშუქების სინტაქსზე აღმოჩნდება, ესაა

მუსიკალური კულტურის „აღმოსავლურობის“ მკაფიო დევნიცია. ამ ტერმინის პირობითობის საკითხში ჩაუღიებლადაც საჭირო გახდება გარკვეული კრიტერიუმის, ან ნიშანთვისების გამოტანა, იმ კრიტერიუმისა, რომელიც ამოსავალი იქნება კულტურ-ისტორიული პლანის დახასიათებისათვის: ეს, ყოვლის უპირველესად, არის საუკუნეთა მანძილზე ჩამონაკეთული და კონკრეტული სისტემებად დაკრისტალებული მონოდიური მუსიკალური აზროვნების სტრუქტურა. ისეთი სტრუქტურა, რომლის სპეციფიკაცა „მონოდიის სრული და უსიტყვო ბატონობა“².

მაშასადამე, აზროვნების მონოდიური პრინციპი იქცევა იმ სუბსტანციურ თვისებრიობად (პარამეტრად), რომელიც შესაძლებელს ხდის „აღმოსავლური მუსიკალური კულტურის“ მიეცეს ტიპოლოგიური დედააზრი. აღნიშნული პრობლემის გაშუქების არანაკლებ მნიშვნელოვანი წინამძღვარია მეორე საკითხიც — ესაა „აღმოსავლური“ მუსიკალური-კულტურულ არეალში ყველა იმ მრავალრიცხოვან ეთნიკურ კულტურათა გაერთიანება, რომლებიც ეფუძნებიან მუსიკალური აზროვნების მონოდიურ სისტემას და ტერიტორიულად ჩვენი ქვეყნის ევროპულ და აზიურ ნაწილებს მიეკუთვნებიან. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მხარეა, თუნდაც იმ თვალსაზრისითაც, რომ საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურაზე ლაპარაკისას, ხშირად ეთნოცენტრიზმის პოზიციებზე აღმოჩნდებით ხოლმე, რადგან მსჯელობა, არსებითად, შეუაზისა და ამიერკავკასიის რეგიონებზეა მიმართული.

ჩვენ იმ დისკენსიკენ ვიხრებით, რომ ვიდრე ძალაში რჩება „აღმოსავლურობის“ ძირითად და შესაძლებელია, ერთადერთ მდგრად „განზომილების ერთეულად“ აზროვნების მონოდიური პრინციპის აღიარება, საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურა შეადგება განიხილის როგორც ერთიანი, მთლიანი სისტემა. მაგრამ ეს როდის ნიშნავს საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკის უნიფიკირებული გაგების გამართლებას მხოლოდ ამ ნიშანთვისების მიხედვით. ამგვარი გაგება პრობლემის გაშუქების გზებთან უფრო დაგვაშორებს.

საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურა, როგორც ერთიანი სისტემა, იგება ეროვნული კულტურების სხვადასხვა ქვეტიპების მრავალრიზიან თანარსებობაზე. სწორედ ეს ქვეტიპები, თანარსებობითა და კოორდინირებით, იმუშაებენ გარკვეულ სუბსტანციურ ნიშანთვისებებს და ამათ ხელა უწყობენ კულტურის როგორც მთლიანი

სტრუქტურის არსებობას. და როდესაც იმემა პრობლემა აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურის როგორც სისტემის „განტაბელობისა“, საკითხი მისი გარეგანი „განართულობისა“, მაშინ უფრო ახლოს ვდგებით არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვასთან: რა შინაარსისაა საუკუნეთა შემაღვენილი ნაწილების დინამიკა თვით სისტემის შიგნით? რა ხასიათისაა ეს „შიდა“ „შესიტყვება“, თანადაქვემდებარება, ურთიერთშეფარდება, ცალკეულ სტრუქტურათა საზღვრების მოქნილობა?

აქ უკვე ნათელი ხდება საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურის დიფერენცირებულ განხილვის აუცილებლობა, რამაც, თავის მხრივ, უნდა გახსნას სხვადასხვა შინაარსის ტიპოლოგიური დინამიკა და მასადაამე, მოგვეცეს სისტემის შიგნით ამ დინამიკა ურთიერთმოქმედების ამპლიტუდის შესწავლის რეალური საშუალებები. ესევე, საბოლოო ჯამში, გვიჩვენებს ერთიანი სისტემის დინამიკის შინაარსს ან სისტემის გარე „განართულობის“ თვალსაზრისით.

მაშასადამე, ტიპოლოგიის საკითხი უნდა დაისვას ფართო, განმარტოვადებელი რაკურსით, როგორც ისტორიული და მრავალღმენტიანი კატეგორიისა. ტიპოლოგიური ძიების ძირითად საგნად იქცევა მუსიკალური ფოლკლორი, როგორც ეროვნული კულტურის გენეტიკური წამყვანი კომპლექსი. სწორედ მუსიკალური ფოლკლორი, როგორც ზეპირი ტრადიცია, წარმოადგენს ტრადიციების გამომავლის სტაბილურ ფორმას. მასში მოქმედებს „ხალხის კოლექტიური მეხსიერება“, რაც ისტორიულად აყალიბებს მყარ, ნორმატიულ, ტიპოლოგიურ ფენომენებს. სწორედ „ხალხური კულტურის განვითარება, ტრადიციათა მოქმედების გამო, უცილობლად გულისხმობს თავის შემაღვენილობაში ბევრის იმის შენარჩუნებას, რაც შექმნილა და დაგრეობებულა წარსულში“³.

ტიპოლოგიური ძიებანი გულისხმობს ურთიერთამხსნელი ელემენტების მრავალმხრივ ანალიზს, ამასთან, საკუთრივ მუსიკალური კულტურის საზღვრებიდან გასვლას, მუსიკალურ-თეორიული ფარგლების გარდა, ესთეტიკური, ისტორიოგრაფიული, სოციოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური მიდგომის ფართო გათვალისწინებას. აქედან გამომდინარე პარამეტრების მთელი სისტემის შედგება გამოვლინდება ის ურთიერთგამაპირობებელი კომპლექსები, რომლებიც ქმნიან მოცემული კულტურის ტიპოლოგიურ მახასიათებლებს.

ცალკეულ მუსიკალურ კულტურათა ტი-

პოლოგიურ მდგრადობაზე ლაპარაკისას კარგად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სხვადასხვა ეროვნულ კულტურებს შორის ტიპოლოგიური მსგავსება (ჩვენ ზემოთ აღნიშნავდით მონოლითურ მუსიკალურ აზროვნებაზე, როგორც სპეციფიკურ ტიპოლოგიურ ნიშანდვისებაზე) გამოირჩევა მათი იდენტურობის საკითხს (მაშინ არ დავაყენებდით საკითხს სისტემისა და მისი უშემაღვრელი ქვეტაბების — სტრუქტურების შესახებ), მეტიც, სხვადასხვა ხალხთა მუსიკალური კულტურების ტიპოლოგიურ მსგავსებაში (რაც განპირობებულია, არსებობდა, მათი ისტორიული განვითარების კავშირ-ნათესაობით) სრულიადაც არ არის აუცილებელი გენეტიკური ხასიათის მსგავსება. ამიტომაც, შესაძლებელია დასაშვებად მივიჩნიოთ ამგვარი სახის განსხვავება საბჭოთა აღმოსავლეთის სხვადასხვა ეთნოსის მუსიკალურ კულტურებშიაც.

სწორედ ამ კონტექსტშია საინტერესო, მაგალითად, სამეხი ხალხის მონოდიის განსხვავებული ნიშანდვისება, რომელიც ხასიათდება პარმონიული აზროვნების სპეციფიკასთან შესამჩნევი შემთავსებლობით. შესაძლოა ამ ქვეტაბის ზღვრების მოქნილობის, მისი მომეტებული „გახსნალობის“ შედეგია სომხური კულტურის მიერ პროფესიული მუსიკაში ეროვნული მრავალმნიშვნის პრინციპების წარმატებით შემუშავების ფაქტი (ცხადია, გარდა საზოგადოებრივ-ისტორიული ხასიათის მიზეზებისა). ამავე თვალსაზრისით განა ნაკლებ საინტერესოა მონოდიური ტაბის კლასიკური მუსიკალური კატეგორიის — მაკომის პრობლემა? თუა აზრისა და ამიერკავკასიის თვითიუღუნოთან (აქ, მხოლოდ ქართულ ერს არ განაჩნის ეს ფორმები) მაღალი პროფესიონალიზმის ამ ნიმუშებს შეაფიქროდ გამოხატული ეროვნული თვითმყოფლობის ბეჭედი აზის (აღარას ვამბობთ არაბული და აფრიკული მიკუთვნილობის მათ სახესხვაობაზე). მათ შორის სახესხვაობა მინც არსებობს, იმის მიუხედავად, რომ კონსტრუქციული ელემენტები ყველა სათვის საერთოა და იგი აღმოსავლური კულტურების არაბიზაციის ისტორიულ შედეგს წარმოადგენს. არაერთი სხვა კითხვა იბადება. მაგალითად, გამოხატავდა თუ არა ნაციონალიზაციის ტენდენციას მაკომების ლოკალური ვარიანტების წარმოქმნის კონსტრუქციული ელემენტები და მათი უზბეკეთის ჯერ კიდევ ფეოდალური დამპყრობის ხანაში და ბუხარის, ხორეზმის, ტაშკენტისა და სხვ. მაკომების წარმოშობაში? უსაფუძვლოდ ხომ არ აღინიშნება უზბეკური „კლასიკური მუსიკის“ სათავეების ორგანიზაციების შესახებ, რომელშიც შეინიშნება იმ უძველესი კანონიზებული სავალდებულო განვითარება,

რაც ისლამის გამოჩენამდე უკავშირდებოდა სარტულად წესებს. ანდა, ავიღოთ, მაგალითად, ყაზახური ხალხური ინსტრუმენტალობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ამუშავებდა ტრადიციულ-პროფესიულ ფორმებს. შევძლო კითხვის ხელგეგმვას ოდნეულად საწყისებთან მოწყვეტა, ამაღლებოდა ეროვნული სტილის კატეგორიამდე ყურმანგაზას, დაულუთქარის, ტატიმბების და განათა მხატვრული ოსტატობა ისე, რომ არ განვეითარებინა მომთაბარეობის სათავეებიდან მომდინარე ეროვნული სემანტიკა?

ტიპოლოგიური მიდგომის აუცილებლობას კიდევ უფრო დაბეჭდობით მიუთითებს ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური კულტურების მაგალითი, რომელიც ჩამოყალიბდება და განვითარება მიმდინარეობდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ბირობით ვავლებულ საზღვარზე. სწორედ ორივე მხრიდან წამოსული კულტურული ტენდენციების ამ „მიჯნაზე“ შეიმუშავა ვიკიპარაკოთ განსხვავებულ ტიპოლოგიურ დონეებზე და, რაც არსებითია, პარმონიული და მონოდიური სისტემების თანარსებობის დინამიკაზე.

სწორედ ამ თვალსაზრისით, ქართული მუსიკალური კულტურის შესწავლის ტიპოლოგიური ასპექტები წარმოაჩენს საინტერესო ხასიათის პრობლემებს და ამასთან ერთად, აყენებს ქართული მუსიკის არსებითი განსხვავების საკითხს არამარტო ამიერკავკასიის, არამედ საერთოდ საბჭოთა აღმოსავლეთის მუსიკალურ სისტემებთან.

მართალია არიან ის ავტორები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხთა შორის „მხოლოდ ქართულ ხალხურ მუსიკას აქვს მრავალმნიშვნისი განვითარებული სისტემა. ამას გარდა, მუსიკალური აზროვნების პრინციპებში მისი განსხვავება ევროპულ სისტემასთან, არც ისე კარგად დინალურა, როგორც უკავშირე კულტურებში“⁴. მაგრამ საკითხს მხოლოდ ამგვარი კონსტრუქციული ემემა წერტილი და ამის იქით იგი აღარც მიდის. მიუხედავად ასეთი საფუძვლიანი არგუმენტისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მუსიკალური კულტურა (აღარ ვაზუსტებთ — ამ კულტურის გენეტიკურად წამყვანი კომპლექსი — ხალხური შემოქმედება) კვლავ „აღმოსავლურობის გროფით“ იხსენიება. ეს შეცდომა სამამოლო სამეცნიერო ლიტერატურაში იმთავითვე არასწორად მიჩენილ ადგილს რატომღაც „შეეცინა“. „იმთავითვე მიჩენას“ კი ასწლიანი ისტორია აქვს მოტოვებული და იგი გასულ საუკუნეში გაიქცა თვალთ საერთოდ ქართული კულტურის „აზროვად“, „ორიენტალურად“ თუ „ეკზოტიკურად“ დანახვა-



შეფასების უნებლო შედეგი იყო. ამ თვალთახედვის უმართებულბა გასულ საუკუნეშივე ილია ჰავეაქაძემ აღნიშნა, როდესაც ქართულ მუსიკაზე სპეციალურ წერილში ქართული მუსიკის „აზრობა“ უარყო. ილიამ მაშინ კონცეფციური მნიშვნელობის საკითხი წამოსწია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მუსიკალურ-ესთეტიკურ აზრობა მაკვირიდ იჩინათვის ამომსავლურობის დაძლევის, მისგან გამიჯნვის ტენდენციამ. ეს არსებითი და მნიშვნელოვანი ფაქტია იმ პერიოდში, როდესაც ქართული მუსიკის მეცნიერული შესწავლის მხოლოდ პერსპექტივები ისახებოდა და როგორც ჩანს, ამ ისტორიულ-სააზროვნო ტენდენციას არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა მისი ფართო გათვალისწინების თვალსაზრისით.

აღრინდელ შეცდომას თუ ერთგვარი გამართლება მოეძებნება, გასაკვირი არ არის. გასული საუკუნის თითქმის მთელ მანძილზე (ბოლო ორი ათწლეულის გარდა) ქართული ეროვნული მუსიკა, რომელიც სოფლის ყოფაში იყო შექცეული და საზოგადოების მიერ იგი თანდათან დაიწყებდა ეძლეოდა, ბევრი არაქართულისათვის სრულიად უცნობი იყო, ანდა ქართული მუსიკის მთელი გავება თბილისის აშუღური მუსიკით შემოიფარგლებოდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართული მუსიკაც ამიერკავკასიური კულტურის კრებთი გავებაში იქნა მოქცეული, რომელშიც, მართლაცადა, სხვა დანარჩენი ხალხების მუსიკა მონოდიურობის გამო „აღმოსავლურობით“ აღინიშნებოდა. ქართული მუსიკალური კულტურის „ამიერკავკასიურობის“ და მამასადაზე, „აღმოსავლურობის“ დღემდე მოღწეულ ინერციას კი გამართლება ვერსაიდან მოეძებნება. დღეს გავუგებარი რჩება — რა განზომილებით სარებლობენ ავტორები (საკმაოდ კომპეტენტურ გამოცემებში), რომლებიც ვრცელ სპეციალურ მსჯელობას აგებენ აღმოსავლური მუსიკის თაობაზე და იქვე, მაგალითად, მიუთითებენ, რომ „ჩვენ დავეყრდნობით შუა აზიას“ და ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრაქტიკასა⁶ და ქართული მუსიკალური კულტურაც დაუბრალოებლად „იხილება“ „დადგენილ ობიექტზე“. უფრო მეტიც, ზრდებით ისეთ პუბლიკაციებსაც, რომლებშიც მკაფიოდაა განმარტებული „აღმოსავლურობის“, როგორც მონოდიური სტრუქტურის, ცნება და ამ კონტექსტში ქართული მუსიკის მაგალითზედაც მონოდიური კულტურების ზოგადი პრობლემები, მისგან მომდინარე კანონზომიერებებიც „გამოიყვანება“. საქმეში ჩაუხედავობას ან გეოგრაფიულ ორიენტაციას თუ მიეწერება ისიც, რომ

სოლოღური გამოცემების სტრიაში „**Панорама**“ ნიკი музыкально-эстетической мысли“ ცალკე ტომში — „Музыкальная эстетика стран Востока“, (M, 1967) აღმოსავლურ ძველთა მწერები კვეთავი „Грузия“-ც მოთავსდა. ასეთი ბევრი მაგალითია და ყოველივეს აღრიცხვა, აღწათ, ძალზე შორს წაყვავებდა.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ დროა ღრმად ჩავეძიოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც ქართული მუსიკის კულტურ-ისტორიული ტიპის თვალსაზრისით ფართო განზოგადებისათვის საჭირო დასკვნებს მოგვცავდეს. შემთხვევითი როლია და სიმპტომატურიცაა, რომ ტიპოლოგიურმა პრობლემატკამ ქართულ მეცნიერებაში აქტუალბაა მოიპოვა არამარტო მუსიკისმცოდნეობის სფეროში, არამედ ლიტერატურისმცოდნეობასა და საერთოდ ხელოვნებათმცოდნეობაში. წინამდებარე სტატიის ჩარჩოები ვერ გასწევდა საკითხის გაღრმავებას (ამას არაერთი სპეციალური ნაშრომი უნდა მიეძღვნას), მაგრამ რამდენიმე ასპექტი აქ მაინც უნდა აღინიშნოს.

ზედმეტია იმის გამოკრება, რომ მუსიკალური აზროვნების პრინციპი (მრავალმხიანობის სტრუქტურა) ქართული მუსიკის მთავარი და ძირითდი განმსხვავებელი ნიშანია. ეს, ცხადია, განსაზღვრის მთავარი განზომილებაა, მაგრამ საკითხი მოითხოვს ინგრედიენტების მთელი კომპლექსის გახსნას და უპირველესად იმ ელემენტებისა, რომელიც შეადგენს ქართული მუსიკის სტრუქტურის პრინციპების არსს და მისი ლოგიკის სპეციფიკის წარმომქმნელ კომპონენტებს.

შედარებითი ტიპოლოგიის გზით ამ ლოგიკის სპეციფიკა ვლინდება კომპლექსის დიალექტიკურ მთლიანობაში და სახელობრ:

სტრუქტურული ორგანიზაციის პრინციპებში;

ფორმისწარმომქმნელ ელემენტთა სისტემაში;

ძირითად და დამხმარე გამომსახველ საშუალებათა სპეციფიკაში;

კილონტონაციური და რიტმული ბუნების სპეციფიკაში;

სოციალური ყოფის ფორმებში;

ხალხური პროფესიონალიზმის სპეციფიკაში;

სამემსრულებლო სტილის მახასიათებლებში;

ალქმის ტიპებში;

სახეობრივი აზროვნების ტენდენციებში, მხატვრული კონცეფციის დროში;

შინაარსის რეალზაციის ადრობით ბუნებაში;

სტაბილური და მობილური ელემენტების ხასიათში და სხვ.

ქართული მუსიკის მთელ რივ საკითხებზე დღეს არსებული ლიტერატურა (აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროფ. შ. ასლანიშვილის ნაშრომი ქართული ჰარმონიის შესახებ) უკვე ცხადყოფს აღნიშნული კომპლექსის ურთიერთგამპირობებელი ელემენტების ტიპოლოგიური ასპექტით სპეციფიკურობას, მათ პრინციპულ განსხვავებას მონოდური სისტემის მუსიკალური კულტურის მთავარი მახასიათებლებისაგან.

მათა შორის, ისტორიულად შემოსულმა და ასიმილირებულმა „აღმოსავლურმა“ ელემენტებმა გარკვეული ადგილი მოიპოვა ქართულ მუსიკალურ კულტურაში (ე. წ. ქალაქური კულტურა), მაგრამ რაოდენ დაარღვივა ჰარმონიული აზროვნების ლოგიკა, მისი სტილისტური პრინციპები, რომელშიც მუდამ ჰარმონია და პოლიფონია იყო მაკოორდინირებელი და გადამწყვეტი ფაქტორი. ფაქტორი, რომელიც აწესრიგებდა სხევე ქართული ხალხური მუსიკის ევროპულ საკომპოზიტორო პროფესიონალიზმთან შეთავსების მთელ პროცესს. სწორედ იგივე ფაქტორია ამ შეთავსების მექანიზმში ბევრის ამხსნელი. მაგალითად, თუკი ეროვნული მრავალხმიანობის შეტანა — შემუშავება თავი და თავი პრობლემა ყველა მონოდური კულტურისათვის, რომელიც საკომპოზიტორო პროფესიონალიზმს ეუფლება (უამისოდ ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელია), ქართულ კულტურას ეს პრობლემა იმთავითვე მოხსნისა ჰქონდა. ზ. ფალიაშვილის წინაშე ეს დაბრკოლება არ აღმოჩნულა და ქართული ხალხური საგუნდო კულტურისადმი მისი მიმართების ბრწყინვალე შედეგები ამის საუკეთესო დამადასტურებელია. როდესაც აღინიშნება კომიტასის დიდი ღვაწლი სომხური, ხოლო უ. ჰაიბეკიანის აზერბაიჯანული მუსიკის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, ეს ღვაწლი აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ღირსშესანიშნაობაში ვლინდება მთელი სისრულით. ესევე ითქმის შუა აზრის რესპუბლიკებისა და სხვა მონოდური კულტურის იმ ხალხთა მუსიკალურ მიღწევებზე, რომლებმაც საკომპოზიტორო ხელოვნების თვალსაჩინო მიმუშები შექმნეს.

ამრიგად, თუ შევიძლია ვთქვათ, რომ ქართული მუსიკალური კულტურა მონოდური სისტემებისაგან პრინციპულად განსხვავებული მუსიკალური აზროვნების ტიპია და ამასთან, „მონოლიას“ მივიჩნევთ აღმოსავლური კულტურის სუბსტანციურ ნიშანთვითებად. მაშინ საკითხი გავცდით მარტოოდენ კონსტრუქციის ჩარჩოებს და განზოგადების სიბრტყეზე დავაყენებთ შემდეგი კითხვა:

მართებულია ქართული მუსიკის აღმოსავლური კულტურის ტიპად მიჩნევის ინერცია და შესაძლოა, ტრადიციაც კი? ცხადია, ამას სპეციალური გამოკვლევები უფრო სრულად უნახსებებს. პრეამბულა — ემპირიულად და თეორიულად ახლავ არსებობს და, არსებითად, იგი ქართული მუსიკალური კულტურის დასავლურობის კონცეფციაში აისახება.

ქართულ მეცნიერებაში მუშავდება დებულება, რომლის მიხედვით ისტორიულად მთელი ქართული კულტურა უახლოვდება კულტურათა დასავლურ ჯგუფს და, რომ თავისი განვითარების საკვანძო მომენტებში ქართული კულტურა დასავლურ ტენდენციებს ავლენდა. ქრისტიანობის მიღება კულტურულ-ისტორიული პერიოდებიდან იმთავითვე ამ ტენდენციის გამოხატულება იყო და ეს ორიენტაცია თანმიმდევრულად კულტურის თითქმის ყველა სფეროში აისახა: მავალითად, შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ქართული აზროვნება უფროსი მავალი ნეოპლატონიზმს ავითარებდა. ქართული ფერწერა აღმოსავლეთისათვის უცხო მონუმენტალიზმის პრინციპებს ეფუძნებოდა, ასევე იყო არქიტექტურასა და ქედურ ხელოვნებაში. ლიტერატურაში კი რუსთველოლოგიამ კარგა ხანია აღნიშნა „ეფუძისტაოსის“ ტიპოლოგიური სიახლოვე დატენი „ლოთაბრიც კომედიასთან“, „პარსიფალიან“ და სხვ.⁸

ქართულ მუსიკას კი უფრო მეტი საფუძვლიანობით შეუძლია დაადასტუროს ის თვალსაზრისი, რომ მთელი ქართული კულტურა კულტურის დასავლურ ტიპს უახლოვდება.

დასასრულ, თუ დაეუბრუნდებით საკითხს განსხვავებულ მუსიკალურ სისტემათა შეთავსების თაობაზე, რომლითაც დაიწყეთ ჩვენი სტატია, შეიძლება იმის ღრმა რწმენა გამოეთქვათ, რომ ახლო მომავალში მრავალხმიანი ძიებანი (მათ შორის ტიპოლოგიურიც) საშუალო აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკალური კულტურის სფეროში, განზოგადების ახალ გზაზე გავიყვანს. იმ გზაზე, რომელიც საბოლოოდ დაადგენს ჩვენს დღევანდელ წარმოდგენებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მუსიკალური სისტემების კარდინალურ განსხვავებასა და შესაბამისად, მათი შეთავსების პერსპექტივებზე. თუ დაეუბრუნებთ ერთგვარ თავისუფალ იმპროვიზაციას ამ თემაზე, შესაძლებელი იქნება არაერთი საბუთის მოტანა ამ სისტემებს შორის „ფერის წერტილებში“ აღიარებისათვის. ისტორიულად ზოგიერთი ამათგანი თეორიულად გამოიყენებოდა, ზოგიც ურთიერთშეხების ციკხალ პროცესებში იბადებოდა.

გვერდი ვერ ავლენს იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში



სწორედ არაბული აღმოსავლეთი გზისა შუამავალი ქრისტიანი თეორეტიკოსების მიერ ანტიკური ტრადიციების, ბერძნული სამუსიკო თეორიის პრაქტიკული პრინციპებისთვისაა. გასახსენებელია ის მოვლენაც, რომ იმ პერიოდში, როდესაც სრულიად აკრიტიკებული იყო პირობების პრობლემა, „აღმოსავლური“ მუსიკის სტილიც თავის ეროვნულ ფარგლებს გასცდა და ევროპულ მუსიკაში ე. წ. დომინანტური კილოს სახით იჩინა თავი. ესეთიკური ჩანაფიქრის შედეგად როლია ი. ს. ბახის პირველი „ბრაუნდებურგის კონცერტის“ adagio-ს თავისებური „აღმოსავლური“ კოლორიტი, რომელიც მას დომინანტური კილოს შეტანამ შესძინა. ეს ფაქტი სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში კანონზომიერი, ცოცხალი პროცესის შედეგად იყო. ამავე დომინანტური კილოს გამო წარმოქმნილი „აღმოსავლური“ ელემენტი აღინიშნება შუაღმრეთის მუსიკაშიც (მაგალითად Fis-dur, № 5 ნოქტურნის მთელი შუა ნაწილი). ამ თვალსაზრისით ბევრი შეიძლება ითქვას ესპანელ კომპოზიტორებზე, ფრანგულ მუსიკალურ იმპრესიონიზმზე და რაღაც თქმა უნდა, რუსულ კლასიკაზე, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთილი ესეთიკური პოზიციით აღმოსავლეთის „ათვისების“ გზას გაჰყვა.

რამდენი, ჯერ კიდევ გამოუცნობი მომენტია სხვადასხვა ეროვნული კულტურების საკუთრივ ფოლკლორულ კავშირებში, მათი თეორიულ შეხების კანონებში! ნაკლებ შესწავლილია, მაგრამ ცნობილია, მაგალითად, რომ რუსული ხალხური მუსიკის დამახასიათებელი ნიშნები — ტრიბორი, ცეკლი კილოები, განვითარების ვარიანტული პრინციპები ახასიათებს აღმოსავლეთის ხალხების ფოლკლორსაც, ძველ ფრანგულ სიმღერებსაც და ამერიკელი ინდიელების ფოლკლორსაც. მაშასადამე, თუ სტილიური „შენაღნობი“ სრულიად განსხვავებულ ეროვნულ ფოლკლორშიც ვლინდება, რა პერსპექტივებს უსახავს იგი საერთოდ საკომპოზიტორო ხელოვნებას? ეს პერსპექტივები განსაკუთრებით რეალურია მე-20 საუკუნის მუსიკისათვის, თუ გავითვალისწინებთ ეპოქის ესეთიკურ და სტილისტიკურ ტენდენციებს. თანამედროვე მუსიკა ბევრითი მასალის ორგანიზაციის მრავალგვარი სისტემებით, ვერ დარჩება ერთი, გაბატონებული პრინციპის ჩარჩოებში. იგი გამუდმებით ეძებს რთული კონცეფციების გამოხატველი საშუალებების ვაფართოების მისაღწევად გზებს. და თუ სადღესოდ ხალხური მუსიკის „გრამატიკას“ გარდასახვა თვისებრივად შეეცალა — ეს კილონტონაციური პრობლემის, რიტმული განზომილებების, აუსტიკური პრინციპების

და სხვა ელემენტების ახალი გაგების უკულობელი შედეგია. ისიც, რომ ფოლკლორის გამოყენება დღეს ბუნებრივად ეგუება სერიული ტექნიკის ხერხებს, თავისუფალ იმპროვიზაციას, სონორისტულ ფეფტებს, შემხვევითი როლია და საბოლოო ჯამში მოდალური და ჰარმონიული სისტემების „შეცვლების“ ახალი გაგების აუცილებლობაც მიუთითებს. ამ პრობლემაში საფუძველი ეწელება განსხვავებულ მუსიკალური აზროვნების სისტემების შეთავსების იმ გაგებას, რომელიც შემუშავდა საკომპოზიტორო ხელოვნების ნორმატიული ენის ფარგლებში და, რომელიც შემადგენელი ნაწილი იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული სტილისა. შეთავსების პრობლემის გადაწყვეტის ახალმა პერსპექტივამ კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს ის კეშმარტივება, რომელიც მოცემულია ლენინის მეთოდოლოგიურ დებულებაში და მიუთითებს, რომ ყველა ზღვარი ბუნებასა და საზოგადოებაში მოძრავი და პირობითია.

შენიშვნები:

- 1 იოლი წარმოსადგენია, რაოდენ რთულდება „აღმოსავლური კულტურების“ განმარტება ძალზე მერყევი კრიტერიუმებით კულტურო-ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული თუ სხვა პლანისა. მუსიკალური კულტურების თვალსაზრისით სამეცნიერო მხარეაშა იქნება ერთი, რამდენადაც ზღვრულ გამოთქმა — „არადასავლური მუსიკა“ („non western music“).
- 2 Н. Шахназарова, Зарождение и развитие симфонизма и музыкально - сценических жанров на основе освоения национально-художественных традиций республик Советского Востока. წიგნი — Музыкальные культуры народов, традиции и современность, М., 1973, стр. 179.
- 3 И. Земцовский, О системном исследовании фольклорных жанров в свете марксистско-ленинской методологии, წიგნი — Проблемы музыкальной науки, I. М., 1972, стр. 177.
- 4 М. Пряшников, Национальное и интернациональное в музыкальной культуре некоторых народов Советского Востока, წიგნი — Вопросы теории и эстетики музыки, вып. II, Л., 1972, стр. 15.
- 5 ამ საკითხზე სპეციალურად იხ. ი. ბაბტაძე, ეროვნული მუსიკალური კულტურის ტიპოლოგიის პრობლემა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ესეთიკურ ნაწარვეში. ეფრ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1977 წ., № 1.
- 6 ამ პრიაშნიკოვას დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.
- 7 იხ. А. სირაძე, ქართული ესეთიკური აზრის ისტორიდან, 1978 წ.
- 8 იხ. რ. სირაძის დასახელებული წიგნი.



«ოჯალო» თბილისის საოპერო თეატრის სპენაზე

მანანა ახმეტელი

იმ რამდენიმე თვემ, ვერდის „ოტელოს“ პრემიერის შემდეგ რომ გავიდა, მთელი სიცხადით გამოაჩინა ის თვისებები, რომლებმაც ამ დადგმას განსაკუთრებული როლი, პრინციპული მნიშვნელობა მიანიჭა და მკვეთრად გამოიჩინა იგი თბილისის საოპერო თეატრის ამჟამინდელი რეპერტუარიდან.

წინამდებარე წერილში შევეცდები გავხსნა და ჩამოვაყალიბო ამ თვისებათა წრე, გამოვაჩინო ის ძირითა-

დი მიზეზები, რომელთა გამო ეს სპექტაკლი საოპერო ხელოვნების სპეციფიკისადმი მაღალპროფესიული მიდგომის, საოპერო ტრადიციების შემოქმედებითი გააზრების თვალსაჩინო ნიმუშად წარმოგვიდგა.

როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო საოპერო თეატრის საყრდენების აღორძინებამ, ფუნქციების ნაღალ ძაბვაში გადართვამ, მთელი დატვირთვით ამუშავებამ, სწორ რიტმში მათმა ჩაგდება. აქ იხსნება ის საიდუმლო, რო-

მელმაჲ ჩვენს დასს ეს ურთულესი ფსიქოლოგიური დრამა — საოპერო ხელოვნების ეს უდიდესი მწვერვალი — წარმატებით დაძაღვენი და იგი მხატვრულად დაწვრთვნილი, შემოქმედებითი გზებითა და შემართებით წარმოასახენი. აქედან მოდის ის ძალაც, რომელმაც სპექტაკლის ყოველი კომპონენტის მაქსიმალური აქტიურობა და შემოქმედებითი დონის განუზრელი ამაღლება გამოაწივა.

საგულისხმოა ისიც, რომ თვისობრივი და ხარისხობრივი გარდაქმნები, თავი რომ იჩინეს და დადგმის ყველა სფეროში, უნდა უძაღვლიდნენ, უპირველესად, რეჟისურას, რომელიც საფუძველი ჩაუყარა ამ დადგმის სტილისტიკასა და ესთეტიკურ კონცეფციას, მის ეთიკურ პოზიციასა და ერთი აზრით შევსება, ერთი იდებით გამსწავლა როგორც სპექტაკლის თეატრალური და სცენოგრაფიული შთანაფიქრი, ისე მისი მუსიკალური გაზრება.

აქედან ჩანს გადაწყვეტი რთლი და დამახებრება დამიტრი ალექსიძისა, რომლის მრავალჯნის ნაცდამა შემოქმედებითმა მეთოდმა და პრინციპებმა, სათავეს რომ იღებენ რეალისტური თეატრალური აზროვნების წიაღში, სწორი მიმართულება მისცა როგორც დიორიკო გივი აზმაიფარაშვილისა და მხატვარ ფრანკო ლაბინჯილის მიზანსწრაფვას, ისე მთავარი როლების შემსრულებლებს, ჩვენს შესანიშნავ მომღერლებს — ზურაბ ანჯაფარიძეს, მედეა ამირანაშვილს, ელდარ გეგეძეს, ნოდარ ანდლელაშვილს, ცისან ტატიშვილს... სწორად წარმართული, სერიოზული და შეთანხმებული ურთიერთობის ფონზე მივლი სისუსით გაიხსნა სპექტაკლის დამდგმელს და მონაწილეთა შემოქმედებითი სახეები, მათი ინდივიდუალობა.

ამის გამო, მეც, პირველ რიგში, ყურადღებას შევაჩერებ სპექტაკლის რეჟისორულ გადაწყვეტაზე, დ. ალექსიძის შემოქმედებით პოზიციას, რომელიც მუსიკალური პარტიტურის თავისებურებების, მისი წარმოუდგენელი სირთულეების გათვალისწინების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ვინც იცნობს „ბერის თეატრის“ ჰიერეულ ბუნებას, ვისაც, თუნდაც ერთხელ ჩაუხვდავს ვერდის „ოტელოს“ მუსიკალური წიაღში, უთუოდ, დამეთანხმება, რომ ხელის შეწყობა და დახმარების აღმოჩენა უმძიმესი აკუსტიკური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური დატვირთვის პროცესში მყოფი მომღერლისთვის კომპაროისი კი არ არის რეჟისორის მხრიდან, არამედ გამოვლინება საოპერო თეატრის სპეციფიკის ცოდნისა. აქედან გამომდინარე, დ. ალექსიძემაც აირჩია კორექტული დამოკიდებულების გზა, რომელიც თვით მას უქიქურესად გაურთულა მდგომარეობა, ამოცანები, მუსიკალის პროცესი. მიუხედავად ამისა, მან მკაცრად დაიცვა საოპერო თეატრის ის მეტად თავისებური პრინციპი, რომელიც სპექტაკლების მუსიკალურ გამოსახველობას აძლიერებს თეატრალური საშუალებების სახეობის რეგლამენტირების საფუძველზე.

ამრიგად, დ. ალექსიძის რეჟისორული პარტიტურის საყრდენი რეგლამენტების დაცვა, მათი შემოქმედებითი გააზრება წარმოადგენს. ეს უკვე პოზიკია, ვინაიდან იგი წითლ ზოლად გასდევს შემოქმედებითი აზროვნების მთელ პროცესს და განსაზღვრავს ნაწარმოების განხრის გზას, სპექტაკლის სტრუქტურას, სტილისტიკას, ხა-

სათს. დ. ალექსიძის შემოქმედებითი ზღაწერა გავრცენს, რომ მან შეგნებულად უარყო დედალებს მუსიკის მოყოფის, გამახვილების, გათამაშების პრინციპებს, მისი ააშუალებას იძლევა ოპერის მუსიკალური ტექსტი, სადაც ყოველი ფრაზა თუ რეპლიკა, ცალკეული ინტონაცია და პაუზაც კი აზრისმიერია და ესთეტიკური ქვეტექსტების, მრავალნაირი განცდისა თუ შეგნების გამოხმატველი. ესოდნ მეტყველი დეტალების „აღაპარაკება“ თეატრალური ლექსის საშუალებებით, მათი თარგმნა პლასტიკის ენაზე, ისევე როგორც მათი გამოხატვა მეტაფორებითა თუ სიმბოლოებით ღიდ ცდუნების წარმოადგენს რეჟისორთათვის. დ. ალექსიძემ კი, მუსიკალური გამოხსახველობის საყთაილდეოდ, უარი თქვა ამ ცდუნებებზე — რეჟისორული ნახაზის გათულებასა და ვადატვირთვებზე, მან არც თვალისმომჭრელ ეფექტების გზა აირჩია.

აქედან გამომდინარე, სპექტაკლის სცენურმა ტექსტმა ადატორიული თარგმანის შთაბეჭდილება შექნა. ესეც ამ დადგმის სპეციფიკური თავისებურებაა, სანტრატის მხარეა, ვინაიდან აქ ადატაციის პრინციპი მიზნად ისახავს განზოგადებულ აზროვნების განვითარებას და ემსახურება დედნის, ამ შემთხვევაში მუსიკალური პარტიტურის, აზრობრივ მისაწვდომობას, ვარკვეულობას, სიცხადეს. ამ ამოცანებმა განაპირობეს რეჟისორული ნახაზის სისადავე და ლაკონიურობა, რომლებმაც თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარეს სპექტაკლის თვადგურულ სტილს. ადატაციის პრინციპმა წარმოშვა სიმეტრიული სტრუქტურები, პროპორციული თეატრალური ფორმები, მკვეთრი კონტურები, ფართო შტრიხები და მსხვილი პლანები, რომლებმაც დილაჩანოვება შესძინეს მიზანსცენებს და ამავე დროს მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შემოქმედებითი თავისუფლების ატმოსფეროს დამკვიდრებაშიც. ასეა წარმოადგინო საგუნდო სცენები, მინოსცენები და დილაჩანოვება, რომელთა განვითარების მიზნით დ. ალექსიძეს ჩართული აქვს მოქმედებაში სცენური სიბრტყის მრავალი წერტილი, ესა თუ ის პლანი და კუთხე, რაც რეჟისორული ნახაზის მიმიდურობასაც წარმოქმნის.

ასე ჩამოყალიბდა ამ დადგმის ორი უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე — თვადგურლობა და შემოქმედებითი თავისუფლება, რომელთა ურთიერთქმედებამ განსაზღვრა სპექტაკლის სახე და ხასიათი, საგრძნობლად გააფართოვა მისი თვისებების არე.

ასე მაგალითად — თვადგურლობამ დაიცვა მომღერალთა მახაობრული ქცევები იმპულსურობის, მრავალსტიკაობის, ნერვოზულობისაგან, რისი საშემოგებელიც დეის ამ ოპერის მუსიკალურ წიაღში, მის დაუცხრომელ ექსპრესიაში, მძაფრ კონტრასტებსა და მოულოდნელ თეატრალიკურ გარდატეხებში. აქედან გამომდინარე თვადგურლობას დაეწაა შემოქმედებითი ენერჯის რეგულირების ფუნქცია, რითაც მან დაღებით გავლენა მოახდინა სპექტაკლის ემოციურ მხარეზე, რეალისტური ელვარობის განმტკიცებაზე. ამასი მაშინ დაერწმუნდებით, როცა გამოვიჩინებთ თვადგურლობის მომენტს, ურთომლოსდაც ადვილად გავხსნებოდათ გზა ისეთ არასასურველ გადახრებს, როგორიცაა პათეტიკა, ნატურალიზმი, მელოდრამული აფექტაცია. ამის საფრთხეც



დადარაჯებულ იყო ყოველ ფეხის ნაბიჯზე. თავდაპირველია რომ არა, ეს გადახრები გადაიქცეოდნენ ყალბა წმფეთვარების, პროინციალიზმის სათავედ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველია, ორეული-ეთი რომ დაპყვება დ. ალექსიძის ემოციურ ხელწერას, კი არ შეზღუდა სპექტაკლის დინამიკა, არტიზტიზმი, ტემპერამენტი, არამედ მიანიჭა მათ მეტი წონაობა, სერიოზულობა, სიღრმავალი, რაც კივე დამახასიათებელია სპექტაკლის სტილისთვის. აქედან აქ სთავებ იღებენ ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორც გაზღაფთ მონუმენტურობა, სოლიდურობა, კულტურა...

ასევე მნიშვნელოვან როლს და ფუნქციას ასრულებს დღევანდელი შემოქმედებითი თავისუფლების ატმოსფერო, რომელიც ფართო გასაქანს აძლევს ესთეტიკური კონცეფციის განვითარებას, ხელს უწყობს მხატვრული სახეების პოეტრიზაციას და დრამატიზაციას, ნიადაგს უქმნის იმ ზეაწეულ რომანტიკულ განწყობილებას, რომელიც ახლავს ამ სპექტაკლის ყოველ კომპონენტს.

ამრიგად, თავდაპირველია შემოქმედებითი თავისუფლებისაქენ — ასეთია დ. ალექსიძის ფერა, რომელიც, ერთი მხრივ, აყალიბებს სპექტაკლის გეგმას, მის სტილურსა და ენობრივ პარამეტრებს, ხოლო, მეორეს მხრივ, საოპერო დასს, მთავარი როლების შემსრულებლებს გზას უყავს არტიზტიული გარდასახვისაკენ, დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნების, თვითგამოხატვისაკენ. აქედან კი შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა — დ. ალექსიძემ საფუძვლიანად გააზრებულა და დაკონკრეტებულ რეჟისურულ პარტიკულს თან დაუერთო ერთგვარი პერსპექტიული გეგმაც, რომლის გაღრმავება, გაძლიერება, გამრავალფეროვნება დამოკიდებულია შემსრულებელთა შემოქმედებით დონესა და გაქანებაზე, მათ ინიციატივასა და ურდულებსაც. ცხადია, სპექტაკლის ასეთნაირი დაგეგმარება, რომლის რეალიზაცია სპეციფიკური პროფესიული ტექნიკის ფლობას მოითხოვს, ხელს უწყობს მსახიობთა შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლენას, ურდუებს მათ თავიანთი როლებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უფლებას. ამასივე ადვილად დარწმუნდებით, თუკი ერთმანეთს შევადარებთ ორგოლსა და დეზდემონას როლებსის შემსრულებლებს — ნ. ანკაფარაძისა და ნ. ანდულაძის, მ. ამირანაშვილისა და ც. ტატიშვილს, რომელთა ინტერპრეტაციები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთსთან, მიუხედავად იმისა, რომ საოპერო სტილის ეს გამოჩენილი ოსტატები მკაცრად იცავენ რეჟისორული პარტიკურის ფსიქოლოგიურსა თუ ემოციურ საყრდენებს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მეტყველებს რეჟისორული გააზრების სიფართოვეზე, ტევადაზზე, პერსპექტიულობაზე. ამას გვიმოწმებს სპექტაკლის ხანმოკლე, მაგრამ უკაც ძლიან სინტერესო ბიოგრაფია, რომელიც დაგვახსენებს, რომ ყოველი მომღერელი წარმოდგენა წინამორბედზე გაცილებით უფრო მთლიანი და შეკრულია, უფრო ცოცხალი, კონცენტრირებული, მეტყველია—წინადადებულ ნაბიჯთა პერსპექტივების რეალიზების გზაზე. ამ წინსვლას აპირბობებს შემოქმედებითი თავისუფლების ატმოსფერო, რომელსაც თანდათან ეჩვევა დასა და რომელსაც გვერდში მომხერლები სულ უფრო ინტენსი-

ურად იყენებენ თავიანთი პოტენციისა და ოსტატობის გამოსავლიანებად, სპექტაკლის მუსიკალური კონსტრუქციის რაღურად გამომსახველობის გასაძლიერებლად, ვიკა-ლურ-სეკუნდის საშუალებების სინთეზის გაღრმავების მიზნითაც.

ლები, ვოკალური ფორმებისათვის შექმნილი დრამატუროვანი საორკესტრო ინტერლუდები და პოსტსკრინები, რომლებსაც ორკესტრი ემოციური სახიფათოებით ასრულებს, არამედ ვოკალურ პარტიებთან კონტრაპუნქტულად შეპირისპირებული საორკესტრო პლანებიც. ცხადია, ეს მიღწევები განმტკიცებასა და სტაბილიზებას საჭიროებენ, რათა არ დაირღვას თანდათან დამყარებული წესრიგი და ის შინაგანი წონასწორობა, ურომლოსოდაც გასაქანი მიეცემათ იმ მოულოდნელ კურობებსა და აკუსტიკურ რეციდივებს, რისგანაც ჩვენი ორკესტრი დასლევული არ არის.

რა თქმა უნდა, ვერძის „ოტელის“ საორკესტრო პარტიტურაში ჯერ კიდევ მრავალი საიდუმლოა ამოსახსნელი. ამათგან უმთავრესია ტემბრალური დრამატურგიის უფრო საფუძვლიანი გაშიშვრა და გამრავალფეროვნება. ეს ეხება როგორც ცალკეული ინსტრუმენტების სოლიოებს, რომლებსაც ვერძი ფართოდ იყენებს მოქმედი პირების დახასიათებისა თუ ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამაფრების მიზნით, ასევე იმ მრავალნაირ ტემბრულ კომბინაციებსაც, რომლებიც ემსახურებიან ემოციური გამომსახველობის გაძლიერების ამოცანებს...

და ბოლოს, დიდი მოფრთხილება სჭირდება მთელ სპექტაკლს, რომელმაც ჩავესიხა მომავლი წარმატებების მიმდ...

სენა სპექტაკლიდან





ნოდარ ნათაძე

მართომამდებინან პეისა „უბედურებას“ ქართული დრამატურგიის დიდი კლასიკოსის დაფით კლდიაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კრიტიკული ყოფითი რეალიზმის ფონზე, რომელიც მებრწყლებად განსაზღვრავს კლდიაშვილის შემო-

ქმედების საერთო ხასიათს, „კულტურტრეგერული“ (ამ სიტყვის ფართო აზრით) და სოციალურ-მამხილებლური თემატიკის ფონზე, რომელიც კლდიაშვილის შემოქმედებაში (ისევე, როგორც თითქმის ყველა მისი თანამედროვისაში) ძალიან ძლიერია, აქ თავის სიტყვას ამბობს სხვა, — ასე ვთქვათ, ისტორიული დროის გარეთ მდგომი საწყისიც, რომლისთვისაც პეისის კონკრეტული მასალა რეალიზაციის მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო ფორმას წარმოადგენს და არა ერთადერთს. „უბედურება“, სოციალურ კრიტიციზმთან ერთად, ფილოსოფიური შინაარსის მქონე პიესაცაა, ტრაგედიის დო-

„უბედურება“. მხატვრული ფილმი დ. კლდიაშვილის პეისის მიხედვით. სცენარის ავტორი გელა კანდელაკი, ანზორ სალუქვაძის მონაწილეობით, დამდგმელი-რეჟისორი გელა კანდელაკი, ოპერატორი — ჟ. ჭრისტესაშვილი, მხატვარი — ზ. მელვიხეთუხუცესი, კომპოზიტორი — თ. ბაყრაძე. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები, 1979.

ნეზე აყვანილი. მკითხველს მოკლედ შევასხენებთ ამ ნაწარმოების სოფეტურსა და აზრობრივ სქემას.

ოჯახის მარჩენალი ანტონა (მოქმედება, რა თქმა უნდა, იმერეთის სოფელში ხდება) თავიღლის პირზეა, ცოლს ტუფისა გადაუწყვეტია, თავისი უბედურება სხვას „გადაულოცოს“. ბუნებრივია, რომ მეზობლებში, რამდენიმე წუთის წინ რომ ამ გაჭირვებულ კერას საპარადისო ერთუღლებას ეფიცებოდნენ, კეტების ტრიალი ატყდობს, რადგან ყველა ცილობას, თაკის თავისი უბნისკენ არ გადაალოცვის. ეს სოციალური თემა — ერთის მხრივ ზოფლის ეკონომიური სიდუხჭირისა და მეორე მხრივ მასში გამეფებული სიზნეცრუმორწმუნეობისა და გაუნათლებლობის — დრამატურგისათვის წამყვანი თემა და ამიტომაცაა, რომ მის დამუშავებას დაეით კლდიაშვილი მიუღს თავის ოსტატობას და მამხილებელი კრიტიკული რეალიზმის ხელთ არსებული გამომხატველი საშუალებების მიუღს არსენალს აქ მარს. მაგრამ მაინც, როგორც ვთქვით, ეს თემა აქ ერთ-ერთია და არა ერთადერთი. ცრუმორწმუნეობა კლდიაშვილისთვის მხოლოდ ცრუმონარევი მსარეაზმის, სიძულელილისა და მამხილებელი პათოსის საგანი როდია, თუმცა ორი შედარებით განათლებული კაცი, რომელიც პიესაში სწავლის შუქსა და გონების ძალას ასახიერებს (ფილში — ი. ერემეიშვილი და ვ. ქართველიშვილი), წამადუწმუ უძახის კეტებით შეიარაღებულ ხალხს „რას სჩადიხართ“ და „გონის მოდიითა“. ცრუმორწმუნეობა, ამასთან ერთად, ჩვეულებრივი ფონია „უბედურების“ პერსონაჟთა ცხოვრებისა, ისევე როგორც, ვთქვათ, თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ფონია მეცნიერულად ორიენტირებულ მსოფლმხედველობა და ტექნიკური პროგრესის პატივისცემა. თუ პიესის ტრაგიზმი ერთის მხრივ იმაშია, რომ დატაკი და ცრუმორწმუნეობის წყვილადი მსხდომი ადამიანებ „გადალოცავენ“ უკეთეს საშუალებას ვერ ნახულობენ თავიანთი უბედურების სამკურნალოდ, მეორე მხრივ იგი იმაშია, რომ ცხოვრებისგან გამწარებულები, ისინი ამ საშუალებას მიმართავენ, რათა თავისი გაუძლევი ტვირთი სხვას გადაჰკიდონ. ვინ ღებულობს, სახელობდრ, ამ გადაწყვეტილებას, ესეც პიესაში შემხივვეითი არ ვახლავთ: მას ღებულობს უბედურების ყველაზე გამწარებელი და სულიერიად შერყეული თანამონაწილე — ანტონის ცოლი ტუფია (ფილში — თ. სისაური), რომლის ყველაზე მკვეთრი მახასიათებელი შტრიხიც — სასოწარკვეთილება, სხვა ყველა გმირისაგან განსხვავებით რომ იმთავითვე აწყველინებს თავის ბედსა და დებადების საათს — საბედისწეროდ მიგვანიშნებს პიესის ექსპოზიციონადე მისი მოქმედების ამ შემდგომ განვითარებას. პიესის გმირთა შორის ტუფია ის ადამიანია, ვისშიც ყველაზე უსტაბილ აუხსნადი მყარი ხერხემალი, კაცსა და დედაკაცს რომ ჭერში არგატების უნარს ანიჭებს. ბუნებრივია, რომ ადამიანური მხნეობისა და ზნეობის ის ფონტი, რომელიც ჰუმანისტი მწერლისათვის ყველაზე საინტერესო ღირებულებას წარმოადგენს, ყვე-

ლაზე უსტაბილ უბანზე — ტუფიაში ირღვევა და ამას, ამდენადვე ბუნებრივად, მოსდევს ზნეობრივი ვებირების მორღების ვაჭვერი რეაქცია სხვებშიც, რაც ადამიანში მთელმკარე მცენის გამოღვიძებით და უკონტროლო ვენებათაუღლის ბოპოქობით მთავრდება.

ამგვარად, თავისი პიესის დრამატულ ფინალადე კლდიაშვილი, ასე ვთქვათ, ორი ვითი დას — კონკრეტულსოციალურსა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, და ამ მეორეთი, განზოგადებულ-ადამიანურთი. ამ მეორე მიდგომისას, რაღა თქმა უნდა, კლდიაშვილის კონცეფციამი აღვლილ აღარ უჩრება არც მამხილებელ პათოსს, არც სიძულელის. ამ ხაზით პიესა ტრაგედიაა, რომელიც ადამიანის ბუნების სისუსტეს, მისთვის თავისა და სხვისი ინტერესის, საარსებო აუცილებლობისა და თავდაუზოგავი სიკეთის შეუთავსებლობას ხატავს.

ამ მეორე ხაზის როლზე პიესის ჩანაფიქრი ნათელ წარმოდგენას იძლევა ის ვარემოება, რომ პერსონაჟთა განმსახვებელ ნიშნს ანუ ხასიათთა შემქმნელ ნიშნს აქ მათი ფიზიკური, ვანერბრივი, ტემპერამენტისმიერი, სოციალური და ა. შ. ინდივიდუალური განსხვავებები კი არ შეადგენენ (ამ მხრივ პიესაში მხოლოდ ორი „განათლებული“ — ილია და ნიკო გამოიყოფიან), არამედ მათი განსხვავებული დამოკიდებულება ამ ტრაგედიალი კონფლიქტისადმი — სასოებისა თუ უსასოების, ეგვიზმისა თუ სიკეთის, რწმენისა თუ ურწმუნეობის იმ დონის სხვადასხვაობას; რომელიც მათ გულში ბუდობს, ღვიძისსავე მიაღდან (ანტონის მოხუცი დედა) დაწყებული და ტუფიათი ან სკეპტიკოსი განათლებულით, ილიათი დამთავრებულით.

ფილმის ავტორებმა კლდიაშვილის პიესის ეს აზრობრივი და ფსიქოლოგიური სქემა თითქმის სრულად შეინარჩუნეს. „თითქმისო“, იმიტომ ვამბობთ, რომ კლდიაშვილთან შემცრება-ცრუმორწმუნეობის მხილებას დიდი ემოციური მუხტი აქვს, რასაც მაყურებელი ვეღარ აწყვება დღეს, როცა მხილების საგანი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. (ბუნებრივია, რომ კინემატოგრაფისტებმა ეს განმანათლებლური პათოსი იოლად დათმეს, ასე რომ, მათი პერსონაჟების საყვარელი სერიოზული კამათი იმაზე, თუ საით წახვებს წაბრძანება სუსს — აღმა იმიტომ, რომ აქვემოდან ამოყოლილა“, თუ, პირიქით, დღამა, იმიტომ, რომ თავქვე წასვლა ნაკლებ გაუჭირდება — სიზნელის სიძულელით კი არ სუნთქვს, არამედ ღლიბიერი და ნალღობი ირონიით ადამიანთა ადამიანური შეზღუდულობის მიმართ). მაგრამ, ამასთანავე, ფილმის ავტორებმა თითო ლიტერატურული მასალა ვართულებს და ვაფართოვეს იმდენად, რომ ამან მხოლოდ აქცენტთა ვადადვილება კი არ გამოიწვია, არამედ, შეიძლება ითქვას, კლდიაშვილის პიესის საფუძველზე ახალი ნაწარმოები შექმნა, რომელიც კლდიაშვილისას კი არ კვეთს აზრობრივად და მხატვრულად, არამედ აგრძელებს თანამედროვე ხელოვნებისათვის ყველაზე საინტერესო მიმართულებით. ფილმის ავტორები პიესაში არაფერს ცვლიან. მაგრამ საყუთარ

ლიტერატურულ, სიუჟეტურ შემოქმედებას იქ იწყებენ, სადაც კლიდაშვილმა წერტილი დასვა.

თუ პიესის თემას ადამიანის არსებობის ერთ-ერთი მარადიული კონფლიქტი შეადგენს (და ამ აზრითა იგი ტრაგედია), ფილმის თემას შეადგენს არა თვით ეს ტრაგედია, არამედ მხოლოდ ადამიანის პასუხი ამ მარადსა და გარდუვალ ტრაგედიაზე. მისი დამოკიდებულება ამ ტრაგედიისადმი. მოიპოვება კი კლიდაშვილის მიერ დახატულ იმ ტრაგიკულ საწყისში, სადაც კეთილ ადამიანს, თურმე, კეთილს ქნაჯი კი არ ძალუძს ბოლომდე ისე, რომ თავისივე დიდი ინტერესები და ეგოიზმი გადაუღებავ ზღუდედ არ გადაეღობოს, ნათოს ნაპირწყალი, რომელსაც ადამიანი ვაჟყვება და რომელიც მას არასდროს არ უღალატებს? არსებობს კი ადამიანთათვის ხსნა, რომელიც მას კლიდაშვილის მიერ ასე თვალსაჩინოდ დახატულ ადამიანურ სისულტზე, სასოწარკვეთაზე და ამ სასოწარკვეთისაგან გამოწვეულ ნაიძულზე ეგოიზმზე ამაღლებს? არსებობს რაიმე საყრდენი იმისთვის, რაც ვეღობის და რაც ჩვენი ყველაზე ადამიანურია? — აი კითხვები, რომელთა პასუხაც ფილმის ავტორები პირველი კადრიდან უკანსკელამდე ეძებენ. ფილმის ეს თავისებური შინაარსობრივი სტრუქტურა მისი ყველაზე თვალსაჩინო თანრობრივი მახასიათებლის საფუძველიც — სახელობრი, იმისა, რომ პირველი ნახვისას ფილმი ნაკლებ დინამიურად განიცდება, ვიდრე მეორისა და მესამისას, რადგან პირველად მკითხველის ინტერესი სიუჟეტის მისდევს (რომელიც ფილმში, თუკი სიუჟეტში მხოლოდ გარეგანი ხდომილებები ვიგულისხმებთ, არც თუ სწრაფად ვითარდება), მეორე და მესამე ნახვისას კი — უფრო და უფრო დინამიურად, რადგან აქ ამავე კი აღარ ვაფიქსირებთ თვალს, არამედ პირობების ლოკაცას.

ესაღია, რომ თუ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების დადებითი პასუხი გვინდა, იგი სადაც ვერცა ვიღებთ ადამიანურ სინამდვილეში, ადამიანის ბუნებაში უნდა დავიხილოთ. და მართლაც, ანტონანს ხუნჯვარადაცქეული სახლის ეზოში დაბრძოლობს ორად მოკეცილი ჩინა დედაბერი, ანტონანს დედა (მაია). შემსრულებელი ი. ხელიძე), რომელიც ბუტბუტითა და გაურკვეველი დიქციით შეუსვენებელი ლოკაცს გამველ-შემომვლელს, სიყვარულსა და ზრუნვას აფრქვევს სიფლის გიგის — ნიკოლოზს თავზე, ფეგრება თავისიანსა და უცხის და უკლებლივ ყველას იძიებსა: „მომთმობისკენ“ მოუწოდებს. ეს არის ადამიანი, რომელიც შინაგანი სინაღლის ჩაუქრობელი სხივი დღეის და სასოება არ ჰქალატობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბედს სთვს, უფრო ხელშესახები იარაღი არ მისაც ვაჭირებბასთან საბრძოლველად, არამედ იმიტომ, რომ ეს შინაგანი სინაღლი მისთვის საცემები ხელშესახები, კონკრეტული რეალობაა. თავისი რეალობის ეს ქალი მასში განსახიერებელი სიკეთისა და სასოების რეალობას ამტკიცებს.

ეს პერსონაჟი პიესაშიც არის, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, მაგრამ ფილმში მისი უფქვითი უფუნქციოდ გახრდილია, იგი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა კი აღარაა აქ, არამედ ყველაზე მთავარი და, თავისებური აზრით, ერთადერთიც. მისი როლის განსხვავებ-

ბა პიესაში ერთის მხრივ და ფილმში მეორეს მხრივ შევეცილია მოკლედ ასეთი დეტალით დავეყვანოთ: თუ ამ კეთილი დედაბრის მსოფლმხედველობის ფორმულაში (მის, ასე ვთქვათ, „წრწენის სიმბოლოში“) — „იმედით ვართ ყველა, შენი ჰირომი, იმედით, თვარა რა გავაძლებინებდა! — კლიდაშვილი მახვილს ბოლო სიტყვებზე სვამს („რა გავაძლებინებდა“), ფილმის ავტორების თვალსაჩინოთი იგი პირველ სიტყვებზე („იმედით ვართ“) მოდის. მათა მართლაც არც ის ამ იმედითა, სიკეთითა და ყოვლისმომცველი ნათელი თანაგრძობით ადამიანებისადმი. ხოლო რაკილა ეს ერთხელ დავინახეთ, ფილმის ბოლომდე აღარ გვმორიდება დაძაბული მოლოდინი, დღეცა და ინტერესი, თუ რა ბედი ეწვევა მის ამ ნათელს ან რა ბედს უშვანდებენ მას ფილმის ავტორები. ხომ არ დინგრევა ხუხუდასავით ეს სათათადე შეკონსერვული დედაბერი მსოფლმეგრინება უღმობედლ სინამდვილესთან შეჯახებისას? ხომ არ დიფუზება იგი ცხოვრების უფრო ღრმა შრეებისა შეტაკებაში, ვიდრე ყოველდღიური ნივთიერი გაჭირვება (დედაბრისთვის კარვად ნაყთოსი) ისე, რომ ჩვენგან ერთი ირონიული ჩაღმიდების მეტს ვერაფერს წაიყოლებს? თუ, პირაქით, იგი ხუხულა კი არაა, არამედ ისეთი მყარი ადამიანური საწყისია, რომლის დანგრევაც ქვეყანად არავითარ უბედურებას არ ძალუძს? როგორც უკვე ვთქვით, მკითხველის ინტერესი ფილმის მანძილზე სწორედ ამ კითხვას მისდევს. მისდევს იმის მეტ-ნაკლებად ნათელი განცდით, რომ აქ საქმე ამ ერთი დედაბრის ბედს კი არ ეხება, არამედ, არსებითად, ადამიანის ერთი უღრმესი და უმაღლესი საწყისის ბედს, რომლის მტკრთველობის დროშიც ამ წუთში მაყურებლის თვალწინ ეს დედაბერია.

„მიშველეთ, მიშველეთ, განათლებულბო!“ — ასეთია ამ პერსონაჟის უკანასკნელი რეპლიკა კლიდაშვილის პიესაში, როდესაც აბოხოქრებული მეზობლები ერთმანეთს კეტებენ დაერვიანა. რა თქმა უნდა, ეს შეძახილეს უღანბნომი მლადედაბლის ხმად რჩება, რადგან არც იმ ორ განაღებულს, ვისაც მათა მიმართავს, არც განათლებულს საერთოდ, არ ძალუძთ გამძინვარებულ ადამიანთა დაოკება, როცა საქმე მათს საარსებო ინტერესებს ეხება. ფილმის ავტორებს საქმე სხვაგვარად მიჰყავთ. მათა კი ცილობს, რა თქმა უნდა, ყველა ძალით მეზობელთა დამომშინებას, მაგრამ არც განათლებულთა, არც განათლებულთა დახმარებას მას, არსებობდა, არ სჭირდება, რადგან ის ნათელი, რომელიც გულში უღვივის, თვითაა სუფრენული, შეუშუქრელი ძალა, რომელიც იმისაკენ არათუ დამოუკიდებლად ცოცხლობს, სდევს თუ არა თან განათლებულ, ფიზიკური ძალა ან შედეგის მიღწევას კონკრეტული პერსპექტივა. ფილმის ტუნქი, ლაკონიური და დრამატულად ფემქტური თინალი ისაა, რომ მეზობელთა ჩხუბით დაღწეულ-გაპარტახებულ ეზოში, ნახევრადდაცქეული სახლის წინ, რომელშიც არ ვიცით, მკვდარი ასეენია უკვე თუ სულ-თომბობაი კაცია წევს, კვლავ ორად მოკაცულ დედაბერი დაბრძოლობს, ჩხუბის მეორე დღესაც კვლავ უბოროტოდ წყევლობს თხებს და კვლავ ლოკვა-კურთხევის შადრევანს აფრქვევს თავზე მწყემს გოგონაბუს. ამგვარად, ამ კეთილი საწყისისა და სასოების ბედი, რომე-

ლიც მაიაში ცოცხლობს, გარკვეულია და ფილმის „კვანძის გახსნა“ (თუკი დასაშვებია აქ ეს ტერმინი ვიხმაროთ), სწორედ ეს ვახლავთ, შემკარბონი, „ნათელი იგი ხნელსა შინა ჩანს“, რადგან იგი ადამიანში უფრო ძლიერია, ვიდრე ყოველი კონკრეტული განსაცდელი, „და ხნელი იგი მას ვერა ეწია“.

ზედმეტა, რა თქმა უნდა, სიტყვის ჩამოგდება იმაზე, თუ რა სარისკოა რეჟისორისათვის ფილმის ძირითადი თემის ასეთი გადაწყვეტა და რა დანისპირზე სიარული უხდება მას, რათა ეთიკისგან დაეკლიოს სიმბოლიკაში არ გადამტრას და მყოფრების უშუალო განცდილსავე გზა არ დაკარგოს. მაგრამ ხანჯასმით უნდა აღინშნოს, რომ თემის ეს გადაწყვეტა ფილმში არც გროტესკია, (თუ შეიძლება ეს სიტყვა გამოვყოთ ეთიკური თემის მიმართ), არც სიმბოლო და არც ალიგორია. გროტესკული ობტინიზმი ეკრანზე არაერთხელ გვიჩანავს და მოვეწონებოდა, მაგრამ მხოლოდ გროტესკული სავე ენარის ფილმში.

თამაშ გროტესკად შეგვიძლია გავიგოთ (თუკი ამის სურვილი გვაქვს) „უბედურების“ ის ეპიზოდები, სადაც იმავე დღის ნაშუადღევს, დღითი რომ ბავშვები გიყნოკობისას წინამძღოლობითა და „ულზარეს“ გალობით წვიმას ითხოვდნენ, სოფელს ღრუბელი ეფარება (თუმცა წვიმა აღარ მოდის). მაგრამ ფილმის ფინალი, რომელზედაც ვლაპარაკობთ, პრინციპულად სხვა რიგისაა. იგი იმიტომ კი არაა ნათელი, რომ ავტორებს ასე სურთ, არამედ იმიტომ, რომ მყოფრებელმა უკვე დაინახა თვითონ ამ ნათელი საწყისის ნამდვილობა ადამიანის ბუნებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბუნების სიმბოლოა და შექ-ჩრდილიანობა ფილმის ავტორებმა მხოლოდ სრული პირუთენელობითა და რეალიზმით აჩვენეს.

საკითხავია: დანახა კი? ხოლო თუ დინახა, როგორ დინახა? პირველ კითხვას უყვამანოდ დაღებული პასუხი უნდა გავცეს (და ფილმის გამარჯვების საფუძველია საფუძველიც ესაა), მეორეს პასუხი კი არც ისე ადვილია, რადგან იგი თავის შხრეი ახალ კითხვებს ბაღებს, დინახა, რა თქმა უნდა, მაის პიროვნებაში, რომელიც დამაჯერებელია, ხოლო დამაჯერებელი იგი იმიტომ, რომ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი სრულია ანუ იმდენად უხეი და ცხოვრებისეული დეტალების შემცველი, რომ მათ მიხედვით ძალგენი ერთი ადამიანის შინაგანი ცხოვრების მთლიანი სურათის აღდგენა. მაგრამ კვლავ საკითხავია: როგორაა, რომ ამ უსომოდ კეთილი პერსონაჟის შინაგან ცხოვრებას რეალობას მივაწეროთ, მას სინამდვილის შესაძლებელ ნაწილად ვთვალოთ, თუკი სინამდვილეში მსგავსი პიროვნება არ გვიჩანავს და ჩვენი გამოცდილება, — რომლის გარეშეც პერსონაჟის სახის აღდგენა მისი ცალკეული შტრიხების მიხედვით, როგორც ცნობილია, არ უნდება, ჩვენს წარმოსახვას სათანადო მასალას ვერ აწვდის? უფრო სწავად რომ შევთქვათ: რა ანსუებს ამ უსარსულოდ იდეალიზებულ პერსონაჟს რეალობას? ამ საკითხზე, ალბათ, მხოლოდ მარჩიელობა თუ შეიძლება, მაგრამ მინც ვცადოთ პასუხის მონახვა.

კლდაშულისათვის ამ პერსონაჟის რეალობას, ალბათ, სხვათან ერთად, მისი პროტოტის ან პროტოტი-

პების რეალობა ქმნიდა, რომლებიც თავისი ცხოვრების გზაზე, შესაძლოა, არც ისე ცოტა შეხვედრილიყვნენ მის, უდავოდ, მას დღიად უწყობს ხელს ინდივიდუალური დეტალების, და შორის მაის ადამიანურ სისუსტეთა გამომატველი დეტალების სიუხვე, რაც, როგორც ცნობილია, პერსონაჟის სახის სიკოცხლის და, აქედან გამომდინარე, ავრეთვე დამაჯერებლობის შექმნის უნებარი საშუალებაა. (ასეთი დეტალებია, მაგალითად, რომ თხებს წყევლის, რომ ანტონას შემოყვანისას „ფუქდება“ და მოცელოლოით ვარდება საყაცის წინ, თითქოს ითხოვდეს, ზედ გადაუაროს, და მრავალი სხვა). უდიდესი როლი ეკუთვნის, ცხადია, შემსრულებლის მიმდარ მიმიკასა და ექსტრეულაციას. მაგრამ ამ სახის წარმატების მთავარი პირობა მინც სხვა არის: მაის ფსიქოლოგიური პორტრეტი სწორია, იგი სწორად, მართლად ასახავს ჩვენი ბუნების რაღაც ისეთ ღრმა შრეს, რომელსაც თვითვე ვხედავთ ნათლად, გარეთევენ ვახედვის გარეშე, თუ, როგორც იტყვიან, ჩვენს სულში საკმარისად ჩაიხრედე. ეს ძირითადი პირობა არაა, არც მიმიკას, არც ექსტეს და არც დეტალს მყოფრებისთვის ინფორმაციული ძალა აღარ ექნებოდა. არ იარსებებდა სიმართლის ის ძაღი, რომელზედაც მყოფრებელი თავისი უშუალო შინაბეჭდილებებისა და მეხსიერებაში შენახულის აკინძვას შეძლებდა.

მინც, სამართლიანობა მოითხოვს, საქმის შედარებით „ტექნიკურ“ მხარესაც მისი წილი მივუხლოთ. სახის შექმნის ძირითადი სიმძიმე ფილმში შემსრულებელზე (ნ. ხელიძე) მოდის. მისი თამაში უნაკლოა. კუჭტი სახის მიმიკა მდიდარია, ბუნებრივი, მეტყველი. დუღდ-ვგრომელი და მოფუფუსუც, იგი მხოლოდ იმისთვის მოსწყვეტს ხოლომდ საქმეს თავის გამხდარსა და დახეილ ხელებს, რომ ზეალაყროს და გამველეს გულითადი დალოცვა გაყოლოს. ხოლო გამოხედვაში ის ღრმა, სულს სიკრმიდან მომდინარე შექი უდგას, რომლის სომულაციაც არავის ძალგენს. ცხადია, ამას ემატება რეჟისორის მუშაობა, რომელიც იმდენად სრულყოფილია, რომ არ ჩანს, და ოპერატორის მუშაობა, რომელიც იმდენად სრულყოფილია, რომ ყოველ კადრში თვალნათლი ჩანს. არაპროფესონალის ასეთი სრულყოფილი თამაში საოკრებაა. ოღონდ სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ მის როლს ისეთი მყარი და საიმელო სცენარული ჩარჩო აქვს შექმნილი, რომელიც, თითქოს, თვით კარნახობს მსახიობს, იგი რა მასალით შეავსოს.

აი, სქემატურად, ფილმის ძირითადი ჩანაწერი, რომელიც მაის სახეში ხორციელდება. მაგრამ მაის სახეც და მასში განსახიერებელი სასიუხვე რეალურ სამყაროს ფონზე იკვეთება, რომლის დახატვაც — ფილმის გართულებული შინაარსობრივი სქემიდან გამომდინარე, — ავრეთვე სიუჟეტის გაფართოებასა და დეტალიზაციას მოითხოვს პიესათან შედარებით. ამიტომ, როგორც ვთქვით, ფილმის ავტორები აქტიურად ერევიან პიესის მასალაში, მას ახალი ეპიზოდები, პერსონაჟები და ტექსტით ავსებენ. დავასახელებთ რამდენიმე ასეთ ეპიზოდს და მათს წვლილს ფილმის მხატვრულ სტრუქტურაში.



პიესაში ანტონას მეზობლების ფსიქოლოგიური დახასიათება უღრესად მკვეთრია, მაგრამ, არსებითად, კოლექტიური ი. ა. მეტს პიესის მხატვრული ამოცანა არ მოითხოვს. ისინი „სოფელი“, ჯგუფი არიან ამ სიტყვის სრული აზრით, რომლის განწყობილებასა და მოქმედებასაც სწორედ ჯგუფის ფსიქოლოგიის კანონები მართავს. ამიტომ, მაგალითად, პავლია რომ უძახის დამპყრობინებელ განათლებულს (ილიას), რომელიც აქამდე დიდის მოწონებით ულამაზებოდა, „ხელახლა მიგამტკრევ მაგ დამტკრეულ ფეხებსო“, ეს მხოლოდ მის სულისკვეთებას კი არ გამოხატავს, არამედ მთელი ორად გაყოფილი და აბოზორტებული სოფლისას. ფილმის ავტორთა ინტერესი სოფლისადმი სხვა რიგისაა. მათი სოფელი საზოგადოება მინიატურაში, რომელშიც საზოგადოების ყველა უმთავრესი შექანბნი გაპარტიკულებული, მაგრამ ხელშესახები ფორმით მოქმედებს და ასეთივე ხელშესახები ფორმით საზოგადოებაში მონაწილე ადამიანთა ყველა ძირითადი როლები ჩანს. აქ გხვდავთ „ბუნებრივ“ ლიდერებს (ორივე პავლია. შემსრულებლები — ბ. სეტურიანი და გ. ნაცვლიშვილი) და მათ ამაყლ მასას, პატრიცისტმა-პრესტიჟის რთულ იგრარქიას, თავაზის განმტკბულ რიტუალს და სოციალური ამპარტანება-თავმოყვარობის კულტას კი, რომელიც მეტრისა და მოყვარესთან შერცხვენის პანიკურ შიშში ვლინდება, ფილმშიც საფულელებს (რეკე, როგორც პიესაში) სოციალურ მოვალეობათა მახვილი გრძნობა აქვთ. ერთი სიტყვით, გულუხვის მასა ფილმში ბრბო არ არის და ავტორებს ეს გარემოება საესპეტიტ ცნობიერად, მიზანდასახულად აქვთ ხაზგასმული და წამოყენული. ეს უღრესად მოწესრიგებული, უფროს-უცხოისობის მიკლდე, სიტყვისა და ექსტისი აწინა-დაწინი, პრესტიჟულ და მტერ-მოყვარესთან გამოჩინაზე გადაკეპული საზოგადოებაა. კიდევ უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ლატკას და გაუნაზღაურებლ ადამიანებში დიდი კულტურა მქვს — ის ღრმა, შინაგანი, სისხლში ჩამარხული კულტურა, რომლის სიმულაციაც აგრეთვე შეუძლებელია, როგორც ნიჟის, ვაყაკობის ან მშენიერების. სოფლის ეს თვისება პიესაშიც ჩანს, ფილმში კი არა თუ ჩანს, არამედ თვალში გვეცემა და ზემოძს. და თუ ფილმში აქი-იქ ავტორთა ლმობიერი ირონია გამოერება ხოლმე (როგორც, მაგალითად, იმ სცენაში, სადაც ზემოური პავლია მართახს უღრებს გიე ნიკოლზას, მეტისმეტე გულმოდგინებით რომ ცოტა უნებრულ მდგომარეობაში ჩაავდო, და ცხენიდან ვარდებ, ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ გულგატეხილობა და სკეპსიზი, რომელიც დაძლეულობისკენაა მოწოდებული მიახს სახე, კულტურული ფაქეულობების მიმართ სკეპსისაც მოიცავს.

ისიც უნდა შევნიშნოთ ფრჩხილებში (თუმცა ფილმში ეს მომენტეც თვალში საცემია), რომ „უბედურებაში“ დახატული საზოგადოების ინდივიდუალთა ავტორთა და მკვეთრებლთა მიერ ნახული სხვა საზოგადოებების ფონზე მხოლოდ მის ამ თავისებურ კულტურაში როდი მდგომარეობს. იგი ადამიანური ბუნების სხვადასხვაობათა რაღაც უფრო ღრმა შრეში მქვს, ვიდრე რაგინდარა ხანდახმული ისტორიული კულტურა შეიძლება

იყოს. ფილმის ტიპაიე იცე მკვეთრია, ნატურალიზმით, თქმის ყველა მსახიობი არაპროფესიონალია) და „მარტინილიანი“, რომ მკვეთრებისთვის ლამის დაწვენილები ჩანს, რეჟისორს ათერგ და ასერგ მეტე შრომა არ გაეწიოს მისი მოძებნისათვის, ვიდრე გულუხვობიე იხარჯება ხოლმე ამ მიზნისთვის. „ლადაზა“ ამ სიტყვის ცოტა არ იყოს ირონიული აზრით ამ ფილმში თითქმის არაიუნა. მაგრამ ბირისახებუში ისეთი გენეტური სიმდიორება და „ხარისხი“ გამოსტყვივის; ისეთი ტენპერამენტი, სიფხიხლე, ენერგია, გონება და დაუნარჯავი სასოცოცხლო ძალა ჩანს, რომ ეს ეტეე თავისთავად ქარწყლდება, ვინაიდან ეს თვისებები ვერც „ითამაშება“ და ვერც მხოლოდ ზედმეტ ბებნაზე დახარჯული შრომის ფასად მოიძებნება.

დღევანდელი სამყარო ცლდიანვილისაზე რთული თავისი პრობლემტკრით და ამიტომ ფილმის ავტორებს თავისი გმირების ძეთი მიმართებების გარკვევაც უხდებათ, რომლებიც კლდიანვილის გმირებისათვის კი არსებობს, მაგრამ მათი ფსიქოლოგიური ზორტრეტის სახისათვის აეტულები არაა. პერსონაჟთა ხატვაში ფილმის ავტორებს შემოაქვთ ახალი თვალსაზრისი, რომლის გამოყენებაც დრამატურგისათვის ამ შემთხვევაში აუცილებელი არ აღმოჩნდა, სახელდობს: როგორ ეცილება ეს მთავალკულტუროსანი, ლტაკი და აურაცხელი შინაგანი სიმდიდრით სასეც საზოგადოება ჩვენი სატუკუნის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას — აღმინტრატული ძალადობას? ერთადერთი აქტუერად ბოროტი ძალა, რომელიც ფილმის ქსოვილში იჭრება, ეტლით მიმავალი მოხელის თანხმლები ჩაფარია, ნავაზივით პროფესიული ბოლით სასეც მათარხს რომ იქნევს, თ-ვილი ბატონის წინაშე სასაბეობი მდგომარე გულუხვის სისხლსა და დამკირებას მოწყურებული. ეს მოგლენა აუცილებელი ელემენტი ადამიანთა და სოციალურ ძალთა იმ გამაში, რომლის ფონზეც ფილმის ჩანაფიქრი და მის პერსონაჟთა რაობა უნდა გამოთვევდოს. მკვერებელი შიშით მოელის, რომ მისთვის უტეე კარგად ნაცნობი და სიმპათიური პერსონაჟები, თავის ლტაკურებაში რომ ჯერ არავერში „ჩაპრილენ“ მის თვალწინ, აშკერად მოწოდების სიმოლზე ველარ აღმოჩნდებიან შეტევაზე გადმოსული ბოროტების წინაშე, რომელსაც ზურგს უკან უზარმაზარი ბიუროკრატის თთქმის დაუძლეველი ძალა უდგას. და მართლაც, ეს ფილმის ერთადერთი ეპიზოდი, რომელიც თითქმის სრული (და, ეგებ, ცოტა გადამეტებული) პესიმისმით მთავრდება. დარღილი გადრეკილი სოფლისა და ერთი გამამკბული თავხედის წამიერი ორთაბოძოლა თუ მეორის სრული ზემიით არა, ყოველ შემთხვევაში, მეორისთვის საპატიო კომპრომისით მინც მთავრდება. ჩაფარი ქადნება-ქადნებით მიაქეპებს თავის კუდმოლე ცხენს ბატონის უტეე აძრული ეტლისაკენ; ისე, რომ თავხედური გამოხდომის გასამარჯლოდ ერთი მკვახე სიტყვაც კი არ მიუღია.

სოფლის სოციალურ გარემოს ორგანულად ავსებს კიდევ ერთი განათლებული — მექანით დარბაისელი უსახელო ქართველი ბიუროკრატის სახე, რომლითაც ფილმის ავტორებმა პიესის ტიპაიე გაამდიდრეს. გაიანა პირეული შთაბეჭდილება, როცა საკაცზე დაწვენილი

ანტონა ეზოში შემოიყვანეს, და ხალხი, თითქმის გარდ-
 უვალ უბედურებას უკვე შერიგებული, ოჯახის მომავალ
 დანაშაულის პრაქტიკულ დაგეგმვას იწყებს. შიგა-
 დანაშაუ, რა თქმა უნდა, საუბარის სასაყვარლო ამბავსაც
 გაურყევნ ხოლმე და ჭირისუფალთა რიგით პირმიქცე-
 ვით, ზემოდ ხიზნობენ. სწორედ ამ დროს ჩაივლის
 ნიშპართან მოხელის ეტლი და გლეხები მას, როგორც
 ნაწრველ კაცს, შემწეობას სათხოვენ. ამის მომდევნო მო-
 კლე სცენაში მთავარი ისაა, რომ მოხელეც, არსებითად,
 იმევე კულტურის წევრია, რაც მისი პერანგა ხელშევი-
 თები, მათი რწმუნაშეხედულებების, შეფასებებისა და
 ეტიკური მსჯავრის მიზნაზე, მათსავე სტეკვაპასუ-
 ხიანი, თანამგანობი (ზერეულე) და... გულგრილი. და
 თუ მისი ეს ადამიანური სისუსტე — სხვისი ჭირის გუ-
 ლთან ახლოს ვერმიტანა — იმაში ევლინდება, რომ გა-
 ჭირვეულის ეზოში ბოლოს ცემისას დილინი წასდებ-
 ბა, შერცხება, შემდეგ კვლავ სწონის ვითარებას და
 ეზოს შორ კუთხეში მისვლისას კვლავ ღლინებს, ახლის
 მოსვლისას კი დუმს (შესანიშნავი დეტალი), სამაგიერ-
 იად, ანტონას მეზობელი ზაქლიაც, ოჯახის ყველაზე
 აქტიური გულშემატკვარი, იმას კადრულობს, რომ მო-
 ხელე მიწინააღმდეგობის მიაცილის ეტლიმდე და ყურში ჩა-
 დაცა პირად სათხოვარი წასაჩუჩრებს. „რა დროს
 ევაა, ზე ბრიყვი, შენა“ — პასუხის მოხელე, რომელ-
 საც ეს ზნეობრივი მომთხოვნელობა არაფრად უჯდება
 და, ამდენად, შეუძლია თავისთავს დაუწერადი ზნეობ-
 რივი ნორმებისადმი მეტი ერთგულების ნება მისცეს.

დაბოლოს, კლდიაშვილის პიესაში ფილმის ავტორთა
 აქტიური დრამატურგიული ჩარევის მაგალითად გვიჩ-
 ნიკოლოზას (შემსრულებელი რ. ბენდელიანი) და მისი
 მამის (შემსრულებელი მ. ციტიშვილი) დაუვიწყარი
 ეპიზოდი უნდა დავასახელოთ. ფილმის მუნიწი და ლა-
 კონიური მანერა პრაქტიკულად გამორჩევის მამში აზ-
 რობრივად და მხატვრულად დაუტყობრთავი დეტალის
 არსებობას. ამიტომ მაყურებლისა და შემფასებლისათვის
 — თუკი დარწმუნებით ასსოვს, რომ ეს ეპიზოდი
 პიესაში არ არის — გამოცანას წარმოადგენს ამ უაღ-
 რესად მზაფერი ეპიზოდის შემოტანის მოტივი, რომელ-
 მაც თავისი ეპოციური მუხტით ლამისაა ფილმის მთა-
 ვარი ტრაგიკული ხდომილება დაჩრდილოს (თუნდ იმი-
 ტომ მინც, რომ ანტონას ვერ ვხედავთ, ნიკოლოზას კი
 არა თუ კარგად ვიცილობთ უკვე, არამედ ლამის შეგვიყ-
 ვარდეს კიდევ). მხოლოდ იმას ემსახურება იგი, რომ
 ამაშევის გუნდთან სალაშქროთი მოხეტნავე ნიკოლოზამ
 ერთგვარი ინტერმედია შექმნას? ალბათ, არა. მამ იმის-
 თვის შემოდის ნიკოლოზა მოქმედებაში, რომ ფილმის
 ცენტრს — მათას ობიექტად მოემსახუროს, რათა მასზე
 გამოჩნდეს ამ ქალის გამორჩეული სულიერი სიღრმე,
 ორჭოფობისა და თავისთავზე ძალდატანების გარეშე
 რომ ნიკოლოზას არა მარტო სითბოთი ეკიდება, არა-
 მედ პატრიისციმთაც? არა, მისი ფუნქცია აქ არც მხო-
 ლოდ ასეთი ილუსტრაციულია. ან რას აძლევს ფილმის
 თემას ეს ეპიზოდი, როცა მამამისი, ანტიკური ტრადე-
 დის გმირს რომ გვაგონებს თავისი მხრებში მოხორილი
 ზვიადი ფიგურითა და გადაშვებული შიგა პერანგით, სა-
 ჭაროდ საცემად იწევს მასზე ერთი ციკნა შეტეომისა-
 თვის, აუსხნელი და დაუოკებელი რისხვით შეპყრობი-

ლი, რათა ღამე ბავშვებით მიეფეროს იქვე, ქრონიკა-
 ლის ეზოში და მისგან გულის შემძვრელი სვეტეფანის
 სიტყვები მოისმინოს? ამ ეპიზოდის კომპოზიციურ
 ფუნქციის ასნა მხოლოდ ერთი შეიძლება: ფილმის თე-
 მა, იდეა, პათოსი მოითხოვს, რომ მამში ადამიანური
 მასალა, ადამიანური ბუნება რაც შეიძლება მეტად „მუ-
 შაობდეს“, რომ რაც შეიძლება მეტად ჩანდეს მომეგუ-
 ლი წევრის, დიდი ჰლინი ნაჩვენები დანაშაულებული სა-
 ხისკანისა და მოშლილებული ძველი ტანსაცმლის ქვეშ
 ადამიანური საწყისის ფეთქვა და ის გეროფორდებული
 „ზღვრული სიტუაციები“, რომელშიც ის ბუნება იყ-
 ვივება.

ფილმის დანარჩენ კომპონენტთაგან უნდა აღინიშ-
 ნოს საუცხოო მუსიკალური გაფორმება და მხატვრის
 მუშაობა, რომელიც კადრის დახვეწილობასა და მაკრო
 კომპოზიციურ მთლიანობაში ევლინება. ვასაოცარია
 წარმატება, რომელსაც რეჟისორმა არაპროფესიონალ
 მსახიობებთან მუშაობაში მიაღწია, და თვით ამ მსახიო-
 ბთა გარდასახვის უნარი (რაც ამა თუ იმ ზომით ფილმის
 ყველა როლს პირად სჭირდება), ფანტაზია და ტექნი-
 რაც შეეხება ფილმის სტილისტიკას, აქ ფსიქოლოგიური
 რეალისტის (რომელიც ყოველივე კემარტო რეჟისო-
 რული შემოქმედების საფუძველია) და — თუ შეიძლება
 ასე თქვას, — „კომპოზიციურ“ სიმბოლიკის სწორედ
 ის შერწყმაა განხორციელებული, რომელიც ალბათ,
 ყველაზე უფრო პერსპექტიულია დიდი კინოსათვის საე-
 რთოდ და ყველაზე უფრო სჭირდება ჩვენს
 კინოსაც. ფილმში თეა-
 ლში გვევება მტკი-
 ედ პროფესიული ხელ-
 წერა, რომელიც იმას
 განაპირობებს, რომ
 ფილმში ვერ შეხვდ-
 ეთი ან თითქმის ვერ
 შეხვდებით მოქმედ-
 მისთვის საჭირო
 წყაროებს, რომელიც
 ამავე დროს მხატვ-
 რული დეტალიც არ
 იყოს, და ვერ შეხვ-
 დებით მხატვრულ დე-
 ტალს, რომელიც ისე
 მკიდრად, ხელშესა-
 ხებად, საიმედოდ გა-
 მოხატული არ იქნე-
 ბა, რომ „დაჯარგვა“
 არ ემუქრობოდის. ამ
 მხრივაც ფილმი იმ
 დონეზე დგას, უტყუ-
 ლია, რასაც კინოს
 ენამ დღეს ლაკონიუ-
 რობის, სიუსტისა და
 თვალსაჩინოებე ი ს
 მხრივ მიაღწია.

ევეი არაა, რომ
 „უბედურების“ საპა-
 რტი ადგილი ექუთვ-
 ნის ქართული კინოს
 საუკეთესო ნაწარმოე-
 ბთა შორის.



ვიქტორ ნინიკე

ირაკლი უგულავა

ოცნი წლის წინათ თბილისში არსებობდა მეტად ორიგინალური პროფლის თეატრი — სანიტარული კულტურის თეატრი, რომელიც დააარსა და პროფესიულ დონემდე აიყვანა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვიქტორ ნინიკემ, ამ დაულალავმა მოღვაწემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური კულტურის განვითარებაში და ამ საქმეში თავისი ოჯახიც ჩააბა. აი, როგორ იგონებს ამ ღვაწლმოსილ შემოქმედს მისი შვილი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვიქტორ ნინიკე: „მშობლისადმი სიყვარული ნორმალური ადამიანისათვის თანდაყოლილი თვისებაა, ამაში სატრიაზო არაფერია. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ ორკეცდებოდა ეს გრძნობა, თუ იგი უნი აღმზრდელი, პედაგოგი და უფროსი მეგობარია, თუ მასთან გაკავშირებთ არა მარტო მშობლიური ურთიერთობა, არამედ ათეული წლის შემოქმედებითი კავშირი“.

კიდევ ერთი ამონაწერი: „ჩემს მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდა ის საღამოები, როდესაც თეატრების დასვენების დღეებში, ორშაბათობით ჩვენს ოჯახში, მეგობრულ სუფრასთან, იკრიბებოდნენ

ქართული სცენის მესვეურები და საათობით მსჯელობდნენ მის ავ-კარგზე, მის აწმყოსა და მომავალზე... ბუნებრივია, მე და ჩემ ძმას კარლოს მეტად გვანტერესებდა მათი საუბრის მოსმენა. კუთხეში მიყუყულები, გატვრენილი, ვუსმენდით სანდრო ახმეტელს, შალვა დადიანს, ალექსანდრე იმედაშვილს, იოსებ გრიშაშვილს, ალექსანდრე წუნუნავას, აკაკი ხორავას, გიორგი დავითაშვილს, ვასო გომიასვილს...“

ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. ძმები — კარლო — მომავალი მხატვარი, ვიქტორი — მომავალი მსახიობი, — სახლში ისმენდნენ თეატრზე მსჯელობას, ისინი დაჰყავდათ დილის სუეტაკლებზე, გამოჰყავდათ სცენაზე... და შვილმა მიბაძა მამას — მთელი ცხოვრება ქართულ თეატრს დაუკავშირა. თითქმის ორმოცდახუთი წელი ემსახურება ვიქტორ ნინიკე სცენას. იყო სანკულტურის, სტუდენტთა, სოხუმის თეატრის მსახიობი და ახლა, ალბათ, საბოლოოდ, დაუკავშირა თავისი ბედ-იღბალი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივს.

საკულტურის თეატრში პირველი საპასუხისმგებლო დავალება, რომელიც სცენის ნიღმა უნდა შეესრულებინა, მეტად უჩვეული იყო:

ცნობილი რეჟისორი შოთა აღსაბაძე დამამდა იბსენის „მოჩვენებას“, ფრულაჯინგის როლის შესასრულებლად მოინვივის ქართული სცენის მშვენება ნუცა ჩხეიძე, რომელიც იმჟამად ჩამოცილებული იყო თეატრს. უმცროსი ვიქტორი განიოიძის დირექციაში, სადაც ვიქტორმა — მამამ, თეატრის ხელმძღვანელმა და რეჟისორმა შოთა აღსაბაძემ ქალბატონ ნუცას გაცილება დააკისრეს. ვიქტორი სახელმწიფო მსახიობს უნდა შეხვედროდა კარებში, მიეცილებინა სარეპეტიციო დარბაზამდე და შემდეგ გაცილებოდა სახლში... ერთი სიტყვით უნდა მომსახურებოდა ნუცა ჩხეიძეს. აი, როგორ იგონებს ამ ამბავს ვიქტორი: „უდიდეს პატივად მივიჩნიე ეს დავალება და სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში საამაყო დარჩება ის დღეები, როცა მე, ახალბედა მსახიობი, ქართული თეატრის მშვენების, ნუცა ჩხეიძის გვერდით ვატარებდი და მისგან ბევრ რამეს ვსწავლობდი“. სხვათაშორის, ვიქტორ ათანასეს ძის პირად არქივში დაცულია ნუცა ჩხეიძის წერილი: „პატივცემულ ვიქტორ, ჩემო მეორე ნათლია! ნათლიას გინოდებ იმიტომ, რომ 15 წელიწადი ჩამოშორებული ვიყავი ჩემ საყვარელ საქმეს. თქვენ დამბარუნეთ თეატრში და თქვენი გულთბილობით, გულსხმიერებით დამავიწყეთ წარსული სიმწარე...“

მაგრამ ვიქტორმა — მამამ იცოდა. რომ ვიქტორი — შვილისათვის საჭირო იყო სწავლა, აკადემიური ცოდნის მიღება. მაშინ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი უკვე არსებობდა თბილისში. შვილს, რასაკვირველია, გული იქითკენ მიუწევდა, მაგრამ მამის დაჭინებული თხოვნით მან 1973 წელს გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

მაშინ უნივერსიტეტში არსებობდა სტუდენტთა თეატრი, მთელი თავისი აპარატურით: ნიჭიერი ახალგაზრდების დასით, ორკესტრით, მბრუნავი სცენით და, რაც მთავარია სახელმწიფო დოტაციით. თეატრის ხელმძღვანელმა, ჯერ გ. ლომიაძემ,



გოჩა („ეპის ტირილი“).

წოწოლა („ბატალიონი“).



ხლოლ შემდეგ პ. კობახიძემ ზედიზედ დადგეს პიესები: „პირისპირ“, „გენერალური კონსული“, „მადანი“, „პატარა კახი“, „იმედის დაღუპვა“, „რღვევა“... ვიქტორი ყოველ მათგანში თამაშობდა. მის მიერ განხორციელებული ბოცმანი შვაჩი, იაპონიის დაზვერვის ოფიცერი, მეფე თეიმურაზი და სხვა გმირები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. იგი რეჟისორების, უფროსი ამხანაგების დახმარებით ცდილობდა ყოველი როლი თავისებურად გამოეჩინა, შეეკავა. რასაკვირველია, მთავარი როლის შესრულების სურვილი ჰქონდა (როგორც ყველა

მსახიობები დღისით სახალხო რაზმებში მცვადინებოდნენ, საშუაო კონცერტებზე გამოდიოდნენ ჰოსპიტლებში, საღამოს კი თავიანთ საყვარელ სცენაზე მართავდნენ წარმოდგენებს და არადაამიანური დაქანცულობის მიუხედავად, ჩვეული ხალისით ხვდებოდნენ მაყურებელს.

1941 წელს ვიქტორ ნინიძე უკვე სანიტარული კულტურის თეატრის მსახიობია. მისი მოსაზრებელი, ე. წ. სცენური თვითმქმედების ეტაპი დამთავრდა. იგი უკვე პროფესიული თეატრის მსახიობია და ამჯერადაც ახალი, თუმცა არა უცხო, გარემო შეიფერა. ბოლოს და ბოლოს,



სცენა სპექტაკლიდან „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი“... გამილებული — ნინიძე.

ახალბედა მსახიობს), მაგრამ თუ საქმე მოითხოვდა, არც მეორე და მესამეხარისხოვან როლებზე ამბობდა უარს. ამასთან, ყოველ მათგანს მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა. მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამიჯდარი მამის მიერ ჩანერგილი სცენური დისციპლინა.

შემდეგ დაიწყო ომის გაიკრიფნენ ბიჭები უნივერსიტეტიდან, სამშობლოს დასაცავად წავიდნენ, შეფერხდა ყველაფერი, შრომაცა და სწავლაც. შავი, შუქგაუმტარი ფარდები დაიბნა უნივერსიტეტის ფანჯრები.

კავკასიონის ქედის იქით ქვემეხები ჭუხუნენა... ჩაბნელებულ თბილისში თეატრები მანინც მუშაობდნენ.

პროფესიული მსახიობობა ხომ მისი მიზანი იყო.

ვიქტორმა 1949 წლამდე დაჰყო სანკულტურის თეატრში. ორმოცამდე დიდი და პატარა როლი შეასრულა.

1947 წელს თეატრმა აღადგინა ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“. ეს იყო თანამედროვეობის ამსახველი, მძაფრი, მღელვარე მომენტებით აღსავსე დრამა. იგი ომამდე რუსთაველის თეატრმა დადგა. „პლატონ კრეჩეტი“ თამაშობდნენ ქართული სცენის გიგანტები: აკაკი ხორავა და გიორგი დავითაშვილი. არაფერს ვამბობთ: იმაზე, რომ ამ პიესამ საქართველოს ყველა თეატრი შემოიარა და ყველგან, რადონისაც არ უნდა ყოფილიყო სპექტაკლი, მაყურებლის დიდ ინტერესს იწვევდა.

ახლა კი, თითქმის ათი წლის შემდეგ, ვიქტორმა — მამამ გადანწყვიტა მისი აღდგენა და კრეჩეტის რთული როლის შესრულება შვილს — ვიქტორს დააქისრა. ეს მეტად ძნელი საქმე იყო. თეატრალურ საზოგადოებრიობას ჯერ კიდევ ახსოვდა გიორგი დავითაშვილის მგზნებარე მონოლოგი თავისქალასთან.

პრემიერა შედგა...

სცენაზე იყო პლატონ კრეჩეტი — ვიქტორ ნინიძე — დახელოვებული საბჭოთა ექიმი, დიდი დიპაზონის საზოგადო მოღვაწე. ახალგაზრდა მსასიობისათვის ასეთი გარდასახვა უდავოდ მიღწე-

რადაც საჭირო იყო განსხვავებული, ყოველგვარ ტრაფარეტს მოკლებული გამოძერწვა.

ვიქტორ ნინიძის არიმანი ლაპარაკობდა წყნარად, მომხიბლავად, მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა სიტყვაზე, მის შთამაგონებელ გამოთქმაზე. რასაკვირველია, მას არ აკლდა შინაგანი სითბო და დამაფრთხილებლობა.

1949 წლიდან ვიქტორ ნინიძე სოხუმის ქართულ თეატრში გადაჯის სამუშაოდ. აქ მან 23 სეზონი დაჰყო. 23 წელიწადში წა-ზე მეტი როლი შეასრულა. თვალისა და დაღვევით მის მიერ ნათამაშები რო-

სცენა სპექტაკლიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.



ვი იყო. ვიქტორი ღრმად ჩასწვდა თავისი გმირის სულიერ სამყაროს, შეიყვარა, შეისისხლხორცა იგი. მისი კრეჩეტი იყო ამაღლებული, გამბედავი, პირდაპირი, არავის გავლენის ქვეშ არ ექცეოდა, მან პლატონი დაგვიხატა ორიგინალურად, საკუთარ შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

იმ სეზონში სანკულტურის თეატრმა აღადგინა აგრეთვე ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“. აქ ვიქტორს ისევ მთავარი როლის, არიმანის შესრულება დააქისრეს. გავიხსენოთ, რომ ამ როლს თავის დროზე დიდი წარმატებით ანსახიერებდა ჩვენი სასიქაიდლო მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი და ამავე თეატრში ნ. ხორავა. ამიტომ, ამჟე-

ლებს ნუსხას, ნათელი გახდება ჩვენთვის მსახიობის სცენური გზა. თუ სანკულტურის თეატრში იგი თავის ამბულას ეძებდა, ყოველგვარი სახისა და მასშტაბის პიესაში ცდიდა ძალებს, სოხუმის თეატრში იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სახასიათო მსახიობი. მაგალითად, მას ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“ კრეჩეტი არ შეუსრულებია. ახლა მას უფრო სხვა სახის როლები აინტერესებდა. ამიტომ წამსვე დათანხმდა, როდესაც რეჟისორმა საკმაოდ ხანდაზმული ექიმის, ბუბლიკის როლი შესთავაზა.

გადავხედოთ მის ნათამაშებ როლებს: ოპტიმისტენკო ვ. მაიაკოვსკის „აბანოში“, ნინოლა დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონში“, ფორლი პოპოლი კ. გოლდონის „სასტუმ-

როს დისახლსში“, თორნიკე პაპა მ. მრევ-
ლიშვილის „ხარბაანთ კერაში“, პროკუ-
რორი რაზმაძე ა. ჩხაიძის „ხიდში“, ხახუ-
ლი ვ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინე-
ბაში“, ძია მიშა გ. მდივნის „ძია მიშაში“,
„გულად ჯარისკაც შეიკში“ სამი ერთმა-
ნეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რო-
ლი შეასრულა (გენერალი, ფსიქიატრი
და ავადმყოფი) და ა. შ. სხვათა შორის,
„გულად ჯარისკაც შეიკის“ დადგმაზე
ეპატრმოდნე და კრიტიკოსი ე. გუგუ-
შვილი გაზეთ „კომუნისტში“ წერდა:
„შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით
გამორჩევა ვ. ნინიძე (ფსიქიატრი, გენე-
რალი, ავადმყოფი). მსახიობი არა მარტო
მკაფიო და გამომხატველია გაბეჭდილი
დეტალებით, არამედ ღრმად დამაჯერებე-
ლიც შინაგანი განწყობილების სარწმუ-
ნოების ხაზით. ხოლო, სტანისლავსკის
მიხედვით სწორედ ეს არის ნამდვილი
გროტესკი“.

განსაკუთრებით მოსწონდა სოხუმელ
მაყურებელს მისი სიცოცხლით სავსე,
ჯანსაღი იუმორით გამთბარი ჯემალა
(ვ. კანდელაკი, „მაია წყნეთელი“). გაზეთი
„საბჭოთა აფხაზეთი“ თავის რეცენზიაში
აღნიშნავდა: „ვიქტორ ნინიძე ერთნაირი
სიძლიერით თამაშობს კახელს, გურულს,
ქართლელს, აჭარელს, იმერელს. ეტყობა,
მსახიობი კარგად ერკვევა ქართულ კი-
ლოკავებში, ფოლკლორში. მის მსახიობურ
ნიჭთან შერწყმულია ქართველი კაცის
ბუნება, ხასიათის წვრილმანები, ლაპა-
რაკის, მოძრაობის მანერა... მაგრამ რო-
დესაც როლი მოითხოვს, იგი ასევე ძალ-
დაუტანებლად, დამაჯერებლად ასრულებს
ბეგთაბეგოვს ო. მამფორიას „იეთიმ
გურჯში“, პასკუალეს — ვ. დე ფილიპოს
— „მოჩვენებანი“, ლომბარდოს —
კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახურში“.

ვიდრე შოთა რუსთაველის სახელობის
ეპატრში ვიქტორ ნინიძის მოღვაწეობის
პერიოდს შეეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ,
რომ იგი არტისტული ნიჭის გარდა მწერ-
ლური ნიჭითაცაა დაჯილდოებული. სულ
ახლახან მან „თეატრალურ მოამბეში“
დაიწყო მეტად საინტერესოდ მოფიქრე-
ბული თავისი მოგონებების ბეჭდვა. და-
წერილი აქვს ხუთი ორიგინალური პიესა
(„შეხვედრა დღეობაზე“, „სასურველი
სტუმრები“, „თაბაგარის ჩანაწერები“,
„ფუჭი გასროლა“, „თავდასხმა ღამით“),
რომლებიც თავის დროზე წარმატებით
იდგმებოდა სანკულტურის, სოხუმის, ჭი-
ათურისა და ბათუმის თეატრებში. თარგ-
მანშიც სცადა ბედი: მარჯანიშვილის სა-


ხელობის თბილისის, სოხუმის, ბათუმის,
თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატ-
რებში დადგეს მის მიერ რუსულიდან
გადმოღებული „ალანის ოჯახი“ და „მისი
მეგობრები“.

1972 წლიდან ვიქტორ ნინიძე შოთა
რუსთაველის სახელობის თეატრშია და
ქართული სცენის ჭაბანს ეწევა ამ სახე-
ლოვან კოლექტივთან ერთად. ყველგან,
სადაც ამის საჭიროება მოითხოვს, თბი-
ლისში, მოსკოვში, ლონდონში... მან სწრა-
ფად აუღო ალბო თეატრს, მის შემოქ-
მედებით თავისებურებას და შეეთვისა,
შეისხისხობორცა მას. უკვე მეცხრე სეზონი-
ა, რაც იგი რუსთაველშია. თითხმეტი
როლი შეასრულა, თითხმეტი ტიპი გამო-
ჩარხა, გამოქერცა, ერთმანეთისაგან გა-
ნასხვავა, გამოარჩია... ამ სახელოვან
სცენაზე შექმნილ სახეთა გაღურვადან
უნდა გამოვყოთ ასლაქსენი იბსენის
„ეტიმ სტოკმანიში“, პოლიექტორი —
ი. დვორცკის „უცხო კაცში“ და გამცი-
ლებელი — გელმანის „ჩვენ, ქვემოთ
ხელისმომწერნი“.

ასლაქსენის როლით დაიწყო მისი ბიოგ-
რაფიის ახალი ფურცელი.
მან შექმნა გულციციქა, მხდალი ჩინო-
ვიკის სახე, თავის გამირს ისეთი გარეგანი

გენერალი — მ. გეგეპკოვი, პოლკო-
ვნიკი — ვ. ნინიძე („უფაყვარე“).





გაზეთის რედაქტორი („მონოლისკი“).

ფორმა გამოუძებნა, რომ სცენაზე ხმაც რომ არ ამოედო, მაყურებლისათვის ნათელი იყო მისი ხასიათი, მაგრამ ასლაქსენი მართო გულციცქნა ადამიანად როდი იყო წარმოსახული. ვიქტორმა მას შემაბა მსუბუქი იუმორი. მის რეპლიკაზე, მოძრაობაზე მაყურებელი კი არ ხარხარებდა, არამედ იღიმიებოდა და ეს საკმარისი იყო ასლაქსენის სრულყოფილად წარმოსახვისათვის.

აი, როგორ გამოეხმაურა ქართული პრესა „ექიმი სტოკმანის“ დადგმას; „სტამბის მეპატრონე ასლაქსენი — ვ. ნინიძე ჩია კაცია, მისი სიარული გაუბედავია, დამფრთხალ სახეზე ნაძალადევი ღიმილი სასაცილო და შესაბრალის იერს აძლევს, ვ. ნინიძის ასლაქსენი მკვეთრი სახასიათო სახეა, მას ზუსტად აქვს მოძებნილი აქტიური ობივატელის პლასტიკა და ინტონაცია“. (გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“).

მეორე როლი, რომელიც გვინდა გამოვყოთ, ა. გელმანის „ჩვენი ქვემოთ ხელისმომწერნი“ ითამაშა. შეიძლება, სხვაგან, სხვა სიტუაციაში ამ როლისათვის ყურადღება არავის მიექცია, მაგრამ ვ. ნინიძემ ჩვეული ოსტატობით შესარულა ჯიუტი, თავისი საქმისა და საერთოდ, წესრიგის ერთგული კაცის სახე. და ეს უმნიშვნელო როლი პიესის მთავარ როლებს ამოუყენა. ამის შესახებ თეატრმცოდნე ვ. კიკნაძემ ძუნწად, მაგრამ ლაკონურად აღნიშნა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ — „წარმოდგენაში თითქოს ყველა მსა-

ხიობს რაღაც ახალი ფერი და იერსაზე აქვს, მათგან აღსანიშნავია ვ. ნინიძის კოლორიტულობა და სიმართლურ გრძნობა“.


როგორც ამ ნარკვევიდან ჩანს, ვიქტორ ნინიძის შემოქმედებაში უმთავრესი ადგილი უკავია თეატრს, მაგრამ მან ქართულ კინოშიც თქვა თავისი სიტყვა. „ჩაძირული ქალაქის მიძიებელი“, „ვინ შეკაზმავს ცხენს“, „წუთისოფელი“, „სოფლის აზიკი“, „ისინი ბედნიერი იქნებიან“, „ყვარყვარე“, „ბათა ქექია“, „უცნაური ხასიათი“, — აი, იმ ფილმების არასრული სია, რომლებშიც იგი მონაწილეობდა. აქაც ერთი ფილმი უნდა გამოვყოთ განსაკუთრებით — პირველი მრავალსერიანი ქართული ტელეფილმი „დათა თუთაშხია“.

ამ ფილმის მეხუთე სერიაში არის ასეთი ეპიზოდი:

ხეობაში ორნი მიდიან: ერთი უშფოთველად მიაბიჯებს, ასეთივე ტონით საუბრობს თანამგზავრთან. მეორე კი ხაფანგში მოქცეული თავივით აცეცებს თვალებს, რაღაც ავი განზრახვა ჩაუდგვს გულში, წომენტს ეძებს, რომ მის თანხლებებს დანა ჩასცეს. და აი, ორივე შედგა ბუნვის ხიდზე, მშინაშა მკვლელობა ერთხელ კიდევ მოატარა გარემოს დაბნეული მზერა და აასრულა ვერაგული განზრახვა. დანა ჩასცა თანამგზავრს და ხიდიდან გადააგდო. შემდეგ, როდესაც მკვლელს თავს წაადგება დათა თუთაშხია და რიყიდან ცხედრის ამოტანას უბრძანებს, შეძრწუნებული ყვირის „მეშინია მე, მეშინია მე“. მართლაც ეშინია, ფულმა, სიხარბემ აიძულა იგი წასულიყო ასეთ დანაშაულზე.

ვინც ამ ფილმს ნახავს, ვიქტორ ნინიძის შექმნილი ზეამბას სახე არასოდეს დაავინწყდება.

ვიქტორ ვიქტორის ძე ნინიძე დაიბადა 1920 წელს. ესე იგი, სამოცი წლისაა! მერე რა, სამოცი წელი არ არის ფიზიკური და შემოქმედებითი უძლეურების ასაკი. სამოცი წელი ქარმაგობის ხანია. ვიქტორი მხნედ გრძნობს თავს, ენერგიით სავსეა, მას კიდევ მრავალ წელს შეუძლია ემსახუროს მშობლიურ სცენას.



„პალეტი“. დეკორაციის ესკიზი.

პეტრე ოცხელის გამოფენაზე

ლელა ოჩიაური

ყმაღვირი „ურიელ აკოსტადან“ დი-
წყო.

1929 წლის პირველი თეატრალური სეზონი ახალმა ქართულმა თეატრმა კარლ გუცკოვის ამ პიესით გახსნა.

კოტე მარჯანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული დასი პირველ ნაბიჯებს დგამდა ზეალსაველად.

გასაოცარი უნარი იძუბისა, წინასწარგანკერტისა იყო ნიშანდობლივი ღიდი რეჟისორისთვის და წარმატების საწინდარიც. ალბათ, სწორედ ამან უბიძგა დამდგმელს, როდესაც სრულიად უცნობ, გამოუცდელ სტუდენტს „ურიელ აკოსტასათვის“ ესკიზების შესრულება დაავალა.

პეტრე ოცხელი მაშინ 22 წლისა იყო! მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო და ღღეს ქართულმა საზოგადოებამ კვლავ იხილა საგაოფენო დარბაზებში „ურიელ აკოსტას“, „ბეატრიჩე ჩენჩის“, „აპრაკუნე

კიმიმელის“, „სურამის ციხის“, „ყაჩაღების“ და სხვა სპექტაკლების ესკიზები.

ასამდე ნამუშევარი ამშვენებდა „მხატვრის სახლის“ ერთ-ერთი დარბაზის კედლებს. საინტერესო ექსპოზიცია კარგად აშუქებდა ოცხელის შემოქმედებას, მის თავისებურებებს, აქცენტს აკეთებდა მნიშვნელოვანზე.

პეტრე ოცხელის შემოქმედებაზე ღღეს მხოლოდ ესკიზებით ვმსჯელობთ, მაგრამ ისინიც სრულ წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ რა ხდებოდა სცენაზე ჩვენი საუკუნის დასაწყისში, მარჯანიშვილის თეატრში.

მრავლისმნახველი მოწვევებით ზეერს გვეუბნებოან ვიწრო ჩარჩოებში ჩასმული, დროისაგან ფერადკარული სურათები, შექმნილი სრულიად ახალგაზრდა მხატვრის მიერ.

როდესაც ამ ნამუშევრებს ვუშვებთ, ვიმსჯელებით მოკრძალებით შემოქმედისადმი, რომელიც ცხოვრობდა და გარდაიცვალა:

დიდი ხნის წინათ, ხოლო დატოვა ხელოვნება, რომელიც უბერებელი და ცოცხალი დარჩება მარად.

ამ ხელოვნებაზე ძნელია ლაპარაკი, ვინაიდან ის არის ხალხის გრძობა, სიყვარული და გასაოცარი სიბრძნე სიმარტობისა.

ოცხელის შესახებ მის თანამედროვეებსაც და დღევანდელ მხაველსაც ერთი და იგივე აზრი გააჩნიათ: ეს არის იშვიათი ხელოვნება, ოცხელი იყო და არის შემოქმედითი, როგორც ქართულ თეატრალურ მხატვრობას ძალზე ცოტა თუ ჰყოლია.

მხატვრის პიროვნულ თვისებებსაც ყველა ერთნაირად იხსენებს: თავმდაბალი, ცოცხალი, მხიარული ახალგაზრდა; არ ყოფილა ადამიანი, იგი არ ჰყვარებოდა, რადგან თვით ოცხელს უყვარდა ყველა!

ამბობენ, ღმერთებსაც რჩელნი უყვართო!..

უდროოდ გარდაცვლილი ჰბბუი მარად ახალგაზრდა, მარად ცოცხალი და ჩვენთან მყოფია, რაზეც მისი შესანიშნავი ხელოვნება მეტყველებს. პეტრე ოცხელს სრულიად არ გადალობებია წინ წელთა სიბრძნე, რათა შეექმნა ნამდვილი ოსტატური სურათები. მისი აზროვნება, წერის მანერა, ჩანაფიქრის განხორციელება, იდეის წყვედის სიღრმე გამოკიდულ ხელოვნანს უფრო შეიძლება ახასიათებდეს, ვიდრე ოცდაათს ცოტათი გადაცილებულს.

ეს ეპიზოდი გვატყვევებენ და ჩვენ უბრალოდ, დღემდებით. ისინი მართლაც გვაფიქრებინებენ, რომ „პეტრე ოცხელი ცოცხალია, რომელიც დღემდე იღვწის და ბევრი რამის თქმა შეუძლია თავისი შემოქმედებით“ (ვ. ბერიძე).

როდესაც პეტრე ოცხელის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში „ურიელ აკოსტა“ უნდა გავიხსენოთ, რადგან თეატრის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ასეთი ძლიერი, სრულყოფილი სპექტაკლი. იგი მართლაც რომ ხელოვნების ზეიშად იქცა. წარმატებას ხელი შეუწყო ყველა კომპონენტმა: რეჟისურამ, მსახიობებმა, მუსიკამ, მხატვრობამ. კარლ გუცოვის პიესა სიყვარულის, ადამიანობის, თავისუფლებისადმი სწრაფის სადიდებელი ჰიმნია. გასაოცარი კავშირი თანამედროვეობასთან გახდა გარკვეული საფუძველი წარმატებისა.

ეპოქას, როდესაც მკვიდრდებოდა მღალა ჰუმანური იდეები, სრულად შეესატყვიებოდა ნაწარმოების თემა, მისი ხასიათი.

რეჟისორული გადაწყვეტის ამაღლებულ, დიდებულ ხასიათს ჩანს უსვამს მხატვრობა:

ასევე მაკარი, დიდებული და მღელვარე. შავ-თეთრი გამა, კიბების და სვეტების თეთრი სისადავე კონტრასტშია შვე ხავერდთან. განათება აძლიერებს ნაოსნის გამოხატულებას. პლასტიკური ნაკეცებით და ფორმებით იგი შერწყმულია მსახიობების სტილიზებულ პლასტიკასთან, მათ ენებთან.

მხატვარი ფორმებს ანზოგადებს და ხაზს უსვამს მთავარს, დამახასიათებელს.

მა, რასაც ვკითხულობთ ნაწარმოებში, ესეიხებშია გადმოტანილი. სიმკაცრე, მღელვარება, ლაკონიურობა არა მარტო ნაწარმოების ხასიათიდან მომდინარეობს, არამედ საერთოდ შუა საუკუნეების ეპოქის შეგრძნებასაც განაპირობებს.

დეკორაციებთან ერთად არანაკლებ საინტერესოა და დაზვევილობით გამოირჩევა მოქმედ გმირთა კოსტუმები, კოტე მარჯანიშვილი დღეად აფასებდა ოცხელის შემოქმედებაში ამ მხარეს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ივლითის, ურიელის, დე-სანტოსისა და სხვა პერსონაჟთა კოსტიუმები მხატვრული შემოქმედების იშვიათი ნიმუშებია. თითოეული დეტალი, ელემენტი, ხაზი გარკვეულ დანიშნულებას ასრულებს და ქმნის სახეს, ხსნის გმირის ხასიათს.

ივლითი — ვერიკო ანჯაფარიძე, ესეიხზე ასახული ქალური გრაციით, კდემამოსილებით აღსავსე. მისი პროფილი, ჩვენთვის აგურტივად ცნობილი და დაუეწყარი, გარდასახულია ივლითის სახედ. თბული, ლამაზი ხელები, მოსხლეტილი მოძრაობა, სიამაყე და ღირსების გრძობა ასახაიებს ივლითის როლის შემსრულებელს.

პეტრე ოცხელის თითოეული კოსტუმი ივლითის წინებს მსახიობს, გამომდინარეობს სახის არა მარტო გარკვევნი, არამედ შინაგანი თვისებებიდან და ოსტატურად არის შერწყმული გმირის ხასიათთან. როგორც მარად ცოცხალი დარჩება ვერიკო ანჯაფარიძის ივლითი, ასევე უკვდავი იქნება მხატვარი, რომელმაც გასაოცარი სიფაქობით, აღლოთი შეუქმნა მსახიობს ისეთი სამაზის და გარცხნილობა, რომელსაც ვერიკოთი სხვა კოსტუმი ვერ შეეცდის. ვერ მოაღწევა ისეთ სრულყოფას ივლითის სახის, მისი ბუნების გასსნაში. მხატვრის ცოცხალ სახეებთან ჰქონდა საქმე, მათი ხასიათის თავისებურებებთან. გარკვეულ ინდივიდუალურ ნიშნებთან. ყველა ისინი გარკვეულ გარემოში ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ, გარემოში, რომელმაც თვით ისინი შექმნა. ეს გარემოც ასევე

მასობელი უნდა ყოფილიყო მათთვის, მსგავსი და მათგან განსუფილვი.

ოცელი ზუსტად ავებს სახასიათოს და, ამავე დროს, კონსტრუქციას და დეკორაციებში მინიმალურად იყენებს. მხოლოდ მთავარი და მნიშვნელოვანი, მხოლოდ ის დეტალი, რაც უფრო მეტად გააღრმავებს და ხაზს ვაუს-ვამს პიესის და დადგმის იდეური შინაარსის ხასიათს.

მკაცრად მოწესრიგებულია სცენა, სამოქმედო მოედანი. კიბეები, შესასვლელები მაყურებლის ყურადღებას არ ფანტავს. დეკორაციები, კონსტრუქციები კმნიან იდეალურ გარემოს მსახიობთა მოქმედებისათვის, ანიჭებენ მათ თავისუფლებას და ახვედრებენ კონკრეტულ სამყაროში, რომელიც რეალურად არსებობდა და დარჩა სადღაც, საუკუნეების მიღმა.

ბეტრე ოცელმა წარმოადგინა სცენური სამყარო, რომელშიც გაუადვილა მსახიობებს გარდასახვა, მოეხმარა, ხელი შეუწყო ეპოქისა და პიესის არსის გაგებაში. რადგან ერთერთი მთავარი კომპონენტი სწორედ ის გარემოა, რომელშიც გვირე მოქმედებს.


თითოეულ ნაწარმოებზე მუშაობისას მხატვარი სხვადასხვა კუთხით უღვებოდა ამოცანას და ქმნიდა რეკონსტრუქციას ჩანაფიქრს დაქვემდებარებულ ესკიზებს, შესაბამისად, იცვლებოდა ბუნება, იცვლებოდა მხატვრული ხერხები. თუ გადავხედავთ ესკიზებს სვე-

ტკალებსა „ყაჩაღები“, „სურამის ციხე“, „ჩატუხილი ზიდი“, „აპარკუქე ტიმქელი“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და სხვ. დავინახავთ, თუ რაოდენ განსხვავებულა მათი გადაწყვეტა. იდეურად, თემატურად ერთმანეთისგან განსხვავებულ ნაწარმოებებს ოცელმა მოუძებნა თავისებური, ინდივიდუალური სახეები ენა.

წლების განმავლობაში ცელილებებს განიცდის მიმართულება მხატვრის შემოქმედებაში. პირველი წლებისათვის დამახასიათებელი კონსტრუქტივიზმი, აბსტრაგირება იცვლება ნატურალიზმით, რომელიც მხატვრისთვის უცხო აღმოჩნდა და ვერ პოოვა სათანადო გამოვლინება-განვითარება.

ნატურალიზმის შემოჭრამ საერთოდ შეუშალა ხელი თეატრალური ხელოვნების განვითარებას. ოცელიც, რომელიც თავის ნამუშევრების პრიციპად იღებდა ლაკონიზმს, გეომეტრიზმს, რიც ნამუშევარში კარგავს ინდივიდუალობას, საკუთარ სახეს, თუმცა, ამავე დროს, დეტალებში მაინც იგრძნობა მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მტყველება („მუნჯები ალაპარაკდნენ“, „აპარკუქე ტიმქელი“)

ძირითადად ბეტრე ოცელი მაინც რჩება მხატვრად, რომელმაც შექმნა ხელოვნება, მხატვრული ძიებების ნრხვალფეროვნებითა და მიღწევების სიუხვით რომ გვაოცებს. თი-



თოვულ სპექტაკლში იგი ხსნის ეპოქის სულს, ხატავს გარემოს, დროს.

„სურამის ციხე“ საბავშვო სპექტაკლი იყო და მხატვარმა გარკვეულად ზღაპრული ხასიათის, ბავშვისთვის გასაგები და ახლოებული გარემო შექმნა, ნათელი, ცოცხალი ფერებითა და შედარებით კონკრეტული დეკორაციებით.

სპექტაკლში „ბეატრიჩე ჩენჩი“ ოცხელი სულ სხვაგვარად წყვეტს მხატვრული გაფორმების ამოცანას. „ურიელ აქოსტას“ მონუმენტურობას, დიდებულებას და მღელვარებას ცულის სხვა ემოციური გარემო, თუმცა გეომეტრიზმი და განზოგადებულობა კვლავ შენარჩუნებულია. ამ ოჯახური დრამის გაფორმებაში დეტალები შემცირებულია და უფრო დანაწევრებული, სიერცის შეგრძნებაც შენელებულია.

როდესაც ვათვალიერებთ ოცხელის გამოფენას, ვგრძნობთ, რომ დანაკარგი მართლაც აღნაზღაურებულია. მხატვარმა ჭეშმარიტად თქვა თავისი სათქმელი, და ბევრი მოასწრო ხანმოკლე სიცოცხლის გზაზე.

